

# თქუთქუნი ჩანაწესქუნი



საღმრთო ღმრთობა  
განმარტობა  
ნეტობა  
წმინდაობა



ჩანაწესქუნი 1942 წელს კოსტა აჭიპუჩის მიერ



თბილისი .მეცანა. 1995

თუშეთი მუდამ ამაყობდა თავისი ლეგენდარული წარსულით, გამოკვედილი მთის ადათ-წესებით, გმირებითა და მშრომელ-ადამიანებით. ამ წიგნის გამოცემაც ამან განაპირობა აქ ყველაფერია: ისტორიაც, ტრადიციაც, კულტურაც, ხასიათიც, ჩვევაც, და რა თქმა უნდა სიტყვაც. ამით ფასდება სწორედ ეს სამყარო, უფლებას რომ იძენს, ყველას წინაშე თავი მოიწონოს, ეს ის გარემოა, სხვებისაგან რომ გამოარჩევთ და ყოველმხრივ მიხეულია!..

თუშური კილო-კავი ზეიმობს ამ წიგნში, მისით ყველაფერია გამოხატული: ლექსი და ხალხური საუნჯის სხვა მარგალიტები, რაც კიდევ უფრო მეტ ფასსა სდებს ამ საამაყო კუთხეს...

მკითხველი ბევრ ღირსეულ ადამიანებს შეხვდება ამ წიგნში, რომელთა დავიწყება და ისტორიული გაფერმკრთალება ცოდვა იქნებოდა. იქვე გაეცნობა ტრადიკულ ისტორიებს, ეთნოგრაფიულ წილსვლებს, ლეგენდებს, თქმულებებს, და ხალხური პოეზიის ჟანრობრივ მრავალფეროვნებებს...

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ხელმოკლეობის გამო დღემდე ვერ მოხერხდა ამ წიგნის გამოცემა. ამ საქმეში თავისი წვლილი შეიტანა თუშეთის მკვიდრმა ბატონმა შოთა ოთიურიძემ, ხოლო წიგნის მასალები მოიპოვა და სარედაქციოდ მოამზადა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ ბატონმა გიორგი ცოცანიძემ, რისთვისაც მათ მადლობას მოვახსენებთ.

სილოვან ნარიშანიძე.

თბილისი. 3.II.95.

## კოსტა აზიკური

ქართული ფოლკლორის საყოველთაოდ აღიარებულ მოამაგეთა გვერდით არიან ისეთებიც, რომელთაც ფართო საზოგადოებრიობა ჭერჭერობით არ იცნობს, მაგრამ მათი ღვაწლი მშობლიური საუნჯის შეკრება შენახვის საქმეში უალრესად დიდია და მათი ნაშრომ-ნაამაგარი ჭერაც ელოდება სათანადო გამომზეურებასა და დაფასებას. ამათ რიცხვშია მოსახსენებელი ქართული ხალხური სიტყვიერების ნაჭიერი შემკრები, ამ ქვეყნიდან უდროოდ წასული მკვლევარი კოსტა აზიკური. იგი სრულიად ახალგაზრდა, თბილისის უნივერსიტეტის 4. კურსის სტუდენტი, 22 წლისა გარდაიცვალა 1945 წელს იმ დროს უკურნებლად მიჩნეული სნეულებით რამდენიმე წლის ავადმყოფობის შემდეგ. მიუხედავად ამისა. მის პირად არქივში შემოინახა საკმაოდ დიდი რაოდენობის ფოლკლორული და ეთნოგრაფიული ჩანაწერები, რომელთა გაცნობაც გვაყენებს სამწუხარო კეშმარიტების წინაშე - ქართულ ფილოლოგიას დაუკარგავს უალრესად ნიჭიერი, იშვიათი მეცნიერული ალლოს მქონე, დიდი შემოქმედებითი გაქანების მეცნიერი-მკვლევარი.

არქივი სულ ერთ მოზრდილ საქლალდეშია მოთავსებული, მაგრამ მოიცავს ერთობ მრავალფეროვან და მნიშვნელოვან მასალებს: აქ არის რამდენიმე საერთო

რვეული თუშური ხალხური ლექსებით, ზღაპრებით, ეთნოგრაფიული და ლექსიკოგრაფიული ჩანაწერებით; არის დღიურები და სამი სამეცნიერო გამოკვლევა, რომლებიც სტუდენტობის მე-2 და მე-3 წელს წარუდგენია და წაუკითხავს სტუდენტთა სამეცნიერო წრის სხდომებზე. ესენი სრულიად სერიოზული, ორიგინალური ნაშრომებია, მნიშვნელოვანი დაყენებული საკითხების აქტუალობითა და მათი გადაწყვეტის გზების ლოგიკურობით. ამასვე ადასტურებს ამ გამოკვლევებისათვის დართული რეცენზიები, რომლებიც დაუწერიათ იმ დროს დოცენტებს ნიკოლოზ კანდელაკსა და შოთა ძიძიგურს.

კაზიკურის მიერ ჩაწერილ თავისთავად უაღრესად მნიშვნელოვან მასალებში განსაკუთრებით გამოირჩევა ერთი 96 ფურცლიანი რვეული, რომელიც ფოლკლორული მასალის გამოცემის ყველა წესის დაცვით შედგენილი თუშური ხალხური ლექსების მშვენიერი კრებულია. იგი მას 1944 წელს შეუდგენია. რვეულში სულ 285 პოეტური ტექსტია შესული. ლექსებს სათაურები არა აქვს, მაგრამ გადანომრილია და თითოეულს ახლავს სრული პასპორტი - მითითებულია ჩაწერის წელი, თვე და რიცხვი, ადგილი, მთქმელის გვარი, სახელი და მამის სახელი, წლოვანება. შიგნით სტრიქონები ხუთეულებადაა დაყოფილი. ბოლოს დართული აქვს შენიშვნები, სადაც მოცემულია ზოგი ტექსტის ფრიად საინტერესო კომენტარი. ასე რომ, სისრულითა და თემატური მრავალფეროვნებით, ეს კრებული ბევრად აღემატება თუშური ლექსების მანამდე არსებულ კუბლიკაციებს.

ხოლო ჩაწერის ხარისხითა და რედაქციული გამართულობით არა თუ ტოლს არ უდებს, არამედ სჯობნის კიდევაც მის შემდეგდროინდელ გამოცემებს. ცნობილია, რომ თუშური დიალექტი თავისი ფონეტიკურ-მორფოლოგიური თავისებურებებით მისი პრაქტიკულად არმცოდნე პირისათვის საკმაოდ ძნელად აღსაქმელია, რაც გარკვეულ დაღს ასვამდა და ასვამს ხოლმე თუშურ ნაბეჭდ ფოლკლორულ თუ ეთნოგრაფიულ ტექსტებს. ამ მხრივ აქ წარმოდგენილი ჩანაწერები სანიმუშოა.

ამ რვეულში არაერთია ისეთი ლექსი, რომელიც უცნობი იყო მანამდისაც და არც მას შემდეგ გამოჩენილა ფოლკლორულ კრებულებში. ბევრია ლექსი ხალხური გადმოცემების გმირებზე. თუმცა ისინი ხშირად დიდად არ განსხვავდება ცნობილი ვარიანტებისაგან, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანნი არიან ჩაწერის ტექნიკური სრულყოფილებით და ზოგი ცნობით, რომლებსაც გვაწვდიან ისინი ამა თუ იმ ეთნოგრაფიული რეალიისა თუ პიროვნების შესახებ.

აქ ვპოვებთ საკმაოდ ბევრ ორ და სამსტრიქონიან პოეტურ ნიმუშებს, რომლებიც ერთი შეხედვით კაცს შეიძლება დიდი ლექსების ფრაგმენტებად მოეჩვენოს, მაგრამ კოსტა აზიკურის მახვილ ლიტერატურულ ალღოს სამართლიანად დაუნახავს ნაზი ლირიზმით დატვირთული ლექსები და შეუტანია კიდევ ისინი თავის რვეულში ცალკე ნომრებად. ნიმუშად შეიძლება მოვიყვანოთ ერთი, თავისი ლაკონიურობითა და განცდის სიმძაფრით განსაკუთრებით საყურადღებო ლექსი:

- გულივ, დედო, გულივ, - გულშიბიანამავ,

- უბემასრიანმავ, ყელყაწიმიანმავ.

"გული, დედავ, გული", გული მტკივაო, ჩივის "გულ-შიბიანა" - ვერცხლის ძეწკვებით საგულეშემკობილი ასული, ყელყაწიმიანი, უბემასრიანი ჭაბუკია ჩემი გულისტკივილის მიზეზიო.

კოსტა აზიკური შეიძლება ჩაითვალოს თუშური ფოლკლორის ერთი მნიშვნელოვანი უბნის - ხმით ნატირალი ტექსტების შეკრების პიონერად. მანამდის ცნობილი იყო ფშაური და ხევსურული გვრინები, ნატირალი ტექსტები, რომლებიც თიბვის დროს სამღერ ე.წ. "მთიბლურებთან" არის ორგანულ კავშირში. თუშური ფოლკლორის ნიმუშებში კი ასეთი ტექსტები დიდხანს არ ჩანდა. თუ სადმე ვინმეს ერთი-ორი ნიმუში მოუპოვებია, იგი ცალკე ჟანრად არავის გაუაზრებია. კ.აზიკურის მიერ 1944 წელს შედგენილ ამ რვეულში ხმით ნატირლების 21 ნიმუშია შესული. ჩანაწერების ხარისხის სრულყოფილება აქაც საგანგებოდ უნდა გაიხაზოს.

ნაკლებად იყო ფიქსირებული თუშური ხალხური ეპოსის ნიმუშები. ამ მხრივაც მნიშვნელოვანია კოსტა აზიკურის ღვაწლი. რვეულში, რომელზედაც აქ გვაქვს საუბარი, შესულია 1944 წელს ჩაწერილი ამირანიანისა და ეთერიანის თუშური ვარიანტები. თუ პირველი ფრაგმენტულია, მეორე სრულია და მნიშვნელოვანია იმით, რომ ენობრივად და ეთნოგრაფიული რეალიების მიხედვით თუშეთში ხანგრძლივი მიმოქცევის ბეჭედი აზის.

წინამდებარე კრებულში შესული ლექსები აღნიშნული რვეულიდანაა ამორჩეული. გამომცემლობის პროფილის სპეციფიურობის გამო არ ხერხდება თანდართული მეცნიერული აპარატის დაბეჭდვა. გამოსაქვეყნებელი რჩება ეთნოგრაფიული და ლექსიკოგრაფიული ჩანაწერები. ამათი პუბლიკაცია კი საიმედო წყაროს შესძენდა ქართულ ფოლკლორისტიკას, ეთნოგრაფიასა და დიალექტოლოგიას, ხოლო ადრე წასული მკვლევრის სახელი ჰპოვებდა სათანადო დაფასებას მისი უმწიკლო ღვაწლისათვის თავისი ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

გიორგი ცოცანიძე

# პოეზია

## 1. ზეზვა მოღბიჯავს ველადა

საფლავით ამოხვეწილი ზეზვა მოღბიჯავს ველადა,  
დაულეკია ფრანგული, ნამტვრევიდა აქვ ხელადა,  
უძახის თავის ლურჯასა, თათრებს დავეცნეთ კერადა,  
ჩავეყაროთ ალაზანშია, სისხლი ვადინოთ პერადა.

## 2. არ დაიჯეროთ, მთიელნო

ენამ გახმება მთქმელისა, ზეზვაი აღარ არიო!  
სიკვდილს არ წამოუწვება ქაჯანგიანი ხარიო.  
არ დაიჯეროთ, მთიელნო, კიდენ მოგივათ ჩქარიო,  
ტატნობით გაღმოგიყვლებსთ, "გაფრინდაული ვარიო".

## 3. ვირჩევ თურ ტერელოელთა

შიგადშიგ კანთნი მითხოვენ, შიგადშიგ ტერელოელნი.  
კანთელთ მიქადეს ნებაი, ჩრდილოთ არ გამოყვანაი,  
ტერელოელთა მიქადეს ჯალაბთას ჯორით რომაი.  
ვირჩევ თურ ტერელოელთა, ძმათას ვერ დავსთმობ  
რომასა,



ტმოშტის პირ ყველსა-დ დუმასა ცირკლის ტევანი  
ვირჩიმე.

#### 4. თილიძე

კვავლოში ტაშებს უკრავენ, ხმა დართლოს ჩამოდისაო,  
ქაჯაგნიანი თილიძე გორდაგორ გადმოდისაო,  
გადაუხტება ქისტებსა, ხმლის ნაცხერ ამოდისაო,  
ტახტას დაკიდულ მკლავებსა სისხლები ჩამოზდისაო.  
თილიძის წითლა დაღლილი გულმოსაკლავად ხვივისა,  
ტოტიოთ სამ ქისტის მომკლავი გაუსჯელობას ჩივისა.

#### 5. მეცხვარენ რადარ მხედავენ

ქისტიმცე მომაკვლევინა, გან ერთი, ათი მაინცე.  
ხელებს დავშკრიდე სუყველას, მაინც წავიღებდ,  
მაინცე,  
იარალს ელში დავლმალევდ, თავად წავიდოდ შინისკე,  
პირდაპირ არას ჩავიდოდ, ჯერ გადავიდოდ ბინისკე.  
მემცხვარენ რადარ მხედავენ: სიდიოთა მაქეის ხელები.  
იქიდან წამომავალსა გადმომეარა ველები,  
გზაშიამ ქალებ შემყარა, ქორწილით წამომსვლელები.

## 6. გატყობ, გეშინის, სალარო

ცხენს ეტყოდ ნასკვაურიძე, როშკას გაზდილსა  
სალარსა:  
გატყობ, გეშინის სალარო, ბექს ვერა ხტრინავ  
მაღალსა,  
დაგაბამ სასალამოვოდ ბუყუჩას ყოჩის ბაგასა,  
თივა-ქერს ბლომად დაგიყრი, თუ ბექს ჩახტრიხდებ  
მაღალსა.  
ყიდულში ყანებს გვიქებენ, დაგაგდებიანებ ნალარსა.  
მეორე დილა ხედავენ, ნასკვაურიძემ სად არსა.  
ნასკვაურიძე ომშია, მაგის გამოსვლა გძლად არსა,  
ლეკებს ხხოცს, ხელებს არ აქრის, ხევსურეთს წესად  
არ არსა.  
ხელნ დასკერ, ნასკვაურიძევე, უხელოდ სახელ არ არსა.

## 7. წინ თორღვა შემოგეყრება

მოდი დაგვეხსენ, ვაზუზო, თუშეთის გეყო ზიანი,  
ახლა გადადი ხევსურეთ, ხმალი დაგხვდება ფხიანი,  
წინ თორღვა შემოგეყრება, ღვთისაგან ნაწილიანი,  
ფარსა და ხმალსა შენ მოგცემს, დაშნა დამალა ფხიანი,  
მარჯვნიდან წამოგიბრინა, მარცხნიდან დაგკრა ზიანი,

გულისპირს დაგცა დაშნაი, ბორტვი გაკმეკი მტვრიანი,  
ჩაგიტან ძაგლოვანაში, ზედ ნაბად დაგხურ ცვრიანი.  
თავსთან ჩამოგისვ ყორნები, ძვალი ახვრევი წვნიანი  
თორღვავ, ვაზუზის მომკლავო, ნეტა რა გქონდა ფარადა.  
კახეთში ბატონ გიბარებს: "ერთი ჩამოდი ბარადა",  
ეგეთი ცხენი გაჩუქოს, შინ მიგიყანოს ჩქარადა,  
ტანთ გამოგაცვლევს ხალათსა, ჰვესურთ ბიკების ჭავრადა.  
სალექსოდ გამომიგზავნე საყურე გუგუმიანი.  
საცოლედ არას მიკადრებ, - აზნაური ხარ ყმიანი.  
ჩემის ქებითა, თორღვაო, ნუ გაიდიდებ თავსაო,  
.....მამა მეცა მყავ ხმლიანი,  
ქარ-ბელაქნიდან მოუდის ყოჩი, ვაცები რქიანი.  
იკითხე გომეწარშია, ვერხოვან, ქავთარმქვიანი.  
ემაგის მომღლექსობელი ქალ გომეწრელი თმიანი.

## 8. ტყესა ჩამოზღის ფოთოლი

ახლ მოიდ შემოდგომაი, მთებმა იცვალეს ფერია,  
თეთრებს იხურვენ ნაბდებსა, საზამთროდ მხადდებიანა,  
ზამთარში ზძინავ თოვლქვეშა, გაზაფხულს ადგებიანა.  
მიხფ-მოხფანტავენ თოვლებსა, ქვიშები დაჩნდებიანა,  
ტყესა ჩამოზღის ფოთოლი, ხეები შავდებიანა.  
ყველა საწუთრო ცხოველი ბინებში ჩადგებიანა,

გაუქირდება ცხოვრება, ვინც ველზე დარჩებიანა.  
ამბობდა ლეკი ხარება, მომწყინდა ასე ტარება,  
საითაც წაველ-წამოველ, სუ ყველგან ხაფანგებია,  
უთუოდ ჩემი დაქერა სუ ყველას გულში ზდება.  
მტერი კი ვერას დამაკლებს, მილალატებენ ძმებია.  
ძმისა ღალატი ძმისათვის ის უფრო მეტად ძნელია.  
მე ცუდი ვნახე სიზმარი ამ შემოდგომის ხანზედა,  
ხეთიშობელ გამომეცხადა, შუქ დამაყენა თავზედა  
და მითხრა, მამულის მსხვერპლო, მშვიდობით წახვალ

გზაზედა,

ჯვარ გადამწერა სამჯერა, მნახა, გაბრუნდა წამზედა.  
მე ველარ ვნახავ გაზაფხულს, არც კი დაეუწყებ

ლოდინსა.

ბერ მუხა დამპატრონდება, ტოტებს გამიშლის სუფრადა.  
გვერდს უდგა ცხვარი დიდმუხა, ცხვებიც სტანია

მზვერლადა,

ავდარში ასტირდებიან, ნამს დამაყრიან ცრემლადა.  
რო მოვა შემოდგომაი, სუფრას დამაყრის სუდრადა,  
ბარი მოტირლად მექნება, მალლა მთან მომიგლოვებენ.  
მარტო მე მომიგლოვებენ, ვერ მოიცილიან ცხვისადა,  
მე რაკი ველად ჩავედი, ვერვინ<sup>1</sup> მალირსა ცრემლია.  
არცა მე ცრემლი მელირსა, ვერცა ვემთხვიე ჯვარზედა.  
ნუ დამივიწყებთ, სწორებო, მეც უგვირგვინო ვარია.

პირველად ცხვამან შემაცდინ, არ არის ჩემი ბრალთა.  
თუ ვისმე დაგენანებით, მალრანის თავში ვარია.  
ღალატით დაგვკრეს თოფები, ვერ გამოვიღე ხელია,  
გაფრინდა ჩემი სიცოცხლე, წითლად შევლებეთ ველია.  
აქ გამოდიან ხანდისახან, ჩუმად გვტირებენ დანია,  
ბიკებიო, თქვენ მოლაღალტეს ყელზე ეხვიოს გველია.

### 9. აღმოსავლეთით ამოჩნდა

აღმოსავლეთით ამოჩნდა ერთი ლამაზი ქალიო,  
ამოჰყვა საყურ-ბეკედი, უყრიალებდა ქარიო.  
მოდო აკოცეთ ბიკებო, მე ვარ მაგ ქალის ქმარიო.  
ბიკმან აკოცა, რუგვენმან, თავს გადიმტვრია ხმალიო.  
გაწყრა, გაჯავრდა ხვარამზე, მალლა შეშალა თმანია,  
გადაჯდა მამის ლურჯაზედ, შემოარანა მთანია  
სარბენლად არა ჰყოფნიდა დელიჩის მოედანიო,  
სასმელად არა ჰყოფნიდა მტკვარი და ალაზანიო.  
დაეწაფა და ზღვა შესვა, გაგლიჯა მოსართავია,  
შიგ იყო ვარდის ფოთოლი, აბიბინებდა ქარია.

### 10. ბიკო, ქალის სურვილი..

ვინამ ჩამოხვალ გორდაგორ, ცხენიმ ვის მოგყავ რეტადა;

ცხენი გყავ ფეხში გამომბალ, ვერ გევალების მეტადა.  
ბიკო, ქალაის სურვილი მხარს მოგადგება ლეწალა,  
ვერც ლხინობ, ვერცა სთამაშობ, გადაქცეულხარ ძილადა.

### 11. ადექ, არასადგომელო

ადექ, არასადგომელო, ცხენს დაუყარე ღანძილი,  
ნანდობსაწ ცხენი გტაცებენ, წოლამ რას გარგებს  
ან ძილი.

### 12. დღისით მიყრიან ბორკილებს

წვიმა უწვიმავ ღრუბლებსა, დამდგარა ნაგუბარია,  
შიგ ამოსულა ფურცელი, წვერამდის დაბურულია,  
შიგა ზის ქალი ლამაზი, ბაგრატიონთა გვარია.  
იმ დღეს რო ქალი დავიკარგ, განჯას თათარსთან ვარია.  
დღისით მიყრიან ბორკილებს, ღამის თათარსთან ვარია.  
წინ მიდგას ოქროს ლამბაქი, ზედ კვიცის ხორცი აწყვია,  
ზედა ძეს დანა ჯავარი, ტარი გიშრისა აგია.  
მინდა, რომ ვკამო, მაგრამა რჯული ვერ გამიტეხია.

### 13. ივანის თინა ქალია

გზის პირზე ცხვარსა ვაძოვებ, ვკითხულობ, ვინ ვინ არია.  
აგერ გამოჩნდა ლამაზი ივანის თინა ქალია,

ხელში ეჭირა გარმუნნი, ხმა ხქონდა, როგორც ზარია, უკვენ მოზღვედეს ქალები, გადაიარეს მთანი, უცოლო ვიყავ, ბიჭებო, გადავაყოლე თვალია.

#### **14. დიკლოს მოვიდა დიდოი**

დიკლოს მოვიდა დიდოი, დენგამ შეხყარა ჯარიო, შეადგნეს საკახეთოსა, ხეს აღარ შერშჩა წვერიო. სასმელად წყალი არ ეყო, აღაზანი და მტკეარიო, საძოვნელადა ბალახი, თრიალეთისა მთანიო.

#### **15. ამ ჩემსა ცხენსა გავყიდი**

ამ ჩემსა ცხენსა გავყიდი, ცოტა რომ შემიბერდესა, კვიცსა ვიყიდი ქურანას, გული რო შემიჭერდესა, გავხკიდებ გძელსა მინდორსა, ძუა-ფაფაროთ შლიდესა, ერთგულის კარზე ჩავავლევე, გულს ორგულისას ჰგლიდესა, ძმობილის კარზე დავაბამ, ლურჯ თივა-ქერსა შლიდესა.

#### **16. თურსიეხ წყალო, მდინარო**

თურსიეხ წყალო, მდინარო, ნაჯურო მალლა მთისაო, ჩამთქმელოლ თეთრის ცხენისი, ზედ კარგის კაბუკისაო,

ზე პერად წამომღებლო, ქუდისი-დ მათრახისაო,  
დილა-საღამოდ საგონო ქალისა ლამაზისაო.

### 17. მომიცად, უშვერაულო

მომიცად უშვერაულო, მეც მონადირე ვარო,  
თუ შენ ხარ ნაწილიანი, მე ვარი ნაბიკვარიო.  
მე შენ არ ჩამოგირჩები, თუნდ დაიკვებო ქალშია.

### 18. ღმერთო, მომგვარე მშვიდობით

მეაწ ერთ ვინამ მეგონა, ვაწყობდე გუნებასაო.  
ადგა, წავიდა შირაქში, ცხვარს გახყვა, ცხორებასაო,  
ქალბნები დაეხოდეს, წინდები კარგუნასაო.  
ღმერთო, მომგვარე მშვიდობით მაისის გადენასაო.

### 19. გადმიარა ღრუბელმა

გადმიარა ღრუბელმა, ვარსკვლავნ გამოჩნდეს ცისაო,  
ვარსკვლავი-დ არც რა ვარსკვლავი, შუქ იყო  
ლამაზისაო.

გავიხედ-გამოვიხედე, ვიდექი ცხვრისა პირსაო.  
ცხვრის პირი როდი მეგონა, კკვა ნახეთ ჭეილისაო!



არ ვიყავ ცხერისა პირასა, ჰქვა მეგონ ქალებისაო.  
ვიფიქრე, ვითომ ვარ აღვანს, ვათვალეიერებ ერთსაო.  
იქ თუშის ქალებს რა უნდოდ, ვიყავ შირაქის თავსაო,  
გვერდით მედგ თოხლების ფარა, ხმა მესმოდ

ძაღლებისაო,

თავზე შესროდა სეტყვასა, ნაპირ მთხეებოდა ცხერისაო.  
დავწექი თოხლის თეოზე გულმოკლულ საყვარლისაო,  
აღარცა მომდის თვალს ძილო, ველარც ვერჩევი ფიქრსაო.  
აღვანში ქალო ლამაზო, ცისკარო თენებისაო,  
არა ხარ კაცის ნაშობი, ხარ ანგელოზი ღვთისაო,  
გამოგზავნილი უფლისგან, ხმელეთს ემჩვენე ხალხსაო.  
აღდგომას გნახე ლამაზო, იდექ სანების პირსაო,  
ხელში გეჭირა სანთელი, მნათობი ხმელეთისაო,  
ერთურთსა ედარებოდით, ნათობდით საყდრის კარსაო.  
გვარიც ვიკითხე, ლამაზო, ყოფილხარ უცხო მხრისაო.  
ამომიჰრელდა გუნება, ფერი დამედვა მკედრისაო,  
გამწესებელი ვინ იყო, სული მას წაუწყდისაო.  
რა იყო უფროს-უმცროსი, თუ ქალს დაუჯდებ ჰქვაშია.  
გულში ჩავარდნილს სიყვარულს, ავა მომთმენსა  
ყმისაო,

მომავონდება, ვიწვები, ლოდივით მაწევს გულსაო.

## 20. ტბათანის ღამევე

ტბათანის ღამევე, ტიალო, ნაქარგო ვარსკვლავებითა,  
ვერცხლჩამოღვრილო გარს მთებო, რომ დაგვცქერთ  
დევებივითა

თეთრად შეკრულო ღრუბლებო, რომ გეცხართ  
ნაპირს ცხვრისასა,

ხანდახან ბარსაც ეწვევით, მას ამბავს ეტყვით მთისასა.  
ჯანლით ნაგეშო ხევებო, ტბათანას გიყვართ რბენაო,  
ჯარივით იცი ამოსვლა, რა დაგასვენებს შენაო.

გაღმით ქოჩადლის ხევებო, მომსწრეო ცოდვა-ბრალისა,  
ძმადშეფიცულო ბაწარავ, წყალ რო ჩამოდის ბროლისა.  
როგორ უცინი ტბათანას, სუმბუქის ტაფე, ხიანო,  
დაყრილხარ დასასვენებლად ქირტლებში, ძროხავ  
რძიანო.

ქალის კბილივით მოსჩანხართ, ზევებო, ხევ-ხევებშია.  
ცრემლი ჩამოგდისთ ნაჯური აქა-იქ უბეებშია.

კუპრა-ბულანჩოს ცერებო, მოძმენო სპეროზიისა,  
ჯმუხად ჩადგმულო კლდეებო, ჯიხვი ბებერი მანდ ზისა.  
ბორბალოს კუქო, მაღალო, საფარო ღრუბლებისაო,

ბევრის მომსწრეო, მნახველო, დედაო ალაზნისაო.  
ალაზნისთავო, ლამაზო, საცხერეო თუშებისაო,  
მალე ჩაიცმევ ლურჯ კაბას, ექიმო ღრუბლებისაო.

ტინის მთავ, დაქანებულო, გზაო საშიშოვ მგზავრისა,  
ნალით ნასიპო, ნასხლეტო, სარკეო ბადრი მთვარისა.  
შრიალა ტყეო წიფლისა, ქოჩორაყრილო, მწვანეო,  
ნიაეო ლალო, მთებისა, შენ არ გაძინებს ლამეო.  
წინაგორს, ძმაო, ტოლოშავ, ნაქედო წიფლის ძირითა,  
ბებრის ტაფეო, კოტორავ, ნაქებო წოვათ პირითა.  
მელორის წყაროვ, ანკარავ, ტოლოშას ვაკეე ტყიანო,  
მგზავრისა საგრილობელო, უბეებმაყვლებიანო.  
თქვენში მაცოცხლა, მალხინა, თუშთა მოლექე მქვიანო.

## 21. ცისკარმა ამონათა

ცისკარმა ამონათა, თუძე შეიძრა ცისაო,  
მწუხარე-დ შებლი გაუხსნა ლამით დამღვარსა ბინდსაო,  
ვარსკვლავნიც ეფარებიან შორი მზის შუქის ჩრდილსაო,  
ხევებიც მარდად ჩადიან მალალი მთების ძირსაო.  
სამცორნოს სუსხად გადმოხყვა ცივი ნიავი მთისაო.  
მგზავრი დამღვარა სამყირნეს, გამოერკვივენ ძილსაო,  
ყველას გულს გამოესახა სიმძიმე შორი გზისაო,  
მაგრამ ამინდი კარგია, არავინ შესწუხდისაო.  
აჰკიდეს ცხენებს, გამგზავრდნენ, მადლი ახსენეს  
ლეთისაო.  
ავიდნენ სამცორნოზედა, მზე წითლად ამოდისაო,

თითო აქ დაილოციან, წესია თუშებისაო  
და გადმოეშენენ თავქვეზე, ყველას ღიმი ჰკრავ პირსაო.  
მოდიან მხიარულადა, ფიქრი არ არის მტრისაო.  
რა იცის კაცმა, სად ქრების ვარსკვლავი სიცოცხლისაო.  
რა იცის, მიწა სად შესვამს კარგი ვაჟკაცის სისხლსაო,  
სად გადინათლის სალი კლდე სისხლისა იაზმითაო.  
მზე მალლა წამოსულიყო, ხანია შუადღისაო,  
დაბლა ნაწოლი ღრუბლები, მთის წვერებს ეხვევისაო,  
ყორანსაც მოსვენებითა ფრთა ჩამოეშვა ძირსაო,  
ხანდახან შემოხყრანტალებს, ხმა ჩაუწყდება პირსაო,  
უცებ გაისმა "დადექით!" თან თოფებ გამოსტყვრისაო,  
დაბორიელდა ცხენ-ძროხა, გზა ველარ გაიღისაო,  
ცხენიდან გადმოხტ გიორგი, ქარივით დაბრუნდისაო,  
თოფი მოიგდო გვერდზედა, არც არას მოჰფარდისაო,  
დაუმიზნ ქისტის ტიღასა, მეხივით გავარდისაო,  
მაგრამ დაასწრეს რაჯულძაღლთა, დრო არ აცალეს  
ცდისაო,  
გაგმირეს ცხელი ტყვიითა, მოარტყეს გულის პირსაო.  
ტყუილად მოჰკლეს გიორგი, შუქ დაუბნელეს მზისაო.  
სიტყვაწყლიანის მოთქმითა ბაგენი დადუმდისაო,  
მუხლი კეთილად მავალი უდროოდ წაექცისაო.  
ეგ დედაშენი, ბეჩავი, მნახველი შავი ღღისაო,  
გიცემეს თოფის კონდახით, არ შერცხვათ მოხუცისაო.

დედას რო სცემდნენ, საბრალო, გიორგის ეძახდისაო:  
 "მიშველე, შვილო, გიორგი, სისხლით მივსებენ პირსაო".  
 გიორგი ველარ გიშველის, მკვდარი წევს გზისა პირსაო,  
 ამხანაგებიც დახოცეს, სისხლი ღვარადა დისაო,  
 არსადა ჩანან პატრონნი, არც მკვდრის, არც  
 ცოცხლებისაო,  
 მხოლოდ მოსჩანან აქა-იქ ნაგლეჯნი საპალნისაო.

## 22. ხევსურნ წავიდნენ ქისტეთსა

ხევსურნ წავიდნენ ქისტეთსა, გადაიარნეს მთანია,  
 რო გადავიდეს ქისტეთში, გადაერივა გზანია,  
 წინ დახვდნეს ქისტის ქალები, ციხეს აუღეს კარია,  
 მითხოში კაცი გაგზავნეს, ეხლა გვიჭირეთ მხარია.  
 საჩქაროდ მოიყრებოდნენ სულხან, ბათაკა ძმანია.  
 ხოხის მინდია გვაჩვენეთ, ბევრი გვიმართებს ვალია  
 რად გინდათ ხოხის მინდია, თქვენ ხელით არის მკვდარია.  
 ბეწუკამ ნანაიძემა ფეხზე ჩაიცვა ჯლანია,  
 სარკმლიდან გადმოუფრინდა, თან გადმამიყოლ ხმალია,  
 შვიდი-რვა მოკლა ომითა, გავარდა ნიავე-ქარია.  
 ხოხის მინდიამ უძახა: ახლ მე მიჭირეთ თვალია",  
 ისიც სარკმლიდან გადმოხტა, თან გადმამიყოლ ხმალია,  
 თორმეტი მოკლა ომითა, გავარდა ნიავე-ქარია.

ვერც კი დასწვდნიან სახმლელა, ვერც კი მოხკიდეს  
თვალია.

რო გადავიდნენ ხევსურეთს, შეყარეს ქალი-რძალია:  
უნდა გაიმბოთ ამბავი, ეს ჩვენი ცოდვა-ბრალია.

ქისტეთში ქალმან მოგვატყუვ, შინ არა მყავის ქმარია,  
ჯერ ხომ შინ შემოგვიტყუვა, მემრ თავს დაგვახვი ჯარია.

ქისტეთში ციხე გავტეხეთ, გადმოვხტით ნიავ-ქარია.  
ვერც კი მოგვწვდნიან სახმლელა ველარ მოგვეკიდეს  
თვალია.

### 28. ბეჩავნი მემცხვარეები

ბეჩავნი მემცხვარეები ცის ნაპირს მოივლიანა.

რა უჭირს შინაურებსა, სხედან, ტარებსა სთლიანა.

სამ-სამ, ოთხ-ოთხი ძროხა ხყავ, მაგრა გირკლითა ღბიანა.

ბალღები ნეხვსა ხვეტავენ, ცოლები ჩალას სწვდიანა,

შემოსტირიან დედებსა, ვა დედავ, პური გვშიანა.

ქირიმ დაგლევსთა, ბალღებო, დედას გან პური ხქვიანა,

ებლალა წავილ წისქვილში, ჯერაც არ დაუფქვიანა,

თუნგებით, წყალსა სცლიანა.

### 24. რანიც კარგნი ვართ

- რანიც კანი ვართ, შინა ვართ, ცუდები ცხვარში

ხყრინანა.

-რანიც კანი ვართ, ცხვარში ვართ, ცუდები სახლში  
ხყრინანა,  
შემოაკლდება საკმელი, თოვლ-ქარში ტყეში დინანა,  
შინ მოვლენ შეცივებულებ, ცოლები ნიფხვებს ხხდინანა.  
შინაურების ცოლები ძალლებს დახკრეკენ კუდებსა,  
არ გამოუდის ჯუბები, კმრებს უთელავენ კუდებსა.

## 25. ქალმა დასწყევლა მემცხვარეს

ქალმა დასწყევლა მემცხვარეს, ლამაზმა თავის პირითა:  
"ცხვარიმ დაგელევ, მემცხვარევ, ამოგიწყდებამ კირითა,  
ტყავებას ველარ აზდიოდ, ეზიდებოდე ვირითა.  
ნულარამ ჩახვალ თრიალეთს, გათეთრებული ბინითა".  
ახლა დასწყევლა მემცხვარემ თავის ალალი გულითა:  
ქალ, ტყვედამ წაგიყვანენა, დაფა-ზურნით და სტვირითა,  
შემოგეყრებამ მემცხვარე, ფული მოხქონდეს ჯიბითა,  
დაგიხსნის, გამოგიყოლებს ხელფანდურით და  
ლხინითა".

## 26. ქალმა დასწყია მემცხვარეს

ქალმა დასწყია მემცხვარეს, ლამაზმა თავის პირითა:

"მემცხვარევ, ცხვარომ დაგელევ, სუამ გაგიწყდებ ჳირითა, ახ-ჩახვიდოდე სოფლებზე, ტყავებ დაგქონდეს ვირითა":  
"ქალ, ლეკნიმ წაგიყვანენა, დაფა-ზურშითა-დ სტვირითა, უკვენ მოგდევდენ ძმა-შინშნი გახურებული ომითა, გაბრუნონ, ვერ დაგაბრუნონ, დაბრუნდენ ცარიელია. წინამც მემცხვარე შემოგყარ თავის ფულიან ჳიბითა, დაგიხსნეს, წამოგიყვანოს, მოხყვანდე სიხარულითა".

## 27 თუშეთს მობძანდა მოვრავი

ყური დამიგდეთნ ბიკებო, ქებაა თავადისაო,  
სოლომონ მაყაანთაი, მოვრავი თუშებისაო.  
თუშეთ მობძანდა მოვრავი, სვეტი თან მოხყვა ხეთისაო,  
თუშები კარგა დაარიგ, თუშებსაც ეამისაო.  
დღემუდამ წიგნებ მოუდის, ნაჩალიკ ჳარებს ხყრისაო,  
დაჯდა, დაღონდა მოვრავი, ჳარ საით მიუდისაო.  
ადგა და ცხენი შეკაზმა, ფიცხლავ ზედ გადაჯდისაო,  
ნაჩალიკს ეახლებოდა, ჳარ საით მიგიდისაო.  
- დღემუდამ კაცებ მომიდის, ქაჩუ სავსეა ცხვრითაო.  
- შენ ქაჩუს როგორ გადახვალ, დღემუდამ ქისტებ  
დისაო.

მოვრავი გამოაბრუნა, შეეკრა შენ იცი გზისაო.  
ჩამოიარა აღმისხევ, ქისტებსაც ჩამოხკრეფდაო,



ფარსმაში ჩამოუდიოდ ერთ ჯარი ქისტებისაო.  
ფარსმის შუუბან დაგროვდეს, ხანია შუადღისაო.  
აგას ნუ დაენდობითა, ლაბაზანისა შვილსაო,  
დამბაჩა დაუმალავის, ყამს არა სიკედილისაო.  
დამბაჩა მოვრავს დაგვიცა,ახლ ხანჯარს წაიწვდისაო,  
ხანჯარ იასავლს დაგვიცა, თითონ ხომ გაიქცისაო.  
ივანე, რუსი ყაზახი, არწივ მხარს ჩაგვიშლისაო,  
მხარზე ხკიდია ხირიმი, ტალ უძეს ოსმალისაო,  
თოფი დაგვიცა აგასა, სულხსენოდ მოვრავისაო,  
მოვრავისადადმც იქნები სულეთს მომტანი წყლისაო,  
თუნაურიზეს ივასა შერტყმა რად უნდა ხმლისაო,  
გვერდით მოუკლეს მოვრავი, ჳერა ვერ გიგო მხრისაო.  
ცხვათა ნახოცსა ქისტებსა ივაი ხელებს შჳრისაო,  
ნაჩალიკს ატყუანებდა, ხელებ მაქვ ქისტებისაო.  
გაჯავრებულსა ამბობენ იმ ფარსმანელთა ღვდღლისაო,  
იარალი რო ხჳონიყო ხოცა გაბედა მტრისაო,  
ზიარება რომ მიართვა, თვალთ ცრემლებ მოადგისაო,  
ავა მე, ჩემო მოვრავო, რა ვუთხრა შენ ცოლ-შვილსაო.  
ვერას გაგაქებთ, თუშებო, ადგილს არ იყვენთ ცდისაო,  
ემაგის მომღეჳსობელი დართლოს ჳვეუბან ჳისაო.

## 28. ივანე ბახტურაიძე

რა კარგა ხარი, ივანე, ჩვენიმ სოფლისა იყვიდი, გან დედა გაგიჯავრდება, ხანთხანად ჩამოგვიხვიდი. ივანე ბახტურაიძე, მწარე ხარ, როგორც პილპილი, სასადილოში სთხოულობ, არცარა იცი სირცხვილი, ჩამივლი ორლობეებზედ, მარგილს გაუქრე სინსილი, გიყვარდა, კიდევ მოგერგო, ალვანში ცხენით სირბილი, გავლა-გამოვლა ქალებში, ბროლის კბილებით სიცილი,

## 29.

- რა მოგიწყენათ, ბიჭებო, რა შეგდებიათ ზარია, არც ვინ გყავ დაჭრილ დაკუწულ, არც ცხენს გვიკიდავ მკვდარია?

## 30. აიმაღ მთაზე გახედე

აიმაღ მთაზე გახედე, რა ლამაზნ რანიმ დგანანა, რქა რქაზე გადაუხვიავ, ნდობიარეებს ღგვანანა. გაიძარ, ჯიხვო, გაიძარ, გაიძარ. გაგითენდება, თვალს მოგკრავს მონადირეი, თოფს დაგკრავს, დაგიშავდება.

### 31. შენ ქმარ წასრულა თრიალეთს

ქალ, რა უბედურ ხყოფილხარ, არა გქონია დავლათი,  
შენ ქმარ წასრულა თრიალეთს, გადაუვლია ქალაქი.  
ქალაქ უვლია ბოზვებში, უძლიავ ხუთ-ხუთ მანათი  
- დაიც თუ მაგათ მაგრე ქნეს, ეხლა მე ვიცი მაგათი:  
წმიდის შინ მიდგას გოდორი, არაყ გამოვხზად ქერისი,  
წერილ-წერილად გამოვიზოგავ, მოყმე ბევრია ლამაზი.

### 32. ცეცხლო, რა ლამაზ ინთები

ცეცხლო, რა ლამაზ ინთები, ალო, არ ამოხვალთ.  
ქალო, ქმარს აღარ უნდისხარ, გარეთ არ გამოხვალთ.

### 33. ომალო ჩამოვიარე

ომალო ჩამოვიარე, გორ-ვაკე მწვანელიანი,  
და-ძმანი ისხდეს პურადა, წინ ჭიქა ედგა ცვრიანი.  
ვეწიე, არ დამიწიეს, ქალსამ რა მექნა რიალი.  
თუ ქალს რა მექნეს რიალი, ჩემ დედა ჩემზე მტირალი,  
თუ არა-დ ცუდად მოთქვამსა სახლ ედგას სატირლიანი.  
შინითიმ ზალი წაუვა მტირალე, თვალცრემლიანი,  
სახლიცამ ოხრად დარშჩება, მორთული, სარაიანი,

ცხვარ-ცხენიმც ოხრად დარშჩების, მთის ძირუდგ  
თვირთვილიანი.

#### 84. ქალი ვარ ქმარსგანაყარი

ქალი ვარ ქმარსგანაყარი, გორს გავალ, გავნიავედები,  
მინდ ეხლავ შევირთავ ქმარსა, მინდ ცოტას  
შევგვიანდები.

შენ ბიჭი ხარ და დაშავდებ ფიქვისი შეშასავითე,  
მე ქალი ვარ და დავშვენდებ ამბულსა დროშასავითე,  
ვისიმ რა კარად ჩავალი, ჩავებქროლავ ქარებულადა;  
ვისიმ რა გულად ჩავალი, ვატირებ ქალებურადა;  
ვისიმ რა სახლში შევალი, დავბრუნდებ ტარებულადა.

#### 85. დედისერთაო, ღმართაო

დედისერთაო, ღმერთაო, მინდორს გაზდილო ველთაო,  
ვაშლო თეთრო და წითელო, მალლა ნაბამო ხესაო,  
იაგუნდისა ბეკედო, ჩასადებელო ხელსაო,  
ოქრო-ვერცხლისა ქამარო, შემოსარტყმელო წელსაო,  
მე მეტად ველარ გაგაქებ, ანამც არ იქნე ჩემდაო,  
ანამც აზღვე და წამიხვიდ, გამიყვე, ქარავანთაო.

### 36. რაიმ გიმღეროთ, ჭალაბნო

რაიმ გიმღეროთ, ჭალაბნო, რაიმ უფრ გეამებათა.  
მეხიმ გიმღეროთ ყმიანი, ეგემ უფრ გეამებათა.  
ან კერა ქალი-დ ზლიანი, ეგემ უფრ გეამებათა.

### 37. თეთრი დაბუის ჩაჩქანი

აქვარისთავა, მთაზედა, თეთრი დაბუის ჩაჩქანი, ,  
ზოგმა თქვა სულეეთია, ზოგმა - ჩაახურაული,  
ის ერთიც არა ყოფილა, მოზაი რაინაული.  
წავიდოდ საბაკეზედა, ვაჟი თავმოწონებული,  
გამოირეკა საბაკე, ღმერთო, დასწერე ჭვარია.

### 38.

დედას არ დაუბარებავ, ნანას, თორთვაის ქალსაო,  
აიყარიდი იარალ, ჩააბარიდი სხვასაო.

### 39. გაუძელვ, ბექურიშვილო

წინ თუშნი, უკვენ ხევსურნი, ფშაველნ ნელ-ნელა დიანა,  
გაუძელვ ბექურიძეო, ლურჯა გყავ, გიქებდიანა.

გაუძღვის ბექურიშვილი, შარანიც ხანდებიანა.  
თუშნ არ მიდიან სათიბრად,ლაშქრობა გვინდებიანა,  
წაველენ და მოიჩდილებენ, მუკლში წყალ ჩადგებიანა.

#### 40. ლაშარს მოიდა თილიძე

ლაშარს მოიდა თილიძე, დიდგულად დაჭდა ხარია.  
შემოეხვიენენ ფშავლები, როგორც რო ბატონს ყმანია:  
გორგი, შენ აქ არ მოგესვლებ, ბევრი ხქენ ცოდვა-ბრალოა,  
დასწვი, დაზდაგე ხოშარა, ცამდინ აუშვი ალია,  
ხოშარეულის ჭეროსა შენ შეხხსენ რკინის კარია,  
სალუდე დასქერ ქვაბები, ღმერთამდ მიდიოდ ჩქამია.

- მაკალეთ, ფშავლის შვილებო, მალოცეთ თქვენი  
ჯვარია,

საკლავად მომიყვანია თეთრი, ქორენა ხარია,  
ზედაშედ მომიყოლებაჲ ღვინოი ლალისფერია.  
ეგ მიშინ გავარიგოდეთ, როცა გამოვლენ მთანია,  
მთა გაშრეს, ქვიშა გამოჩნდეს, ლურჯამ მოხკიდოს ნალია,  
ტყემან მოისხას ფოთოლი, მხედარმ დამალოს თავია.  
ან ვისა ქუხდეს მაჟარი, ვისა უფრ შქრიდეს ხმალია,  
ბალახს ნამს აბერტყინებდეს თილიძის ცხენის ნალია.  
გირჩევთ, ჭკვით იყვნეთ ფშავლებო, ილით აღარ ვარ  
მთვრალია,  
თორმეტი ბიკით მოვსულვარ, თითო ლომისა დარია.

#### 41. დიკლო-შენიქო დაწვიან

დიკლო-შენაქო დაწვიან, ომალო ალაღ ქნიანო.  
ქალი კდეთ გადავარდნილა, ნინოს ეთერო თქვიანო,  
ამოხედავს და ტრისა, ჩემი თმა კდეთა ხვიანო.

#### 42. დენგამ შეხყარა ჯარიო

დიკლოში მოიდ დიდოი, დენგაყმ შეხყარა ჯარიო,  
არ ეჯერან შენაქოელნი, თეთრად დათოვნა მთანოი.  
დიკლო დაწვიან, შენაქო, ომალო ალაღ ქნიანო,  
ჩამოაშავეს კესელო, ქალ-ვაჟიანი თქვიანო.  
ქალი კდეთ გადაუფრინდა, ზალტეთ გაიღეს ზრიალი,  
"არ ვიყვნეთ ბუსურბნის ხელში, კდენო, შენ გეკვრნენ  
ჩემ თმანი"

#### 43. ჯიხვმა თქვა

ჯიხვმა თქვა, დედა მიცხონდა, კდით ვერვინ გამომიყვანა,  
ერთ პირშიშველა მოყმემა მთა-წვერი შემომიარა,  
ჩხერა მომდიოდ ქვიშისა, ნაპირი ჩამომიარა,  
ფშვინდი ხქონდ გოზაწითელი, ისარი გამომიგზავნა,  
ისარმა ყიაწითელმა ილლიას გამომიარა.

ცერნ დამითავდნეს, ქარაპნი, ჯახან წავიდეს რქისანი,  
ვეფხვის მიმაყენა დაქრილსა, მწკალნ დამცნა  
ნემსისწვრისანი,  
შინ დედა მოელოდება, სადილ აქვ დამზადებული,  
ცარელა არას მომივა, კას დღეს მყავ დაბადებული.

#### 44. ჭიხვო, გუნებამძიმეო

- ჭიხვო, გუნებამძიმეო, კდითა რამ გამოგიყვანა.
- ისარმა ყიაწითელმა, ფშენდმა ჩემისა რქისამა,  
შემოსრევამა უწყალოდ პირშიშველაის ყმისამა.

#### 45. კაი ყმა ველთა მოკვდება

კაისა ყმისა ცოლობა ნუ გიხარია, ქალო,  
კაი ყმა ველთა მოკვდება, შენ დარშჩებ ცარილაო.

#### 46. ნუ გიხარიან, ქალო

ნუ გიხარიან, ქალო, კაის ყმისა ცოლობაო.  
კასა ყმასა კაი ცოლ უნდ, კაი მოქცეულობაო,  
შინა-სახლსა რიგი უნდა, ეზო-ყურეს შვენებაო,  
წასრულ-მოსრულს ხვედრა უნდა, კაი გული-დ გუნებაო,



კაი ყმა რო ველზე დარჩეს, შენ სხვას გინდა ღონებაო.  
დაგრჩებიან წვრილებ შვილებ, ობლებს გინდა ყურებაო,  
თუ იქნები ნამუსიან, შინავ გინდა ბერებაო.

#### 47. თუშეთ მოვიდა ლაშქარი

თუშეთ მოვიდა ლაშქარი, დიდი ურჯულოს ჯარია,  
ჩამოდგა ახორაშიგა, არ გადასწვდება თვალია.  
რაზმი დააწყვეს ლეკებთა, როგორც თათრისა ვაქარი.  
შანჭიმა შავხელიშვილმა ცხენ დაიბრუნა სალარი,  
გამოერია, ხკითხევდა, ძალლი დინგაიმ სად არი.  
თვალმა ნახ., ხმალმა ვერ უწი, თოფმა დახვია სანგალი.  
სახეოს დაწვენეს დარბაზნი, ცამდის აუშვეს ალია.  
შიეტყო ითაბანურმა, მალლ შემოირტყა ხმალია,  
სავახშმოდ ლევანს ეწვია, ლევან, გვმბოძენ ყმანია.  
ლევანმა გამოატანა ათასი მეომარია,  
დაუნთო მაშხალეები, ღამით ინათეთ გზანია.  
შემოდის გძელყანაზედა, შემოუნათოშს ნალია.  
ამოდის ნაქერალზედა, ხვთისა დაადგა თვალია,  
გადმოდის გომეწრის უბეს, ღმერთო, დასწერე ჯვარია.  
ჩამოდგებ ხითანაშია, როგორც ნაგუბარ წყალია,  
ხითანას დადგეს კარვები, ხვთისა დააგა თვალია.  
შემოდის ჯვარბოსლის ძირზე, აღმ შეაბრუნეს წყალია,  
გადადის ნაყაიჩოსა, მიწა იხევის პყარია.

მიხევენსა-დ იგრე მიხოცეს, ჩალად დაყარეს მკვდარია.  
ფარსმისმისძირ გამოდიოდა წითელი ალაზანია.  
ქაჩუს ჩატიროდ მურთაზი, როგორც თმიანი ქალია,  
თავზე დამედვა სირცხვილი, თუშთ გამიწყვიტეს ჯარია.

#### 48. იმერეთიდან გადმოდის

იმერეთიდან გადმოდის აქლიმის ნატოტარია,  
აქლიმის ნატოტარშია ჩამდგარა ნაგუბარია.  
შიგ ამოსულა ფურცელი, წვერამდის გაბურულია.  
ზედა მოსხმიყო თუთაი, საკმელად მოწეულია”.  
შემოსჩვევიყო ქალაი, ბაგრატიონთი გვარია.  
შემოსწყვეტებიყვ დიდოი, გულხადარელი ვარია.  
შუსვამავ ცხენის გავაზე, დუკარგავ, როგორც ქარია.  
ეძებენ მამა-ბიძანი, დავკარგეთ ჩვენი ქალია.  
ჩემ ძმას მითქვიდით, დავითსა, თათრის განჯაში ვარია,  
წინ მიშლი ლურჯი სუფრაი, ზედ ბულკის პური აწყვია,  
ზედა დეჟს ოქროს ლამბაქი, ზედ კვიცის ხორცი აწყვია,  
ზედა დეჟს დანა ჯავარი, ტარი გიშრისა აგია.  
პური მშიან და ვერა ვკამ, რჯული ვერ გამიტენია,  
დღისით მაკრიან ბიარკლებს, ლამ თათრის შვილთან ვარია.  
შილდა-ყვარელო, გავაზო, სულ ჩვენო მოსადევარო,  
მოკრიყვით თითო შაური, დამიხსენთ, თქვენი და ვარო.

## 49. მთამ შშობა

მთამ შშობა, მთამან გამზარდა, მთამ ამიხილა თვალები,  
მთისა დედამან მაწოვა ძუძუს მოხდილი ნალები.  
მთამან მიწვილა, მთამ მიძმო, მთამ დამიკოცნა თვალები  
და მთამვე უნდა დამმარხოს, მიწის გამილოს კარები.

## 50. თუშის გავიდა ლაშქარი

თუშის გავიდა ლაშქარი, თან გახყვ გომეწრის ჯვარია,  
მარცხნივე უდგას ფიწალე, მარჯვნივე კარატის ჯვარია.  
გადიან ალაზნისთავა, ღეთისა ზე ადგას თვალია.  
დასხდეს და ლაპარკობენ, საით გავიღოთ გზანია.  
არა ეჯერს წოწრეს პაპაი, მითხუს შევზდვათა ზარია,  
შიგიდან გამოვიყვანოთ ხუტის ლამაზი ქალია,  
შიგიდან გამოვიტანოთ რვალი და საგანძურია.  
მანდიდან ამოვაბრუნოთ ცხვარ-ცხენი-დ ხაროვანია.  
მოგვდიონ მანდით ბიჭებმა ტირილით ქალებურადა,  
ბევრი ისროლონ ისარი, ვერც ერთი ჩვენებურადა.  
ვინამ თქვა, ენამ გახხმება, წოწრეს პაპაი ბერია,  
ბერია-დ არცრა ბერია, სიახლე ხელთავ შქერია,  
ცხენზე შეჯდება ქორია, დაუქვეითებს მგელია.

## 51. დაქიზე თისო

დადექით, გომეწრელებო, ნუ გამაღვიძებთ მძინარსა,  
თვარ იმაშ გაგაგებიებთ, დაქიზე თისო ვინ არსა.

## 52. ქალია ალექსისაო

წელი მოვიდა ხმელობა, ზარალი თუშებისაო,  
თუშეთ გაჩინდა ყვავილი, წყვეტილი ქალ-ვაჟისაო,  
ამბობენ, კოკლათაშია ქალები თხოვდებისაო,  
ქალი გათხოვდა ელანე, ქალია ალექსისაო.  
ელანეს ყვავილ ამაყარ, თავს იმედ დასხლიტისაო,  
ეობნებიან დედ-მამან: "ქალ არა გიშავისაო".  
- როგორ თუ არა მიშავის, წერა მომიდის ღვთისაო,  
ეგ ოხერ დადიკურთაი თვალითამც მიჩინდისაო,  
ძნელი ყოფილა სიყვარულ, დაწერა მწერლებისაო.  
ალექსიმ დაუბარისა გრიგოლის კიცოშვილისაო,  
გრიგოლი ჩამოგვივიდეს, ხელიდან წაგვიდისაო.  
გრიგოლი ჩამოვიდოდა, ფეხი შავისა მზისაო,  
რამწამს შეხედა, ეტყოდა: წერამ თუ დაგეწერისაო.  
უფლის ნაკურთხი გვირგვინი თავზე არ გვეღირსისაო.  
ქალი მომკვდარა ელანე, ქალია ალექსისაო,  
წინ ღვდელი, უკვენ ელანე, ელანე ცხონდებისაო,  
შენდობა ქალსა ელოსა, საც იყოს ღვინის ცვარია.

## 53. ჩილოში ორი ქალია

ჩილოში ორი ქალია, ერთი მზე, ერთი მთვარეა,  
მზენი .ხო გათხოვებულა, მთვარეი იგრევე არია.

## 54. შენი თვალ-წარბის ჩდილშია

პირდაპირ ჩამოხვიდოდე, ქალ, ანგელოზის აღეო,  
ხელში გეკირა წინდაი, ზედ აბრეშუმსა ახვეო.  
ნეტა, ქალ,შენსა დედასა, შენ უზარდიხარ შვილადა,  
სხვა საქმე არა ხქონია, შენ უწერიხარ წიგნადა.  
დაწურული ხარ ოქროი, ჩამოსხმულ ვერცხლის ღილშია,  
ქორ-შავარდენი ჩაჯდება შენი თვალ-წარბის ჩრდილშია.

## 55. ჩივილი

სარჩომან მომატყუანა, იმ სატილო ცხვარმაო,  
სარჩო რა ქმარად მარგებდა შავსა და ბნელსა ქალსაო.  
ლარიბსამ რადარ გადავხევე, იმის მამ-პაპის ხმალსაო.  
არ მქონდალ მოვიქონიებდ. თუ ქალს მექნებოდ გულია.

## 57. ქვე რადარ იჯედ, დაჯიავ

ქვე რადარ იჯედ, დაჯიავ, პურ რადარ შკამე ზავზეა,  
ვერცარა კეველო მოსთხარე, ვერც დართლოს დაეჯედ  
წყალზეა.

## 58. ხაგათენებოდ გეწვევი

ვიწროდ დაგბანდავ, ხუნჩაყო, ფურბერწის საბანდიტაო,  
ნელა დაგლახავ ბილიკო, ქვიშაო ქვახიდისაო,  
საგათენებოდ გეწვევი არდოტ ხევსურის ქალაო.

## 59. კაი ყმას რად უნდ მარჯვენა

კაი ყმას რად უნდ მარჯვენა დახოცილ ქისტებისაო.  
შორითებ გადახედავენ, წინაწინ ვინ მოდისაო.  
მოუძღვებ პირტიტველაი, ქალები ხკვირობდესაო.

## 60. ბიკო, ხეი ხარ ალვისი

ბიკო, ხეი ხარ ალვისი, წითელი ღვინო მარნისი,  
ბექთ სიმტყე გაქვა ფარისი, პირს სინათლეი მთვარისი,

ჯილაგი მოგდგამს გვარისი, ურული დედა-მამისი.  
მტერ ბევრი გემუქარება მალღ შთისი, დაბლა ბარის  
ხმალღწ ერთისიკ ვერა შკრის, კისერ ძანძლია ვაჟისი.  
ბიკვ, ქალის მოიმედუო, ჩოხა უნდ გეცვას ჭაჭვისი,  
ენა უნდ გედვას იგეთი, მიქცი-მოქცი და ქლარცისი,  
ცხენი უნდ გყვანდეს აგეთი, მუხლები ნიავე-ქარისი.  
თოფი უნდ გქონდეს აგეთი, ტყვია უნდ ედვას სინის  
ხმალი უნდ გქონდეს აგეთი, პირი ბასრისი კინისი.

### 61. ნეტავი ყორნად შაქცია

ნეტავი ყორნად შაქცია კავკასიონის შთისაო,  
ან შურთხი ვიყო, მსტვინავი რიჭრაეზე, კიუხისაო,  
ან ვიყო ჭიხვი ბებერი, ციცაბო კლდეებისაო,  
ან ვიყო ხარი ირემი, ულრანი ტყეებისაო.

### 62. ემაგალ ქალხა შეხედეთ

გორს იქით ჩდილში სოფელო, მზე ნელ-ნელ ჩადის  
წყალზედა,  
ემაგალ ქალსა შეხედეთ, გული უკვდების ქმარზედა.  
უთხრიდით, ნურას ეშინის, პურიღ აკამოს ზავზედა,  
მალღა დაიდვას ლოგინი, ძიღ დაიძინოს მკლავზედა.

ნურას კი გაღუულდიდები, ლალატ არამ გიზ ჭავრზედა.  
გვერდით არ მოგიკლ საქმარე, არ დაგალვიძნეთ  
მძინარნი,  
ჯალაბთად ვერ გაძახინო, ქმარი მომიკლეს,ვინ არი.

#### 68. ქალო, დაენდევ კას ყმასა

ძნელია სისკრის ილილა, რო ბინდი-ბანდი დგებოდეს,  
კაი ყმა აბჯარს იმოსდეს, სამდევეროდ ემზადებოდეს,  
ცხენი რო ხვრემდეს ლაგამსა,წალმედ უკულმე დგებოდეს,  
კვდებოდეს დედისერთაი, აბჯარი ოხრად რჩებოდეს.  
არც დედა ხყვანდეს, არც მამა, არც დაი ასტირდებოდეს,  
ისევ ეფეროს ცხვის შვილი, იმას უფრ შეღბრალდებოდეს.  
ქალო, დაენდევ კას ყმასა, ნუ სახლსა მდიდარისასა,  
შინ არ აქვ,კარით მააქვის მუხლებსა კაის ყმისასა,  
შინითას ცხვანი წაართმენ, ვა დედას დუყაისასა.

#### 64. სვირილის ავდმყოფი ვარ

სვირილის ავდმყოფი ვარ, უნდა დავხუქო თვალები,  
ჩემ სანახავად მოდიან ჩემებ სწორები ქალები.  
ზოგსა მოაქვის ქიშმიში, ზოგსა ლამბაქით ბალები.



ერთხენ შეხედვით შევატყობ, რომელს უფრ  
შევებრალები.

შევხედე ჩემსა ნადობსა, უწყლიანდებოდ თვალები.

### 65. ბუი ბუბუნებს ნარზედა

ბუი ბუბუნებს ნარზედა, ჩვენს იქით მიოდანზედა,  
ბიკოშენ ცოდვის მოთქვამო, ლეკიმ დაგკრიან ცხვარზედა.  
სწორნიმც გიღებენ ნაბდითა, გზაშიამც გიღამდებისა,  
ნულარცამ განახვენ დედ-მამან, ნულარც ცრემლ გელისებისა.

### 66. გათენდი, ნურც რას გასთენდებ

გათენდი, ნურც რას გასთენდებ, დიდო ღამეო ზდელისაო,  
ამოდო, ნურც რას ამოხვალ, სისკარო თენებისაო,  
დახყეფე, ნუც რას დახყეფნებ, ყურშაო პატრონისაო,  
პატრონი კდეზე გიკიდავ ხუნჩაის საბამითაო.

### 67. სისხლის ტბა

მინდორს ტბა ბრუნავს სისხლისი, გადასაგდებიმ სად არი,  
შიგა წევს გველი წითელი, თავი ჩინს, ბოლომ სად არი,  
ნდობა ბევრსა ხკლავს ბევრისი, ცოდნა-გაგებამ სად არი.

## 68. ქვათანას ქორი ნადირობს

ქვათანას ქორი ნადირობს, დიდგვერდს გაჰქონდა ქუხილი,  
ანამცე ორნივ ერთად დაგვეს, ან ორთავ დაგვეწერ  
სიკვდილი,  
ერმანეთს არას ვარგებდეთ, თვალთ ვხედავდეთ მაინცე

## 69. თეთრადამ ქორად მაქცია

თეთრადამ ქორად მაქცია, მთა-წვევრიმ შემომავლია,  
ანამცე თოფად, ხირიმად, გორისგორ გამახვივილა,  
ანამცე კვიცად, რემაად, აღონის მინდორ მაგლია,  
ანამცე მარტის ლურბლადა, შირაქიმ ჩამათოვლია,  
შირაქში მემცხვარეებისდ ნაბადიმ მომაქუჰკვია.

## 70. ელოი თელაურათი

კვირა დღეს ბუკნობ გამგზავნეს სურო ვიპოვე მელისი,  
დავჯედ და მახე დავაგე უკულმ დაგრეხილ წნელით.  
ელოი თელაურათი სანაქებოი თემისი,  
შავი თვალ-წარბის პატრონი ქალია თეთრის ფერის  
ანამც ვინა ქნა ჩემი და, ნაშობი დედნიჩემისი,

უყიდდე სამკაურებსა საშვენებელად ტანისი.  
რა მალ-მალ ჩამოვიჩინდებოდ თუშეთში ფშავის ხევითა,  
გომეწარ შემოვივლიდე ამ ჩემი კარგა ცხენითა.

### 71. ცა წმიდავ, სვირილიანო

ცა წმიდავ, სვირილიანო, ლურბელიმ რადალ დაუწერა,  
ნანდობიმ ნანდობს რადარ ხყავუნდობიმ რადალ დასწერა.  
რო მოკვდეს, ნანდობ ატირდებ, ცრემლებს ჩამოხყრის  
ცხარადა,  
ცრემლ დააბრუნებს წისკვილსა, ზედ თუ მუშვებ ღვარადხ.

### 72. ჩავხედავ ხაჩილოლოსა

ქვათემთას ცხვარსა ვაძოვებ,ნარღვევთას მის ბინაო,  
ჩავხედავ ხაჩილოლოსა, სნეულივითა ვგმინავო.  
ვესტმოი ვერცხლის თასია, ვესტომთა თასი ღვინისი,  
გოგრულთა მაღალ სოფელი დოკუ დართული რვალითა,  
ბოკორნა მაგარ სოფელი,დასარჩვეელი ხელითა.  
ქალო, თუ გასცილდ ბოკორნას, ბედსამც ნუ იღებ,  
დავლათსა.

## 73. დედავ, მომკლა სიყვარულმა

დედავ მომკლა სიყვარულმა ტანლერწამის მოყმისაო,  
მიდგომამა-დ მოდგომამა, პირს ფარებამ ნაბდისაო,  
იმის ცხენმა, იორლამა, სიმაღლემა ოხრისაო,

## 74. ჩივიან მემცხვარეები

ჩვენთა მტერთ ისეთ ამბავი, რაც თუშთა-დ ფშაველთ  
მოსვლია,  
შირაქში, ტარიმანაყში შუაზე ციხე დაშლია,  
ჩივიან მემცხვარეები, უნდა ჩავცვივდეთ წყალშია.  
გაუგონავის თათრებსა, თირუზან დარჩა ფშავშია,  
გზებ შევკრათ აქეთ-იქითა, ამბავ ჩავაგდოთ ქარშია.  
ნუ ჩამოუშვებთ მწყემსებსა მტკვარზეა-დ ალაზანზეა.  
ნუ გიხარიათ თათრებო, ნუ იტყვით ჯაამაათშია,  
თირუზან გარეე ჩამოვა სადოლედ თავის ცხვარშია,  
გარეე შევალის თირუზან ხმლიანი სამართალშია,  
გვერდით უდგანან თუშები, საიმედონი ძალშია.  
მეამც მომკლ შენად მაგივრად, ჩამსვა შვილების ჯარშია,  
შენამ კი გარეე გაგამთელ, ჩემ სატირლადამც გავლია.

დავითა ღვინოს არა სვამს, დავითაის ცოლ მაქარსა,  
დავითა ყვ.. თა იპარსავს, დავითაის ცოლ ფ....სა.

### 76. დილა ავდექ აღრიანა

დილა ავდექ აღრიანა,სიცივის ცხრო ჩამჯდომიყო,  
შარვლის უბეს ხელ დავიკარ, შემშინდა, ეს რა მქონიყო,  
ცხენსა ღვეანდა ნაქერალსა, დოღებშია წინ პრომიყო,  
ლომსა ღვეანდა კინისასა, ქვა-კდეების მმტვრეველ იყო,  
ვეფხვსა ღვეანდა სალი კდისი, სუ ქალ-ზღების  
მთხვენელ იყო.

### 77. დედა რას გიჯავრდებოდა

ქალ, გუში-დ გუშისწინათა დედა რას გიჯავრდებოდა?  
მესმოდა შენი ტირილი ვახშამი მიმწარდებოდა.  
-დავკარგე ოქროს სათითე, იმაზე მიჯავრდებოდა.  
მოუხელია მემცხვარეს თეთრი შიშაქის კვლევნასა,  
მემცხვარევ, გამომიგზავნე, მაგ შენ ცხვრის

გამრავლებასა.

## 78. ერეკლეს დაუბარებავ

ქალი მოვიდა ქართლიდან, თვალეზი უგავ მწყერსაო,  
ყელი და ყური ბროლს უგავ, პირ დილაობის მზესაო,  
მიდგომ-მოდგომა უხდება, როგორც რემასა ცხენსაო,  
ამბავს კითხულობს თუშურსა, მზეს ფიცავს ერეკლესაო.  
ერეკლეს დაუბარებავ, დაო, ნუ ირთავ მტერსაო,  
გალმა ნუ გინდა სასახლე, გამოლმ გამოდი გრემსაო,  
გიყიდი საპერანგესა, დარაიასა კრელსაო,  
ცოტა ხან შემომიცადე, ქალაქს ავიდენ მტვერსაო,  
გვერდით მოგიკლავ საქმარეს, ზედ გადაგიფრენ ცხენსაო.

## 79. იობ იყო ღვთის ნათლული

იობ იყო ღვთის ნათლული, ცოლი ხყვანდა კაის ყმისა,  
შვიდი ვაჟიშვილი ხყვანდა, სამი ქალი სახე მზისა.  
შვიდივ ერთ დღეს დაეხოცა, ერთივ აღარ დარშნა ძირსა.  
ცოლს მუთაქა გაუგზავნა, ჩითი იყო ყალანფრისა,  
ნუც იტირებ, ნუც იგლუებ, ნუც ცრემლს აგდებ მიწის  
შვილსა,  
უფლის მოცემული იყო, ისევ უფალ მიითვლისა.

მინდორს ცეცხლი მოეკიდა, იობის ცხვარ შიგ მოხყვება,  
იობს არც ეს ეწყინება.

უფლის მიცემული იყო, ისევ უფამ მიიღოსავ.  
იობს ჭია დაეხვია, წითლად-ყვითლად გადადისა,  
ერთ ჭია დაბლ დავარდება, იობს ისიც ეწყინისა,  
შე ოხერო, შენ სად მიხვალ, შენი სარჩო ეს არისა,  
ხორცი ქამე-დ ძვალსი ფქვიევ, შიში ნუ გაქვს  
სიკვდილისა.

მოდოდეს ანგელოზებ, მომღეროდეს წმიდის ხმითა,  
იობს სამი შეუბერეს, ჭია სუ დაბლ დაცვივდისა,  
შვილებიც ისევ აჩუქა, ცხვარიც ისევ გაუმრავლა.

#### 80. ბიჭო, თავდიდო, გულდიდო

ბიჭო თავდიდო, გულდიდო, ცხენსად არ გამაგლევინო,  
ეგ შენი ცხენის თიქალთო თავქვეშ არ დამაგებინო,  
ეგ შენი წვრილი შვილები ობლად არ დამაზრდევინო,  
ეგ შენი ცოლი, ლამაზი, კარად არ გამაგდებინო.

#### 81. რასამ დამბუი, ყორანო

რასამ დამბუი ყორანო, რას მეთელები თავზედა,

ჩამოდი, გვერდით დამიჯე, წიგნი შეგაბა მხარზედა,  
იორი გადაავლიე, გადაიტანე ფშავზედა,  
ეგელ დედაჩემს წაუღე, ველარ მოვდივარ გზაზედა,  
შემიკმაზონალ ლურჯაი, დააბან სატირალებდა,  
ხანჯარ ხადულას მიმიცენ, შიბ რო ახვიავ ტარზედა,  
ცხენილა ძმობილს მიმიცენ, მარდად ატაროს გზაზედა.

### 82. ვაი, რა ბედი დავკარგე

ქვადაშტე ქცევაი წეს იყვის ერთ დროსა ქალებისაო,  
დადება სახლის ლიბოში, დარჩომა მამისასაო.  
ცეცხლშიამ რად არ დაიწვა ის ჩემი აკავანია,  
კუპრშიამ რად არ აღუღდა ჩემი მარჯაკლის სულია.  
ვაი, რა ბედი დავკარგე გასათხოვარმა ქალმაო,  
ქიჩილა ქარმა წამართვა, ხელისახოცი წყალმაო.  
მე ხო მომატყუე სარჩომა, გასაოხრებელ ცხვარმაო.

### 83. წყალსა მოხქონდა ნაფოტი

წყალსა მოხქონდა ნაფოტი შემონათალი ხისაო,  
დადექი, წყალო, მიაგმე ამბავი საყვარლისაო,  
შენზე ხო არვინ მოვიდა, ხელ-პირ ან დაიბანაო,



ომში წასულსა ძმასთანა დამან რა დაგაბარაო.

#### 84. ქალმა გასძახა მეცხვარეს

ქალმა გასძახა მეცხვარეს, ბიჭო, რამ დაგაბერაო.

- დღედაღამ ფეხზე დგომამა, ძილის ვერ ძინებამაო,  
ცხვარ-ბატკნის ჟივილ-ხივილმა, ცხვრის უკვენ მიდევნამაო,  
ბატკნის კალთაში ხვევნამა, დედების ძულეებამაო.

#### 85. უდროოდ ჩამომაბერა

უდროოდ ჩამომაბერა მუდამ ცხვის შვილობამაო,  
სადუცეს ჩაკოანთ ცხვარმა, პირის ვერ ბრუნებამაო,  
დრო-უდროოდა კახეთმა, საპალნის ზიდებამაო,  
ქკვიანმა ხაზეინებმა, გულ-ენის ჩვენებამაო,  
ძლევნამა ანგარიშისი, ჯამაგირს მატებამაო.  
მჩიოდეს გიგის დედაი, ტანზე ჩაიცვამს შავსაო,  
მოეხვევიან მეზობლებ, მოუმტკივნებენ კირსაო.  
მალ გაუთენდებ მზიან დღე ლუხუმის ცოლსა-დ ქალსაო.

## 86. თანდათან უფრო ბნელდება

ვზივარი ბაკის კუნძულში, ხვალ წელწად დილა თენდება,  
მოველი გათენებასა, თანდათან უფრო ბნელდება.  
მზისა ამოსელას მოველი, ღრუბელი უფრო სქელდება.  
გორსპირ წითელ ვარსკვლავი, ვხედე-დ ვერ გავძელ,  
ჩავიდა;  
მთის ძირში წყარო გამოდის, ვსვიე-დ ვერ გავძელ,  
დამიშრა,  
არ იქნა გულის ნაგონარ, ნანდობ ხელიდან წავიდა.

## 87. სულეთისაიმ ვინ იცის

სულეთისაიმ ვინ იცის, სულეთს რა სამართალია,  
სულეთში სამი ხენი დგანან, წვერი ცაბდ მიბჭენილია,  
იმის ძირ წყარო გამოდის, სასმელად სანატრელია.  
იქა მოდგება ცხენ-ჯორი, ძუა-ფაფარო კრულია.  
იმაზე მსხდომი მხედარი წყლის წყურვილ ელდაკრულია,  
ბევრი მოდგება ქალ-ზალი, ჩოხ-ბაქკია მკუჭუკულია,  
სულეთში მატყლი-დ მარილი თეთრი ხარისა ფასია,  
თამაქოი და ბიჭონი ერისა მრიგებელია.  
სულეთში ფეხი-დ წინდაი ვაეკაცის საკვებურია.

## მმ. აბღ თეფაზე ვიწერ ჯვარსა

დაკარგული თხა მოზღვედა სატილო ნადის ცხვარსა,  
შორით გახედული ვიცან, წაველ, წავექიდე თხასა.  
მამაძალი ნადიშვილი ახლ თუ ჩემზე ყრილობს ჯავრსა,  
უდმაღაე ჯოხი დამკრა, არ დამაცად სიტყვის თქმასა.  
რაზედ ვიყავ ცხვისშვილადა, რაზედ ვაშენებდი ცხვარსა,  
ახალ დანიშნული ვიყავ, ახლ თეფაზე ვიწერ ჯვარსა.

## მმ. დავბერდი, დავჩაჩანაკდი

დავბერდი, დავჩაჩანაკდი, წვერი გამიხდა ქალარა,  
შინაურებსაც უნდივარ, გარეულებსაც- ალარა.  
მე რო დედაჩემს გავუჩნდი, მამაჩემს ვინამ ახარა.  
ვისიმ ბედისა გამოვედ, ჩემიმც აკავან დამწვარა.  
სრულად რო გაეხდი ცხრა წლისა, ღმერთმა ყვავილი  
შემყარა.

დამთხარა ორივ თვალები, სინათლე გამომაცალა.  
რაც რომ უფალმა დამაკლო, მამაჩემმა მომცა ძალა,  
სრულად არ გასრულ ორ კვირა, ზედ ექიმი მომიყვანა,  
გამიქრა ორივ თვალები, ზედ წამლები დამაყარა,  
იქნება კი მოვრჩებოდი, მაგრამ ხანა არ დამცალდა.  
შემდეგ დამისვა ურემზე, ქალაქისკენ ჩამატარა,

იქ მალოცა ბარბალეთი, დაილოცოს იმის ძალა,  
არც არა იმან მიშველა, შინისკენ წამომიყვანა.  
ვერ დავინახე ქვეყანა, ვერც აღელვებული ყანა,  
ვერც დავინახე მინდვრები, ჩემ გულს იმით გაეხარა.  
ავდექი, სტვირი ავიღე, სოფლების მოვხყევ ქებასა.

### 90. გიგა

გაიძრა, გამოემართა დიდი ბუსურბნის ჯარია,  
გულხადარა ხყავ ბელადი, ალაზანს შემომდგარია.  
საკმელად შირაქ არ ხყოფნის, სასმელად ალაზანია.  
ჩეთმას გაგზავნეს კაცები, ჩეთმას მოგვივლეთ თვალია.  
ჩეთმაში თუშის ბინები, თორმეტი ფარა ცხვარია.  
პარასკევს საშუალამოს ჩეთმას დახურეს ცანია,  
დაქრეს, დაკუწეს მწყემსები, სისხლის დაბრუნდა ტბანია.  
შორიდან ღელეს გაჩინდნეს გიგაის ვაცის რქანია.  
იქამდის მიზდი გიგამა, იქ დაანება თავია,  
ეხლა საცა გინდ გარეკეთ ეგ უპატრონო ცხვარია.  
ძალღებ ყმუიან ტივლები, სად წაგვივიდა ცხვარია,  
აქით დახყევით, ძალღებო, სად მიდის სისხლის ღვარია,  
გზათ გიგა შემოგეყრებათ, თქვენი პატრონი, მკვდარია.  
ემაგის მომღექსბელი ალვანში თუშის ქალია,  
დიდი ხნის არვის გეგონოთ, სამი თვის პატარზალია,

გულბელიც არვის გეგონოსთ, მეც იქ მომიკლეს ქმარია.  
სალექსოდ გამომიგზავნეთ სამი შიშაქი ცხვარია.

### 91. მიყვარხარ, ტურფა აღვანო

მიყვარხარ ტურფა აღვანო, ლურჯად მოსილო, ტიალო,  
მთისწვერო, თოვლით შეკრულო, ხორხებო ყინულიანო.  
ცოტა აშრების ხორხები, ბალახებ აჩნდებიანო,  
მაისის ნახევარშია ბატკნებიც გვეწვევიანო,  
მებატკნეები მთაზედა გადიან-გამოდიანო,  
ტკბილი სიტყვების სათქმელად ერთურთსა გახკივიანო.  
წყაროზე ხალსა გაზელენ და მერე დასხდებიანო,  
რო მოვა შემოდგომამი, სოფლისპირ ჩამოდიანო,  
ცხვარი ბარისკენ რო წავა, ნადირებ დარჩებიანო,  
პატრონდაკარგულ ძაღლები მთა-კდეთა შეხყმუიანო.

### 92. ნეტა შენ, თეთრო ქედანო

წესადამც იყვის, დედაო, ქალის სალდათად წერაო,  
მე არას მეჯავრებოდა ჩემი ნანდობის ჯავრზედა.  
ნანდობიც იმას მიბარებს, ჯიგარ ჩაიცვი ტანზედა.  
ბოროტს არ მოეკვლევიანო, ანავ, გამოდი წყალზედა,  
დიდი დაღზავნე სულთქმამი ემაგ თელავის გზაზედა.

ცითიმც დახკიდა სასწორი, უფალიმც დასვა სკამზედა,  
სამშაბათ დილა დამაგლო, მოყმევ, შენ სახლის კარზედა,  
დაწყევად ვერას გიმეტებ, ნლობასამც იხდი ცხვაზედა.  
ნეტა შენ, თეთრო ქედანო, ხაბაბოს უვლი განზედა,  
იქ გამოვ სანადიროდა, აელან ხკიდავ მხარზედა,  
უყრია შავი თვალები, უხდების ლერწამ ტანზედა,  
კვალსაც აღვილად ვიცნობდი ჩექმების დანალახზედა.

### 93. გიორგი გიგაური ვარ

გიორგი გიგაური ვარ, სუ ცხვათა ხელში განდილი,  
იგრე ამოვხყრი ლექსებსა, როგორც თებუქრვალჲ დანბილი,  
ეგეც კი არა გაიგებ, ხან იაფია, ხან - ძვირი.  
აღექსი, მებატკნეობა გან მაგრე იყო აღვილი,  
რადარემ გახვიდ დოვნისწელ, რა დაგყრია ნაცილი,  
რად გცემეს დადიკურელემთ, კაც იყავ, განამ ყმაწვილი.  
იქ რადარ შემოგიჩნდა არწივი, მინდვრის ნადირი,  
იგრე დაგიხდიდ იმათა, ველარ შეგეტყო თავ-პირი

### 94. კესელოს ციხეს ავაგებ

ომალოს ვერას ვიქნები, წყალს ვერას ვიღებ ვირითა.  
კესელოს ციხეს ავაგებ, კუთხეს გავლლესავ კირითა.

ხანთხან ბოკორნას გავხედავ, დღეს დავალამებ ლხინითა,  
ყურს უგდებ ბოკორნისაკე, ხმა აღარ მომღის ლხინისა.

### 85. თუშეთის სოფლები

პირველად სოფლებს ავარჩევ: დიკლო,შენაქო,ომალო.  
ცოკალნო-დ ქუმელაურნო, საუკუნოში ჩამსხდარნო,  
არცრა ბედენა-დ ხისოი, ჯორის ზურგივით გამხმარო,  
არცარა არის ნაციხარ, მაგრამ ამშვენბ საყდარო.  
არცა რა შტროლთა, ეველურთა, კაქები კღებე შემსხდარი,  
ჩიგლაყურთაი-დ ხახაბუ სიცხე-სიცივის დამწვარი.

### 88. შინ შესვლა არა მწადიან

შინ შესვლა არა მწადიან, რა ლამაზი ხარ მთვარეო!  
ხალხია გახელებული, მე გული მქონდა მწარეო.  
ნეტავი გადმთგაქცია, ნაყაიჩოსა დელეო,  
მემრემ არ აშინდებოდე, პირიქითისა მთვარეო.  
მაინც მინდიხარ მოყმეო, გინდ იყვ ყველაზე მდარეო.  
ერთხენამ გზაში შემყარა, ცრემლი შემაშრო ცხარეო.  
ჩემ ცოდვა ჩემსა დედმამას, არ გამათხოვეს შალეო,  
მემრე ღვდელს ხქონეს ჩემ ცოდვა, რომ არ დამწერა  
ჯვარიო,

კაცი გაგზავნეს ქალაქსა, ქალაღდ მაიტან მალეო.

### 87. სახლმან თქვა

სახლმან თქვა, ხიდი გამიტყდა, ობოლმან ვინამ ამაგო, ხმალმა თქვა, ჭანგმა შემქამა, ჭაფასა ვინამ ჩამაგდო, კასამ ყმას წელზე შემება, პირჭანგიმ გამაყრევეინა, სისხლისიმ ტბაში ჩამგდო, ზედ პერად მაცურებინა, ძანძლია ვაჟის კისერი, ერთხენამც დამათლევეინა.

### 88. ნეტა შენ, ცხვრისა პატრონო

თოვლი თოვს, ცხვარი ვერ გადის, ვა გულსა პატრონისასა, პატრონის, არცრა პატრონის, ვა გულსა მიმდევერისასა. ნეტა შენ, ცხვრისა პატრონო, დაეჯდები გორისოდენი, გვერდზე მწყემს შემოგიჯდება საბრალო, ყვავისოდენი. წყემსისად მონა ხაზეინ, წყემსის წყემსადამც გახდები.

### 89. ბელუქში

ბელუქში ცეცხლებ გამოჩინდ გორისპირ მასკვლავსავითე, დაქუჩებულან ქალები ნახნავში მტრედებსავითე, დაუღელავის ყელები ასის წლის ბებრებსავითე,



ვინაც მოვ. პირში შეხედვენ, მშიერა ობლებსავითე,

### 100. შემიტყობიე ძმობილსა

თებერვალ გამწარებულა, თოვლი თოვს, ჩამოდისაო,  
სამთავ ძმათ ილაროზენათ, გაყოფა ღვულავ ცხვრისაო.  
ძმაო, მომკალი-დ დამაგდე ადგილსა ბუსურბნისაო,  
შემიტყობიეთ ძმობილსა, ფიცხელსა ღაზიშვილსაო,  
განაყოფს შემიტყობიეთ, თუნაურიძეს ხარსაო,  
ისენ აქ არას გამწირვენ, არ შეირცხვენენ თავსაო.  
დედის და თამარს მითქვიდით, შენ აქ არ მოგესვლებაო.  
რაც დამწყი, ისიც მომწიე, სულეთიმ წაგიხდებაო.

### 101. სიტყვა ფიქრია მღელვარე

სიტყვა ფიქრია მღელვარე, ეს გული კალმის წვერია,  
ქალაღზე შავი მელანი დამდნარი გულის წვერია,  
ამ გულის წვერით ნაწერი, ბიჭო, ალერსი შენია.  
მოგშორდი, ფიქრი მატულობს, სიყვარულობის მკველია,  
ჩემთვის ყოველთვის ბნელია, აღარ გათენდა დღენია,  
ჩემი და შენი გაცნობა რად გახდა სანატრელია.  
შენალ ის არა იფიქრო, იმას უნდივარ, მე ავრა,  
შენაც გინდოდი, მეაცა, ყისმათს დაუდგეს თვალია,

ყისმათსაც არას ვემდური, დედას მოუკვდეს თავია.

### 102. კარგია კაი მხედარი

ქალო, გამშვენებს საცმელი, გან შენი ხორცშესხმულობა,  
ცხენო, გამშვენებს მხედარი, გან შენი აკაზმულობა.  
კარგია კაი მხედარი თუ ცხენიცა ხყავ ფთიანი,  
ტორები დახკრას მიწასა, გააღებინოს გრიალი.  
დღეთშუ დაწყვიტოს ლაგამი, საკმაზი გარსაკრიანი,  
დღეთშუ დაცვიტოს ნალები, მათრახებ ტაშებიანი.

### 103. ნეტავი, ქალო, მე და შენ

ნეტავი, ქალო, მე და შენ ამ მთებზე მარტო გვატარ  
ყინულიანი ქედები თავადა გადაგვატარა,  
სადილ-სამხარი ამ მთებზე სუ უღვეველად გვიშალონ,  
ეს ჩემი შავი ნაბადი ყორან-სვავებმა გვიტარონ,  
ნამით ნაბანი ფეხები დილის მზის სხივებთ გვიმშრალონ,  
დამტკბარი სახე-ხელები ზვავის წყაროებთ გვიბანონ.  
როცა ვიგემოთ სიცოცხლე, ნადირთ სამარე გვითხარონ,  
ქორებთ აგვიგონ ანდერძი, ამ მთებზე დაგვასამარონ.

#### 104. დიკლოს დაზდილან ჯეილებ

დიკლოს დაზდილან ჯეილებ ერთკვადის მეშურნეები,  
ამბობენ, კვენამ რად გვინდა, ბძოლის მოგვიდის დღეები.  
აქვარის თავა მთაზედა, იქ ვათამაშოთ ცხენები,  
თოფები იქა ვამღეროთ, ბანსა მოგვეცემენ კდეები.  
აქვარის თავა, მთაზედა, ლურჯა თამაშობს ნალზედა,  
ზედ იჭდა თოთის ქედაი, ხელმწიფე დროშიანი.  
დედამან შვილი გაზარდოს, თოთის ქედაო, შენფერი,  
ქვის გული გულად ჩაუღვას, მტრის შორის მაშინებელი,  
მგლის მუჭლი მუჭლად შეაბას, გზის შორის გამზანებელი.

#### 105. ნეტა ვიცოდე, ჯეილო

ნეტა ვიცოდე, ჯეილო, გუნებას შეგისრულებდე.  
დაგიქსოვდ კრელებს ჩულებსა, ცხენს კიაბტად  
შევიკმაზებდე,  
დაგაცვლევდ ტანისამოსსა, ქორწილში გაგისტუმრებდე,  
როცა მორეკევდ სწორებსა, შინ კარგად დაგიხვდებოდე,  
სიტყვას გეტყოდე ისთასა, ვაჟკაცს თავს მოგაწონებდე.

ტანიმ რაგვერ დავდვ ტანსთანა, ლერწამმა  
 კუნძურასთანა,  
 პირიმ რაგვერ დავდვ პირსთანა, ლამაზმან ჭულურასთანა.

გულივ, დედო, გულივ, გულშიბიანამავ;  
 ყელყაწიბიანმავ, უბემასრიანმავ.

### 106. ნუ გვიქვებთ ბარში პურებსა

- ნუ გვიქვებთ ბარში პურებსა, მთაში ჩვენც გვიდგას სვილები.  
 - ღმერთმანი, ურმით მოიტანთ! უნდა დახკმაზოთ ვირები.  
 - ვირებს ენაცვლოს პატრონი, თეთრებ დააქვის ცხვირები,  
 ავხკიდებ, დარაცრაცდება, ქვევიდან შევხვირები.  
 ურემს დაუდგეს თვალები, ის დამწვეტებულ ჭალები,  
 როცა რო ლაფში ჩაეფლოს, ველარ გასწევენ ხარები.

### 109. არც დედით გწუნობ

მთას მილიონი შევნახე, თუკი არ მეშორებოდა,

იმის ძირ წყარო შევნახე, თუკი არ მეგრილებოდა,  
არც დღით გწყნობ, არც მამით, თუ ყმავ არ მეღუყებოდე.

### 110. ქალო ანაო, ბანაო

ქალო, ანაო, ბანაო, ხელპირი დაგებანაო,  
შენი ხელბირის ნაბანი შავქალას გადამდგარაო,  
შიგ დიაკვანი ჩამხრჩვალა, საბრალო დედისერთაო.  
ზევით ეძებენ ნავითა, ქვევითა ნემსისკავითა.  
იპოვნეს, გამოიტანეს, ყელი ამსვიყო შლამითა.

### 111. ცხენსა ვიყიდი საღარსა

ცხენსა ვიყიდი საღარსა, აღვირს ჩაუღებ მაგარსა,  
უნაგირს ახალს დავადგამ, არას ვაკადრებ ნახმარსა,  
შეუტყლაშუნებ მათრახსა, არას გავსწირავ ფარსმასა,  
გადავალ გომეწარშია, შორით გაეხედავ ლამაზსა,  
ლამაზსა-დ არცრა ლამაზსა, ცისკარსა ამომავალსა.  
ქალო, დაგინახ სოფლის კარ, გადამიბრუნდა გულია,  
ერთხენამ გარევე მენახე მინდორში გამოსრულია,  
მემრ ჩემ თავს არას დავზღვედე, მაინც ვარ დაკარგულია.

## 112. ნეტავი ხალი კლდესავით

ნეტავი ხალი კლდესავით გული ჩამიდვა ქვისაო,  
ქვეყანა შემომეარა, ჯავრი მეყარა მტრისაო.  
ბიჰს ქალის მოარშიყესა და მომტყუებელს სხვისაო,  
იარალითამც იქნება სიკვდილის წერა მისაო,  
ანამც ზღვა-წყალმ წაიღებს, მოსული მალალ მთისაო.  
ანამც მორევი დაახრჩობს აღვარებული წყლისაო,  
მოშორდეს თავის სწორებსა, შუქ დაუბნელდეს მზისაო,  
სამოთხეს ჯდომის მაგიერ ჯოჯოხეთშიამ ზისაო.

## 113. სიყვარული რა ყოფილა

სიყვარული ვინც არ იცის, სიყვარული რა ყოფილა,  
სიყვარული ჯეილისთვის ოკეანე ზღვა ყოფილა.

## 114. მთვარევ, შეგნატრი

მთვარევ, შეგნატრი, არა ხარა მზეო, ამოდი მალეო.  
შენ თავი დამნატრებია, ლამაზო, მნახიდ ხვალეო.

ოქროსა ალაზნანშია ალთო არ მოხკიდებია,  
 ბიჭო,ეგ შენი ალერსი ყურსაც არ მომკიდებია.

### 116. გადავიხედე პირიქით

მზეები მოფენილიყო ამ ჩვენი მთების წვერასა,  
 გადავიხედე პირიქით თვალი დავავლე ყველასა.  
 მოწკრილობენ წყარონი, ერთურთს ჯაბრობენ დენასა,  
 იყრებოდ ალაზნებადა, მოხყეფდა დიდსა ქალასა,  
 წინ მოყუდებულ გორებსა ყველას აძლევდის სალამსა,  
 ჩამოდდიოდის ალათო, ჩამოიტირებს, ვაიმეო,  
 მდინარევე, გებარებოდე, შენ გადამკარგე მალეო.  
 რად არ მითავესე, მოყმეო, რად გაუგონე ცხვასაო,  
 მოგივიდოდიწ ნანდობი ხელზე დაგასხმოდ წყალსაო,  
 ხელ-პირსაც დაგაბანიებდ, გადაგინარცხევდ თმასაო,  
 გამოხვიდოდე სწორებში, გამოგაყოლებდ თვალსაო,

### 117. ქალო ტანტურფა, ლამაზო

აქედან გავხედ შორია, შუმარგალიტის გორია,  
 ქალო, ტანტურფა, ლამაზო, ყელი და გული ბროლია

ვინ და ვინ გადაგიყოლებს, თავმომწონარიც ბევრია.  
ნუც ძაან შემიწუხდები, ნუც გზისად მეტყვი: "შორია".  
გზა-უგზოდ გაგაველევინებ, ვაჟის გუნება ხელია.

### 118. ვინც ჩემზედ იტყვის, ლალია

ვინც ჩემზე იტყვის, ლალია, ჩემსავით ლალიმც ის არი,  
ძმასამც მოუკლენ ღუშმანნი, მამას გულს უხვდეს ისარი,  
ან გულის ნანდაურასა, არც ძმაზე ნაკლებ ის არი.

### 119. აღდგომისა შაბათსაო

აღდგომისა შაბათსაო, მკვდარნი ჩაველენ ტაბაკსაო,  
ვინც რო მალე სადილსა უკამს, ვაი იმათ ჭაღაბთაო.

### 120. ქალაო შურთხისთვალაო

ქალაო, შურთხისთვალო, ყოფილხარ ბროლისთანაო,  
თმები გქონია ნაწნავი, ჩამოსხმულ კუპრისთანაო,  
შემოგიხვიავ წელზედა, შეგიკრავ ფართუქსთანაო,  
საქიოდ რაიმ დაგიწნავ, ბანტებიც გიბი თანაო,  
გიხედავ შენ სწორებიზდა... იმათ არა აქვ ჩემფერივ".



## 121. შენი ჳირიმე, ლამაზო

შენი ჳირიმე ლამაზო, შენ ტურთა ვარდის კანაო,  
მე არას დამავიწყდება გაპარვით შენთან რომაო,  
ქურდულად სახლში დადენა, შენ გვერდზე შემოწოლაო,  
აწვეა საბნისპირისი, ყელისძირ შემოძრომაო.

## 123. თორღვა

ნეტარ, სად იყავ, თორღვაო, ნაბადზე ნამი გდებია.  
- თუშეთი ავაწიოკე, დამშვრალსა დამძინებია.  
- გეტყობის იარალზედა, ხმალ სისხლით შეგიღებია.

## 124.

ჯინჯელის სოფელში შევედი, დავიწყე მასხარაობა,  
ჯინჯველას ფეხი წამოვეკარ, დაიწყო ბარგანაობა,  
იმამაც შემომიქცია, გახდა ხმალ-ხანჯარაობა.

## 125. კა ყმას აკმეი

კა ყმას აკმეი, დედაო, დილა აღრიან სადილი,  
ან მთა გატყდების, ან ბარი, ან მთას გაუვა ნადირი.

## 126. აქაფებულო ხევებო

აქაფებულო ხევებო, კალებში ჩაიკრიფებით,  
ზაფხულში ყიყინასა სცემთ, ზამთარში ჩაიკმინდებით.  
ყინულის მილში, ზვავის ქვეშ, ფარულად მიექანებით.  
და დაბერებულ ალაზანს მღუმარედ მიესაღებით,  
გაზაფხულ შამბიანებში ერთბაშად ასწკრიალდებით,  
მთა-ველის ასამღერებლად უფსკრულში ჩახშიანდებით,  
მთვარემოფენილ ღამეში დეკნარში აშკყვრიალდებით,  
და ხან კი უგზო-უკვალოდ ფერდებზე აშრიალდებით.

## 127.

წყალი მწყურია, წყალს დავლევ, დავეწაფები გუბესა,  
ავდგები, შემოვებხვევი ღამაში ქალის უბესა.

## 128. თუმნო, რა ხქენით ზეზვაი

- თუმნო, რა ხქენით ზეზვაი, აღარ იკვლევთა, ნეტარა,
- სიდალ მოვჩხელავთ ზეზვასა, მთლად მოვიარეთ ქვეყანა,
- იჩო გავგზავნეთ ხონთქართან, იქნებ ვის გადაეტანა,
- მე ვნახე თქვენი იჩოი, ვეფხვს მწყილით გადმეეტანა.

## 129. ირემმა ირემს ახარა

ირემმა ირემს ახარა,... "ბაქრაძე ავად გამხდარა",  
- თოფის ხმა აღარ გამოდის, მგონია კიდევ მომკვდარა.

## 130. ნეტავი გადმოგაქცია

ნეტავი გადმოგაქცია, წვერიან ციხევ, ქართა,  
მემრემ არ აშჩინდებოდე, ლაზის ფიცხელო თვალითა,  
ბევრისა ნდობა ბევრსა ხკლავს, ლაზის ფიცხელო,  
მე - შენი.

## 131.

არწივის ბუდე ავშალე დილაზე თვრითვილიანი,  
მოყმეო, ცოლიმ რად გინდა სწორის გულ სიცილიანი.

## 132. აიმაღ მთასა გახედე

აიმაღ მთასა შეხედე, ქვა დებას გათხელებულა,  
მოყმეი ჩემსა ლოდნასა უცოლო დაბერებულა.  
მე მაგას არას შევირთავ, გინდ ოქროს ყანა თესოსა,  
ან კდეთა გადავევარადები, ან გულს უჩვენბ დანასა.

## 188. ბაბალე

ღიაცი არვინ მინახავ, ბაბალესავით მსუქანი.  
იქნება დამიჯერებდა, რადარემ ერთხენ უთხარი.

## 184. ვირი და მგელი

ქალას ვირი მოყროყინებს, მოსტყვერემს ნარსა და ეკალსა,  
გზათ მგელი შემოეყარა, - ვირო, ვისაიმ ხარია.  
- აქამდისინ გლებთან ვიყავ, ახლ აზნაურთან ვარია.  
- ცოტა რამ ხორცი მაქამე, შუაზურგისა ძვალთა.  
წიხლი არ გამოიქნო, არ გამიხეთქო თავია,  
კუდი არ აგააცმაცუნო, არ გამომთხარო თვალია;  
ღიდი არ დაიყროყინო, არ შემიყარო ჯარია.

## 185. აქ დასაცილი სცოდნიათ

ჩაღმის ხევიდან წამოკედ გომეწარს, უცხო თემშია,  
თამაშობად რო გადმოვხედ, თქვეს, ვერ გაიშალ წელშია.  
მეაწ აქ აღარ მოალი ამ ორ-სამ, სამ-ოთხ წელშია,  
აქ დასაცილი სცოდნიათ, ეგ არ იციან ჩვენშია.

### 136. სწორი რო სწორსა ღმეტობდეს

ცა ჰეჰავს, ჰუხავს, ელავდა, გომეწრელთ მთაში იქნება,  
სწორი რო სწორსა ღმეტობდეს, მურთაზათ რეზო იქნება.

### 137. ცუდის მოთქვამი

ზეცასა ჰრისტეს დარბაზნი, წისქვილი ბრუხავს ქარითა.  
მოყმეი, ცუდის მოთქვამი, სრულემ გულჯავრიანია.  
თუ ქალი ცუდის მოთქვამი, სრულემ შავჯაკვიანია.  
სახლითიმ მკვდარი გამუვა გიორგობისა თვეშია,  
მეორე წელწად დილასა, ახალწელგამოცვლაშია,  
მესამე ათნიგენასა, თასების ჩამოდენასა.

ბიქსამც ხარ მოუკვდებისა, ხარგაის წინას დღეშია  
ბიქსამ ცხენ მოუკვდებისა ლაშქარ წაისე, გზაშია,  
ბიქსამ თოფ გაუსქდებისა, გორდაგორ ადენაშია,  
ბიქსამ ხმალ შეწყდებისა ხელდახელ შედენაშია,  
კალთაიმც მოეკრებისა, სწორთ წინამ დაეცემისა,  
შინამ წალგვირან დედასა, მებზეამც უშავდებისა,  
სწორნიმც იღებენ ნაბდითა, გზაშიამც უღამდებისა,  
ნუცამ ატირდებ ქალ-ზალი, ნუცამ ცრემლ ეღირსებისა,  
ნუცამ დაადგებ ხუცესი, ნუც ჟამნი ეღირსებისა.

## 188. ნეტავი ბიკად მაქცია

ნეტავი ბიკად მაქცია, ქალიმც ნუ ვიყვიდ თმიანი, არყოვნის ქალაყ შეგკყარნა ორნივ ხელმათრახიანნი. წელზედა ქამარს შემოგხსნიდ, ქალ ვიყავ დავლათიანი, ძმას შევარტყმოდე თავისას, შინ ვიყავ იმედიანი.

## 189. ქალიმც ვიყვიდი უქმარო

ქალიმც ვიყვიდი უქმარო, თავის თავს დავამშვენებდე. ლურჯო-დ ჩაგივამდ, ჩოხაო, ქუქუმოვ, გაგაკრელებდე. თეთრო-დ ჩაგიცვამდ ტყავკაბავ, ნაოკად დაგაყენებდე. ჩაგიცვამდ პოლტაპოკებსა, კოკებამდ დაგამშვენებდე. საპნით დავიბანდ ხელ-პირსა, ბიკებს თავს გოვაწონებდე. ქალებსა ჩემებ სწორებსა ყველას წინ წაუდგებოდე.

## 140. წყალხ გაღმა ცხვრისა ბლავილი

წყალს გაღმა ცხვრისა ბლავილო წყლის გამოღმ გამოდიოდა. ცხვარო იწველებ, შიშაქო, ყველ-ერბო შინ მოდიოდა. კედილო, იპარსებოდე, ნაპარს ჩარექიმ დიოდა. იმ ცხვრისა, დალოცვილისა, ნადგომი ნაწიდარია, იმის მიმყოლის ძაღლისი ნაბძოლი-ნასისხლარია,

იმის მიმყოლის მწყვემსისი ნაწოლი, ნაცრემლარია.  
გორზე გავიდოდ მემცხვარე, დაჯდებოდ გუგულივითა,  
გვერდს ძალი შეუწვებოდა საბრალო ცოდვასავითა.

#### 141. მოდ, ციცო, დარბაზს წავიდნეთ

- მოდ, ციცო, დარბაზს წავიდნეთ, კოდ გვაქვის  
დასალოცავი,  
- მე დარბაზს ვერას მოალი, კუდი მტკივა და ბარკალი.  
ორ დედათ ერბო შექამეს, მე დამწვეს ალაღ-მართალი,  
მასრიეს შემის ნატეხა, მომტეტეს ფენი-დ ბარკალი.

#### 142. შივდივარ ჭიუტის მთაზე

შივდივარ ჭიუტის მთაზე, შივზდევ ჭიხეების კვალსაია,  
შვიდი დავნარდე წიწილი არწივის ნაბუდარუნედა,  
შვიდსავ უყიდე ფრანგულეებ. პირი უშტნჯე ქვანედა.  
გატენეს მეტეხის ციხე, ბოლი ადინეს ქვანედა,  
გამოიყვანეს ლამაზი, ცრემლი ადინეს თვალზედა.  
ქალო ლამაზო, ნუ სტარი, ცრემლი ნუ მოგდის თვალზედა.  
შენი საქმარე შინ გვიზის, გაზდილი ლერწამ ტანზედა.  
გადაატარეს ქედები, გავიდნენ შარაგზანედა,  
წინ თუში შემოეყარა, თოფი ეკიდა მსარზედა.

ხეი, ქისტების ბიკებო, ვინ შემეცილენტ ქალზედა.  
თუ თქვენ ემაგ ქალს წაიყვანთ, ქუდი რად მხურავ  
თავზედა.

შვიდი ქისტი, ერთი თუში გავიდნენ საომარზედა,  
შვიდსავ დააკრა თავები, მკედარი დაწყო მკედარზედა,  
ხანჯარს პირი გაუშინჯა ისევ მოსულა ფხაზედა,  
ადექ, ლამაზო, წამომყევ, ვიაროთ დაძმობაზედა,  
ადგა ლამაზიც, თან წაჰყვა, იარეს დაძმობაზედა.  
ქალი დედას დაუტოვა, თვითონ გამოვა გზაზედა,  
თუშო, ეს ქალი შენ გყვანდეს, იძინოს შენსა მკლავზედა.  
რას ამბობ, დედი, რას ამბობ, ვიარეთ დაძმობაზედა.

148.

მინდიხარ, შენმა გაზდამბ, და შენმა დაბერებამა,  
შენმა გვირგვინის დადგამამა, მზისა არ დაშავებამა.

144.

აყიმად მთასა გახედე, ჯიხეებ ნადგომზე დგანანა,  
რქა რქაზე გადაუხვიავ, ნდობიარეებს ღვეანანა.  
ნდობიარეთა გამყრელსა მარიამ წმიდა ღრისხავდა.



## 145. კვეთილიანი

ჩემეულადალ უთხრიდით კვეთილიანსა ქალსაო,  
შავ დაიხუროს მანდილი, გამოდგეს დერეფანსაო.  
ლურჯი ჩაიცვას ჩოხაი, გულს ნუ ჩაიყრის ჯავრსაო,  
გაზაფხული რო მოიდეს, წინას ამოვხყევებ ცხვარსაო,  
ქალ, დაგიხსნ კვეთილიანსა, შიშაქს გადაუთვლ ცხვარსაო,  
თუ იმასაც არ დამჭერდენ, მხართ ავიყრ იარაღსაო,  
თუ იმასაც არ დამჭერდენ, უღელთ გავიყრი ხართაო,  
შენთა მამულთა ზავს მივსცემ, ალუდს უღუღებ სვიანსა,  
მაგ შენთა მონას ქმარეველთა ხმალსა ვანახვევ ფხიანსა.  
აზდგიდი-დ გამოგიტაცებ, როგორც მთაშია ნიავსა.

## 146.

ქალო, შენ კარზე შეშა დგას შენ ზურგით ნაღებ, საწყალო,  
შიგ სტანავ ფიჩბის კონაი, ცეცხლიმც მოგედებ, აყარო.  
ლამაზო, შენამც შიგ ჩიწვებ, მე შენ სიკვდილი მახარონ,  
შენ იმედ აღარ მექნებოდ, მე გული ცხვაზე დავეყარო.

## 147. საალმეს ცხვარსა ვაძოვებ

საალმეს ცხვარსა ვაძოვებ, ნარღვევთას მაქვის ბინაო,

ჩაეხედავ საჩილოლოსა, სნეულივითა ვგმინაო.  
ქალ, გარეთ რად არ გამოხვალ, ქალ ხიზანაის ანაო,  
გარეთ გამოსვლას რად უშლი, მარე, პირქვე დასამარხავო?  
ვესტმოი ღვინის ტბაია, ვესტომთა ვერცხლის ბარძიმი,  
გოგრულთა მაღალ სოფელი, დოქუ დართული რვალითა,  
დოქუში თეთრებ ციხეებ, აშენებულეებ კირითა.  
ქალ, თუ ბოკონას გასცილდე, ბედსამ ნუ იღებ ბოლოსა.  
ვერას ვიქნებოდ ომალოს, წყალს ვერას ვიღებდ ვირითა,  
კესელოს ციხეს ავაგებდ, კუთხეს გულესევდ კირითა.  
შიგა შევლრეკევდ ობლებსა, დაზარდილთ ცოდვა-კირითა.

#### 148. ხუნჩალე

ხუნჩალე კაცი მეგონა, ჯარისი გამბრუნებელი,  
ხუნჩალე ხუნდი ყოფილა, ხურხევ-კართ საგორებელი

#### 149. არ მინდი დიკლოელაო

არ მინდი, დიკლოელაო, ნაპირის ადგილისაო;  
არც შენა, შენაქოელო, - ხმოო, შანტლისა მძოელო;  
არც შენა, ომალოელო, - ქუითა წყლისა ღებაო;  
არც შენა, ქუმელაურო, გირჩიკელაო ტყისაო;  
არც შენა ჩიგლაურელო, - ქარს გაცვეთილო, ქაჩალო;

არც შენა, ხისოელაო, - მარნაო ხისძირისაო;  
არც შენა, ბოკორნელაო, - როკოო მთისძირისაო;  
არც შენა, დოკუელაო, - კაკაბო კდისძირისაო;  
არც შენა, ბელელაელო, - ეშმაკო კდისძირისაო;  
შენ მინდი, ხახაბოელო, - იშორიკ იფქლო წითელო.

### 150. რაიმ გიმღეროთ, მამულნო

რაიმ გიმღეროთ, მამულნო, რაიმ უფრ გეამებისტა.  
მეხი გიმღეროთ ყმიანი, ისიმ უფრ გეამებისტა.  
კერაი ქალი-დ ზლიანი, ისიმ უფრ გეამებისტა.  
ეზოი ცხენ-ჯორიანი, ისიმ უფრ გეამებისტა.  
ან ცხვარი თვირთვილიანი, ისიმ უფრ გეამებისტა.

### 151. ცა ჰექდეს

ცა ჰექდეს, ქუხდეს, ელავდეს გომეწრის ჯვარი იქნება;  
ქალი რო ჰმარსა სწუნობდეს, ივანაური იქნება,  
ჯარზე რო მეტად ჯდებოდეს, ხეცუურელი იქნება.

### 152. ნუ გიხარიან ქალაო

ნუ გიხარიან ქალაო კაის ყმისა ცოლობაო.

კაის ყმისა ცოლობასა კაი უნდა ქალობაო,  
შინა სახლის რიგი უნდა, კარი-კურის მშვენებაო,  
კაი სტუმარს ხვედრა უნდა, კაი გულის ჩვენებაო.

#### 158. გათხოვდი, ქალო, გათხოვდი

დაბერებულხარ, ბულბულო, აღარ გიხდება გალობა,  
გათხოვდი, ქალო, გათხოვდი, აღარ გიხდება ქალობა.  
დათხოვდნენ შენებ სწორები, შენ გან ციხე ხარ მაგარი.  
ან გამოთხოვდი ჩვენ მხარეს, ან გულში დამეც ხანჯარი.  
შორი მზრის მემცხვრეი ვარ, შენგან უცყკლოდ დამწვარი,  
შირაქის ქედზე დავდივარ, ნანდობი ალონს დამრჩალი.

#### 154. წასვლაო, აღარ მოსვლაო

შენ გულო გუნებისაო, თან სიშორეო გზისაო,  
წისვლაო, აღარ მოსვლაო, გაწირვაე ნანდობისაო,  
მომიგონიდიო, სწორებო, დამიტირიდიო, დედაო,  
მე იქნებ ველარც მოვიდე, ჩემი რა გაიგებაო.

#### 155. ძნელია ცხვისა შვილობა

ძნელია ცხვისა შვილობა, ძოება ბატკნებისაო,

კამა ცარელა ხარისა, ზედ მოყრა მარილისაო,  
გასვლა გორებზე, დაჯდომა, ტირილი ქალივეითაო.  
ჩაეხედავ საწუათოსა, თვალითამ ნუ ჩინდისაო,  
ჩემებ სწორების ბიკების თარეში ცხენებისაო.  
მზეო, შენ მაინც ნუ ჩახვალ, სიშიშველე მაწუხებსაო.

### 155. ბუჩას თომამ დამიწუნა

ნიორწყალმა პირი დამწვა, მარილწყალიმ რას არ იქსა,  
ბუჩას თომამ დამიწუნა, კარგა ბიკიმ რას არ იქსა.

### 157. ნეტა შენა, ცოკის მაო

ნეტა შენა, ცოკის მაო, იმედი შენი ქმარია,  
ტანწვილი და ყელმადალი, ქოჩორი ბურბუშელია,  
იმედ, სიკოკლით რად მწუნობ, განამ კურდღლებს  
მადევენბა.

დავიქსავ ორშიანასა, გარას მოგიხრიალება,  
ამვლელ-ჩამვლელ ქარავანსა კარზე მოგიტრიალება.

### 158. წავიდა, გული წაიღო

წავიდა, გული წაიღო, იმ დედამომკედარ ყმამაო,

შეეჩობაყ, ნაბდის ქუდამა, იმ ქორისთვალთანაო.

### 159. ითოვლე, თოვლო, ითოვლე

ითოვლე, თოვლო, ითოვლე, არ ასცილდები ბანსაო,  
იზარდე, ბიკო, იზარდე, არ მეფერები თავსაო.  
შენ ბიკი ხარ და დაშავდებ მურყნისა შეშასავითე,  
მე ქალი ვარი-დ დავშვენდებ ამბულსა დროშასავითე.

### 160. ვარ ცხვარში წამავალიო

ორშაბათ დილა,ლამაზო, გზებზე გეკიროს თვალთ,  
შემოგიჩინდებ ლურჯაი, ყუროფლიანი, ჩქარია.  
ის ღამე ერთად ვათენოთ, ვარ ცხვარში წამავალია.  
მეორე დილა,ლამაზო, გამომაყოლე თვალთ,  
ჩუმ-ჩუმად ჩამოიტირე, არვინ შეგასწროს თვალთ.  
ეგ მამაძაღლის ოხერი, გორებიც თვალთანია,  
ეგ მამაძაღლის ოხრები, კედლებიც ყურიანია.

### 161. დაგენდევე, არ მილალატე

ცირბევე, ცირმაშტეს ყანას ვეკი, ძნას ვაწყობ სამად ჭარადა.  
მოვიდა სალამოხნის დრო, ბუმბულნ ამიტყდნეს ქარადა,

მოვატან ცირბევის ხეესა, ადიდებულსა ღვარადა.  
დავჯედი-დ ტირილ დავიწყე, ცრემლებ ჩამომდის ჭარადა.  
ბიჰვე, გიო ბეროანთაო, შენამ შეერგებ დედასა,  
წყალსაწ შენ გამომიყვანე, ცხენის შემისვი გავასა,  
ამომავლიე დელის ტყე შენ ცხენის ნალთა ელვასა,  
დაგენდევე, არ მიდალატე, ქალმ თავი მოგეც ნებასა.  
იქამც შენ გაგემარჯვება, ხმლები რომ იდგნენ ელვასა,  
ტყვიები მოციქულობდენ, შუბებ სწლაპევედენ ენასა.

### ნატირლები

182.

შვილებ დავწირენი წითლოვნის ქალასა,  
არლ დამიშინოთა, ცხვართა მემცხვარენო,  
წვრილებ არიანა, ყურილ მუგდილითა.

183.

საბა მომივიდა მე იანვარშია,  
ნაპრალ მომიტება ყონიკურისაი,  
ალთო მომინჩქლია საბამა წყლისაი.  
ვაიმე,სბა, ვაიმე, ქორწილიმ რა ვქნეთა.

164.

ციხეი წაგვექცა მაღალი-დ მაგარი,  
მტერიწ ჰოგვერევა მთასაცა-დ ბარსაცა.

165.

დედა მოგიკვდესა, სვიმანე, დედაი,  
ხიღიმ რაღარ გაგვიტყდ, დედა მოგიკვდესა,  
შიგ რაღარ ჩაგვიტან სამნივე ქალები,  
მეოთხე დედაი, მეხუთე ზალოი.  
დედა მოგიკვდესა, სვიმანე, დედაი.

166.

არ ჩამიარეა ლაროვნის ღელეი,  
არ ჩამიყოლეა ჩემი ლამაზოი.  
ვერ ჩამოვიდოდა, მძიმედ დაჭრილ იყო,  
უწყალოდ დაეკუწა მაგ დასალეველთა.



კიდე შეგიღებდე ქვახიდის კალასა,  
რაითამ გადაგიღვ ჰაწუნტის წვერზედა.

ვაიმე, არსენ, ვაიმე ვაიმე გენაცვალე,  
რა მონა ყოფილა, არსენ, დალევადი,  
კარებდაგულვადი, კარჩხილჩადებაი,  
მიხოსალ უთხრიდი, ზალო წამივიდა,  
თებროიც წამართვა, ნიშო თან გიყოლა.  
იყვირ, მალხაზე, იყვირ, გან დრო არ გაქვისა.

დედა მოგიკვდესა, ჩემ ეფრო, დედაი,  
სიდამ გისაგონო, ეფრო, ხევეებშია,  
ყვავ-ყორანთ ნაქამი, მელ-კვარნათ ნახრავი.  
კიდევ ველოდები აქითა ბიკებსა,  
ვინამ მომიტანსა ჯოხსა და გუდასა.  
ზაფხულიწ მოვიდა, ხარიწ ხენად გავიდა,  
შენამ რას უზამა ცოლ-შვილს მუნავასა.

170.

ძმოდ, გენაცვალე, ძმოდ ჰირი დასა,  
აღარ მომიხვავა, ნულარ გელოდოა.  
ნუ ამოვხედოა ლაროვნის ლელესა.

171.

არ ჩამიარეა ვესტმოვაკისაკე.  
აღარ ეტყობიდაა ჩემ ფილოს ნაფრენი.

172.

ხარებ დამაკვები, ხარებ ხალიზითა,  
სახნავად მოალივ, დასაბნელებელმა.  
წუხრ კი გავათენე წუხრინდელ ლამეი,  
ლონებ-გონებითა, ჩემო ქმარისძმოდ,  
ვეღარ გავათენებ საღამოდ ლამესა.  
შენ გამამაგრიდი, ჩემო ქმარისძმოდ,  
შენ ჩამომიხვიდი, მეხზე დამიჭდიდი.

178.

არ დიბარენია, მაჩაი, ყველანი,

არ ამოვიდაა ჩემი მაკრატოი.  
ნაავადობ იყო თორმეტ კვირასა.  
გარევე სტკიოდაა მაკრატოს მუხლები.  
არ მდევრობენაა ბიკების მუხლები.  
ხელითიმ დაღვაა ჩემ ოლამ წინდაი.  
გარევე წავიდნეთა, მაჩავ, კონთიოსა,  
სიბუქანიწ ხართა სიძე ცოლეურთსა.  
სახლიც მეტა მნდა, მაჩა, თქვენ ნამყოფი,  
კარ-კურიცაწ მინდა, მაჩა, თქვენ ნარომი.

174.

ჩვენ ამოვედითა, ზალო, ნაქერალა,  
შენ მანდ გაგწირეთა, ალონს საყდრისკარა.  
ზალო ალალაო, კერაის ცოდვაო.  
ბარგობ ჩამოვლენს გომეწრელთ ბიკები,  
დაძმობა უთხრიდი, მანდ არ გაგწირვენა,  
ცხენს დაგითმობენა, ამოგიყვანენა.

175.

დედა მოგიკვდესა, ჩემ ადამ,დედაი,  
შენ ველარ გადივლი ლაროვნის ღელესა,

ველარ ჩამოხვალი გირევ შუუბანა.

176.

სახლიწ გამიფონე, ჩემო დედამთილო,  
შინალ შევიდეთა, დედამთილის შვილო,  
ცეცხლით ავანთოთა ნედლი ჟინაისი,  
ჩავე ჩავეაროთა მწარე, გიეშისი.

177.

ხარმაწ ქალ მომიკლა, რქააშვეერილამა,  
რქააშვეერილამა, კუდჩაშვეერილამა.  
რაგვერემ ავილო ჰაწუნტის მთაზედა.  
თვარ მალ ჩავიღება ჰაწუნტის ქალასა.

178.

ქალსავით გვიტირის, ზალო, მარკოზაი,  
ქარადამც აგიტყდებ სულლთქმაი ქმარისი.  
ნიაღვრადამც გექნებ ტირილი ქმარისი.  
ფონამც ნუ გახვალი ქმარშვილთა ცოდვითა.

ჩემ ადამ, ჩემ სვიმან, ჩემო დამლეველნო,  
 ვინამ დაგწყიათა სალდათის წანისე.  
 წახვთა-დ ველარ მოხვთა თქვენ სალდათითები.  
 ორჯელ ჩამოვედი ადამო ქალაქსა,  
 ორჯელ მოვეყუდე ბალინცის კარებსა,  
 შიგ არ შემომიშვეს მაგ დასალეველთა.  
 ზე-ქვე მობრუნდესა ჩემ ცოდვით ქალაქი.

რა კარგა სწევხარი, ზალო, გენაცვალე,  
 თვალიწ ვერ მოგავლე, თვალიმ დამიდგება.  
 სახლს თავ ვერ დავანებ, თავსამც დამექცევა.  
 ზალვ, დაგაწვინამცე გიგოს ბინაშია,  
 ზედამცე დაგხურა გიგოსი ნაბადი.  
 ჩემ ზალო, კარგაო, ჩემ ზალო, კკეიანო,  
 ზალო, გენაცვალე.

არ გამოლვარაა ხახონის ვაკეი,

სისხლიმ გარევ არსა, ჩემი ფილონისი.  
იყო განათრენი გაღმა და გამოღმა.  
ხელებზე შევხედიდ, ფილო არ იყვისა,  
პირზე შევხედიდი, ჩემ ფილოს ღვეანდისა,  
იყო ნატირები, დედამოსაკედავი.

182.

დედა მოგიკვდესა, ჩემ ელო, დედაი.  
ნულარ გელოდოა? აღარ მომიხვაა?  
ანთაის სახლშია, სახის ქირიმეა.  
თვალ-წარბის ქირიმე.  
ჩემ ელვ, გუმძლარაო ჯალაობის ნდობითა,  
ილოსიც ნდობითა.  
დედა მოგიკვდესა, ჩემ ელო, დედაი,  
ქალ, ვის უნდ დარშჩესა შენი ნაქირგალი.  
რადარ თინა დაგრჩა, რადარ თინას დარშჩა.  
დედა მოგიკვდესა, ჩემ ელო, დედაი.  
მე თავ აღარ მინდა, ჩემ ელვ, სიცოცხლედა.  
გარევ მოაღისა, ჩემ ელვ, აღდგომაი.  
ენიანებ იყვნეს შენ მამა-ბიძანი.  
უფალს შესთხოონა, მე წამიყვანონა.  
ანთასაც უთხრიდღ, დალეულ ანთასა.  
დედა მოგიკვდესა, ჩემ ელო, დედაი.

## ეთერი

ერთ ქალ ყოფილიყვ, ეთერი, ობლად გაზარდილი, მეძროხე , ძმებიც ხყვანიყვ. იმავ სოფელში ყოფილიყვ ბიჭი, გოდერძი. გოდერძის მეტა მოსწონებიყვ ეთერი-დ ერთხენ დეწერ ქალაღდი-დ დეგდვ ეთერის გაზაზე. შიგ დეწერ, მეტა მომწონხარიო-დ ერთყვად უნდ შევირთ-ოთავ. ეღვ ეთერს, წეკითხა-დ ეთქვ, ეგევ მასხარად მიგ დებსავ. გადევგდვ ქალაღდი. მეორედაც გარეე დეწერ გოდერძის წერიღი, ეთერსაც გარეე გადევგდვ. ხოლო მესამედ ეთერს ეთქვ:

“შენ დიღი ხარ, დიდებუღი, დედამისავან ქებუღი, მე ობოღი, ობღის შვიღი, ობღობისგან დაჩაგრუღი. შენ რო ხქნე შენი გუღისა, გამწირო წყალწაღებუღი.”  
მემრ გოდერძის ეთქვ:

“ეთერო, თუ გიღალატო, ღმერთიმცე გამიწყრებისა, ცხენზე ვიჭდ. გაღაღებულზე, უზანგიმ შემიწყდებისა, თოფ მქონდეს გამზაღებუღი, კონდაზიმც მომეშღებოსა, ხმალ მქონდეს ამოღებუღი, ვადაიმც მომიტყდებისა. ისრე შემეყრას და შემეკანტოს, ჩემ ენა ვერ ძრახევდესა, ზეყას დარეყვა ზარისი დაბღ დეღამიწას სმენდესა”.

იმ სოფელში ქორწილ ყოფილიყვ,ორნიც იქ მისრუ-  
ლიყვენეს. ერთმანეთს თურ თვალს ველარ აშორებენ.  
ერთმანეთ გელექს. ჯერ ეთერს ეთქვ:

"ნუ იცინი, ნუ მაინებ, დაგვაქურისქურებენა,  
სიყვარულსა შეგვიტყობენ, დაგვაშორისშორებენა.  
სიყვარულსა მალვა უნდა, მოპარულსა ცხვარსავითე,  
გამოჩინდეს, მალვა უნდა, ძმამომკვდარსა დასავითე".  
ახლ ბიქ ეთქვ:  
"არ შემოგხედომ, როგორ'არ, თვალე არ დადგებიანა,  
არ გავიციანომ, როგორ არ, ბაგენიწ იშლებიანა"

ეთერი-დ გოდერძი საქორწილოდ მომზადებულ-  
ყვნეს, სანამ გოდერძი ითხოვდ, მანამდ ეთერს ეშმაკებ  
თხოულობდეს, მურანიანი. ახლ ისენ ჯიბრში ჩუდგნეს.

"ორშაბათ ჯვარსა იწერენ ხუცითა-დ დიაკვნებითა,  
მოდიან, მოთამაშობენ, სტვირითა-დ დაფა-ზურმითა.  
ერთი სულძალი ბებერი იმ ქალსაწ ემუქაროდა".

შევიდნეს საყდარში, ეშმაკს ვინ ღნახავს! ეშმაკმ ერთ  
მუჭა ტილ გადაყარ ეთერსა-დ თავითა ფეხებამდ ტილ  
ეხვი, საყდრითა გამიყვანეს ეთერი-დ ცხვა სამოსებ ჩაყ  
ვეს. გარეე შევიდა-დ დადგ ნეფესთან. ეშმაკმ გარეე გა  
დაყარ ტილები. გარეე გამოსცვალეს. შევიდ საყდარში  
ეთერი-დ ეშმაკმ მესამედაც გარეე გადაყარ. იმაშ კი გო  
დერძი ცხვა კარებითა გამოვიდა-დ თქვა, მეავ მაგაზე  
ჯვარს აღარ დავიწერავ. ეთერ იმაშინასევე წიყვანეს  
ეშმაკებთ.



გოდერძი გახდ ავად. ხანთხან თუ გავალის გარეთ.  
ერთხენ მურან შეყარა-დ უძახ:

- მურან, მურან. შენსა მზესა, შენი ცოლი რა ფერია.  
- რასა მკითხავ, ცათა სწორო. ცოლის ქება აუგია.  
მინდორში დგას ბროლის ციხე, ცამდინას მიმდინარია,  
შიგა ზის ქალი ეთერი, ყელი მოუღერებია,  
თავსთან უზის მაამთილი, ქალაქს ციხე მაგარია,  
ფეხთან უზის დედამთილი, ბროწეულის ყვავილია,  
მეხს უსხედან ქმარისძმები, დაღესილი აღმასნია,  
გვერდს უსხედან სამნი მულნი, სამნივე პირის ფარეშნია,  
კარზე უდგას ყარაულნი, ოთხივე კუთხე უქერია,  
შენ იქაც ვერას წახვალი, გზა შორად წასავეალია,  
რო წახვიდეც, არ შეგიშვებს. ქალი ამპარტავანია.

გაქცი ცხენ მურანმ, გოდერძი შინ შევიდა-დ უფრო  
ავად გახდ, დედა მკითხავსთან წავიდ. მკითხავმ უთხრ:  
სუფრა გუკეთევ, გამუყცხევივ კაი კოტორივ, მუტანევ  
კაი წითელ ღვინოივ, ყორნის ფთეივ, მაგაებს რო შუ  
ტანავ, გამოხვიდიო-დ ყურ დუგდიდივ, დედამ ყველა  
წუყტან. თავად კარებს უკვენ დიმალა-დ ყურ უგდვ.  
გოდერძიმ მხარზე წამიწი, იღვ სტაქანი-დ თქვა :

"რა ლამაზი ხარ, სტაქანო, ეთერის ყელ-ყურსავითე,  
რა წითელი ხარ, ღვინოო, ეთერის ლოებსავითე

იყღვ ყორნის ფთეი-დ უთხრ:

"რა შავი ხარი, ყორნის ფთევე, ეთერის წარბებსავითე;

ახლა კოტორ იყლვ:

"რა ლამაზი ხარ, ქადაო, გული გაქვ წურულსავეითე,  
შეგქამო, შემომეყრები ეთერის სურვილსავეითე.

დედამ უძახ:

"შვილო, მართლ გკლავსა სურვილი, წავალი-დ მოგვერი ეთერსა,  
თუ ეთერ აქ არ მოვიდეს, მე წყალს გავხყვები მდინარსა.  
- ეთერიმ რასალ მიშველის, სული კი წავიდ მთავარი.  
ადექ, უშტარო მარიხო, ეთერსალ კარი უარე,  
თუ გკითხოს ჩემი ამბავი, უარ უარელ უამბე".

მარის მასკვლავ წავიდ ეთერსთანა-დ გარეთითამ უძახ:

"- ჩემო მამთილვ, გამიშვი, წავალილ მეზობლისასა,  
წავალ და ისევ ამოვალ, მითამ ვყოფილვარ ძმისასა."

მამთილ არ აშქკვავდ, ახლა დედამთილს უთხრ:

- ჩემო დედამთილვ, გამიშვი, წავალილ მეზობლისასა,  
წავალ და ისევ ამოვალ მითამ ვყოფილვარ ძმისასა.

არც დედამთილ აშქკვავდ, მემრ დიდ მაზლს უთხრ:

- ჩემო ქმარიხძმავ, გამიშვი, წავალილ მეზობლისასა,  
წავალ და ისევ ამოვალ, მითამ ვყოფილვარ ძმისასა.

მაზლს გეყჯავრა-დ უთხრ:

-თეთრი ხარ, თეთრსა ქორს ღვევხარ, თეთრსა ქარს ახყოლიხარო,  
წადი და ნულარ ამოხვალ, ეშმაკებს გახყოლიხარო.

ადგ ეთერი-დ გამოხყვ მარის მასკვლავს, მრის მასკ-  
ვლავს უამბვ გოდერძის ამბავი. ეთერმ ტირილ დიწყვ-  
მარის გულს უკეთებს:

- ეთერ, ეთერ, ჩვენი ბიჭი, საბატონოდ გაზარდილი,  
ეთერ, ეთერ, ჩვენ ლოგინი, ინდუეთით მოტანილი.
- არცა თქვენი სახლი მინდა, სათავადოდ აგებული,  
არცა თქვენი ლოგინ მინად, ეშმაკების დაგებული.

მოვიდნეს სახლამდი. მარეხ მასკვლავ შევიდ:

- ძმავ, მოვიდა ეთერი, თუ თვალსად გაქვა ნათელი.
- ეთერიმ რადას მიშველის, სული კი წავიდ მთავარი.
- ეთერ, ეთერ, შინ შემოდი, თვარ სულიც ამოვიდ მთავარი.

გოდერძის ერთ შეხედვ ეთერისადა-დ უთქვამავ:

- ღმერთმან დღეიკა დიდ მოგცეს, ძმებიც გიცოცობლოს მრავალი.
- ეთერის გასაჩვისადა ცხენ მიბოძილით სალარი.
- ეთერსამ ცხენი რად უნდა, უბოძეთ დანა-ხანჯარი.

გოდერძის სულ ამუვიდ. ეთერს ჯიბეში გოდერძის -  
ეულ დანა ხქონდ:

მოყმისეულო დანავ, ჯიბეს მიძევხარ განავ,  
ამოვიღება, დავიციე გულის ფიცარასთანავ.

გზის ძირა ჩვენი სამარე. გზისთავამ დაგვმარხიანა.  
ერთი ვერცხლისა ვაშრპა თავსთანამ დაგვიდგინა.  
ჩვენის ძირ წყარო გამოდის. შიგ ვერცხლის თასიმ დგინა.  
შემდინარ-გამომდინარნი შენდობას იტყოდნინა,  
ყოფილან მდობიარენი, სულითამ ცხონდებიანა.  
ჩვენზედამ ია ეფინის ხოხბებიმ იარნინა,  
დილაზედ მოვლენ ხოხბები, სალამომდ მოზძოვდიანა.  
მურანის სამარეზედა ნარნი-დ ეკალნიმ დიანა,  
დილაზე მოვლენ ვირები, სალაომდ მოხერვმდიანა.

დიც დანაი-დ მიკლ თავი. ერთად დაღმარხესა-დ იმათ  
სათლავეზედავ ია ამოვიდავ, იციან.

## ზღაპრები

### ხარის ბექი

ყოფილიყვ ორ ძმობილი - ერთ კუდიანი-დ ერთ უკუ-  
დლოაი. უკუდო ძმობილს ეთქვ კუდიანისად, რომეც  
შენზედ ამბობენავ, კუდიანიაო-დ ერთხენალ მეაც წამი-  
ყვანიდივ, სიდაც შენ მიზნიხარევ. კუდიანს წეყვან ლამი  
იქაია სოფლის გვერდზეა-დ რას ხედავს, მთელ თურ  
ეშმაკებითა-დ კუდიანებითა ის ადგილ სამსვიაი, დიდ  
ჩოჩქოლ ხქონი. სოფელშიითა დამბულ ხარ ეშვა-დ მეყვ-  
ან, ხელათ დეკლ.დექრ ასო-ასო მეხარშა-დ ჩამერიგ  
კამად, თან ეთქვ, რო ძვლებივ არავინ გადახყართავ.  
უკუდოა კაცს ექამ ხორცი-დ ბექ დემალ. ეშმაკებს

შეკრიფ ძვლები-დ ბექ დახკარგვიყვ. ეკვლი, ეკვლია-დ რო ველარ მებელ, ხისა გეკეთა-დ დედვ იმ ძვლებსთან. მემრ თითო-თითო თურ წავ იმ ძვლებსთან, დახკრავს სახრესა-დ ადექივ ეტყვის. ყველაყთ რო დეყკრ, შენძრ-ეულიყვ ხარი-დ ნელნელა წამომდგარიყვ. ხარ მეტა გამხდარ ყოფილიყვ. წყევანა-დ იქავ დეაბ. უკუდუა ძმობილს გეხედვა-დ იმის დედაიკ იქ ყოფილიყვ, იმის დედაიკ თურ კუდიანი. უკუდოა ძმობილ თურ კუდიანს ეფარებ, დედამ არ მნახოსავ.

კაცს რო ხკლავენ ეშმაკები-დ კუდიანებ თურ წილებს ხყრიან, რომელსაც შეხვდებ, იმამ უნდ მოკლას. ახლ თურ წილებს ხყრიან იმ უკუდოა ამხანაგის მოკვლაზედ. უყრი ერთხენ წილები-დ დედას შეხვედრი. - არავ - ეთქვ, - თქვენავ მონადა ხყარეთავ წილიყ. ეყარ წილ მეორედა-დ იყმასავ შეხვედრიყვ. მემრ ეთქვ დედას. რომევ მოკვლად კი ვერ გავიმეტებავ შვილსავ, მაგრამევ ზავან დროსავ რო ცხვრის პარსვად წავალისავ, აქნეულ დუქარდს თვალში მოვახვედრებავ, დავამახინჯებავ. ამავებს თურმე ყველას ყურს უგდებს იმისივ შვილი. იქითან დაშლილიყვენესა-დ წასრულიყვენეს თავ-თავის შინ.

უკუდოა ძმობილ თურ ცხვრის პარსვადა მეღვ დი-აცს კამა მოსრულიყვ დედაი-დ ამ კაცს ერთ ბუზვ დაეჯდომიყვ, ბზუის თურ მეტაი. რო გამთხვენა უნდ. დაზდებს დუქარდსა-დ იგრ უქნევს. ხელს, თან ეობნების: "აქშა, ბუზვ, თვარ მოგკალივ" დედა თურ ეობნების სიცილით, ბუზვიზდავ აგრ თქმა რავვერ შიძლებისავ. ბოლო-ბოლოს დექირ ბუზვი-დ მეყკლ. ბუზვის გაქყლ-

ეტაი-დ დედის მოკვდომა ერთ ყოფილიყვ. თურმე ის დელა ბუზვად ქეულ დალბზუოდ.

### ყელსაბამი

ორ ძმან ყოფილიყვნეს. ორთავ ცოლებ ხყვანიყვ. ის მონდავებ ორნივ კუდიანებ ყოფილიყვნეს. ერთხენ ძმებ წასრულიყვნეს სადლაცა შინ ორნივ მონდავებ დამრჩალიყვნეს. ამ დროს ერთ ძმობილ ვაქარ მოსრულიყვ. იმ ვაქარს ბევრ ფართალ ხქონიყვ. დეწვინ ვაქარი-დ თავად თურ ლაპარაკობენ. ერთს ეთქვა "რა კარგაყ ფართალ აქვავ" მეორეს ეთქვ: "ჩვენ ვიყიდოთავ" მემრ ეთქვ, რომეყ მოდივ, ეს ვაქარივ მგლად ვაქციოთავ. იმის ფართალივ ჩვენ დაგვრჩებავ. იმ ვაქარს ღვიძებიყვ. მიზდენიყვ იმათ საობარი-დ რაგვერემ უნდ მაქციონავ მგლადავ, გატურხულიყვ. მონდავებს ნაცარში ჩედვ ერთ ყუთი, მემრ მარცხენა თითნიკაით ამეკრ. ამეთარ ყუთი, ეხადა-დ შიგითა სამ მარცვალ ამეთარ. ჩეთეს მარცვლებ ნაცარშიავი. ამოსრულიყვ ჭეჯილი. ის ჭეჯილ ხელათ გაზარდილიყვ. მონდავებს ჭეჯილ დეგრიხ. გეკეთ ჭარჭა ჩედვ ყელზე ვაქრისადა-დ მგლად ქეულიყვ. წამომბტარიყო-დ გაქეულიყვ. სამს წელს მგლად ყოფილიყვ ის ვაქარი. მემრ ერთხენ თურ მგლებ წილებს ხყრიან ბაკში გადახტომაზე. ეყარ წილი-დ წინავ რო ვაქარ იყვ. იმ მგელს შეხვედრიყვ. გადაფრენილიყვ ბაკში, გადმეგდვ ცხვარი, ის ცხვარ ცხვა მგლებს გეტაც. უკვენ გადმოფრენას ჭარჭა ბაკის სარს გმოზდებიყვ. გაგლვეჯილიყო-დ ბრაგვავია კაცს გეყარ. მიხვევიყვნეს მემცხვარეები-დ

დეწყვ ცემა . ის კიდე თურმე ეხვეწებ, ჭერელავ მათ-  
ქმევიეთავ. ეამბო-დ იმათ არ დეჯერ. მემრ ეთქვ. რომევე  
აგე, ჭარჯა ხო ემანდაავ. კაი კაცს კი ნუ შაბამთა-დ ერთ  
ვის შაბითავ, თუ მგლად არ იქცესავ. მართლევ მემცხ-  
ვარეებს ერთ მემცხვარისად შებ ის ჭარჯაი-დ მგლად  
ქეუულიყვ. მემრ ვაქარს ძმებისად ეამბე იმათ ცოლების  
ამბავი. იმათ კიდე ცხენების ძუებზე გამებ თავის  
ცოლები-დ ისრ დეხოცეს.

### ნადირების პატრონები

ერთ მონადირე წასრულიყვ სანადიროდ. ზდი, ზდია-  
დ ვერ მოკლ, სუ უცდების, რო დალამებიყვ, იქავ დაწ-  
ოლილიყვ. რო დაწოლილიყვ. პირჯვარ გადეწერა-დ  
ეთქვ, ადგილის დედაოვ, შენ დამიფარე, შენ გებარე-  
ბოდევ.

შორს სიღამ ცეცხლ გამოჩენილიყვ. იქითან თურ  
უძახიან ადგილის დედას: ადგილის ლელაოვ, მოდილავე,  
ჩვენთანა მოდივ. "არავ, ვერ მოალივ, სტუმარ მყავისავ  
თურ ეს უძახის. ისიც მიყვანეო-დ მოდივ, ეძახ იქითა  
წასრულიყვნეს, მისრულიყვნეს. მონადირეებ ყოფილი-  
ყვნეს, ნადირების პატრონები. ნადირებს თურ ერთ წელს  
ქალებ სპატრონობენა-დ მეორეს წელს ბიკები. ბიკების  
წელსავ, იციან, ნადირ მეტა იხოცებავ. ბიჩქებ ბრიყვე-  
ბიავ, გონთ ყურს არ უგდებენავ. ქალების წელს კიავ  
სუც ნადირ არ იხოცებავ. მონადირეებს მერეკ ნადირი,  
დექირ ერთი-დ დეკლ. მემრ ერთ მონადირეს ეთქვ,  
დღესავ ერთ მონადირემავე მეტა ზდიავე ნადრისავ, მაგრ

ვერ მოკლავ. თოფს რო ასრევდავ, რკინის ნიჩაფს ვახვე-  
დრებდევ ტყვიასაო-დ ვაცდენდევ. მეხარშ ჭიხვი, ექამ.  
მემრ ძვლებ დეგროვა-დ ერთ ბეჭ დახკლებიყვ. იყმ მონა-  
დირეს დეყმალ. ეკვლი, ეკვლია-დ რო ვედარ მელელ.  
ხისა გამეთალა-დ დედვ. მიერთყ-მოერთყ წკეპლაი-დ  
კოცხალ ჭიხვ წამომდგარიყვ.

მემრ მეორედ რო წარსულიყვ ის მონადირე , ის ხის-  
ბეჭიან ჭიხვ მეკლ.

### ყიზილბაშის ყვავილი

ერთ კაც ყოფილიყვ. სამ ქალ ხყვანიყვ. ორ ქალ  
გეთხოვ. პატარა. გასათხოარ ქალს ყველა ფრინველის  
ენა სკოდნიყვ. მოსვლიყვ იმასაც გათხოების დროი. მამა  
თურ ეობნებ, გათხოების დრო გაქვისავ, გამოდივ გარ-  
ეთავ, სრულ შინ ნუ ზიხარივ. არავ, ქალს ეთქვ. ჩემ  
გათხოების დო არ არისავ. ჭერევ ჩემ სქამარე არასიდაავ.  
მამა რო მეტა გადახკიდები, გამოსრულ ის ქალი-დ სა-  
ხლის ბალკუმზე დამჭდარ. იქავ ახლოს ციხე ყოფილ. ორ  
მტრედ მოსრულ. დამსხდარან ციხეზეა-დ ერთკვადს  
თურ ელაპარაკებიან, სწუხდებიან, ტრიალებენ. თაჲ  
ამბობენ, რადამ დიგვიანავ, სიდამეავ. ერთხენა მოფრენი-  
ლიყვ მესამე მტრედიც.

- რად დიგვიანევ, ეთქვ, სიდ იყავივ.

- ერთ მეტა ლამაზ ბიჭ ლექსობდავ. ყიზილბაშის ყვ-  
ავილ ხქვივნებიყვ. ხალხ ეხვეოდაო-დ მეაც იმას ყურს  
უგდებდევ. ქალწ ყველ-ყველა გაღგონიყვ იმის ნათქვ-



ამები-დ წასრულიყო-დ მამისად ეთქვ, მე თუ გავხყვებივ, იმსავ, თუ არაო-დ - არავისავ. დუწერავ ქალს წერილი. შუბამავ მტრედისად მხარზე, წული მტრედს წერილი-დ ბიქს მუხლებზე ჩამოეჯდომი. წუკითხავ ბიქს წერილი, თავადაც დუწერავა-დ მტრედისადავ შუბამავ. წერილში წერებულ, ჯარით მოვდივარავ. ქალიან შემზადებულან. მოსრულ მთელ ქვეყანა . ქალის დებს შეშურები, მაგამავ რად კარგა ქმარ იშოვავ.

დუძინებავ ყველათ. დებს აღმას დუფშენია-დ ბიქსისად უქმევიებავ. ბიქ თურ ფეთქავს. ამდგარ ქალი, უნთი სანთელი. ამდგარან ყველანი. საკედავა ბიქ წუყვანვ შინავი.

ჩამჯდარ ქალ უჩინაშია-დ აღარც გამოდის, სუ თურ ტირის. მამას ძალადა გამეყვან გარეთ, მანდ რას ხკვდებივ. გამოსრულ ქალ გარეთა-დ ნახ, რო ციხეზე ორ მტრედ ტრიალებს. მესამეიმ რად აღარ მოდისავ, ამბობენ. ზედავ მესამე მტრედიც შემოჩინდ. - რად დაღვიანდივ, - უკითხავ.

-რაგვერ რად დავგვიანდივ, ერთ ქვეყანაშიავ ერთ ბიქს ეხვეოდესავ. ის ბიქ კვდებოდაო-დ ველარ კვდებოდავ. მეაცავ იმათ დავსტრიალებდევ.

ქალმ რო გიგვ, ცოცხალიავ, კინის ქამბლებ ჩიცვ. კინის ჯოხ დიქირ, იშოვ პური, ჩიყარ გუდაში, იარ, იარ, იარა-დ ერთ სოფელში მივიდ. წყაროსთან დადვ. მოვიდ კალის ქალი, კალის კოკით.

- კალის ქალოვ, კალის ქალოვ, არ გაგიგიაავ, ყიზილბაშის ყვავილიმ ცოცხალივეაავ თუ აღარავ?

-რაგვერ არ გამოვიავ. იმის ცოდვითავ ქვეყანა იწვე-  
ბავ. აი, მავან მხარესავ ვერცხლის ქვეყანაია. იქ  
წახვიდიო-დ იქითაივ თავად გასწავლებენავ გზასავ.

იარ, იარა-დ მივიდ ვერცხლის ქვეყანაში. წყაროსთან  
დამდგარ. გამოსრულ ვერცხლის ქალი.

- ვერცხლის ქალოვ. ვერცხლის ქალოვ. ვერცხლის  
კოკა მხარზე მდგაროვ, არ გაგივიაავ. ყიზილბაშის ყვ-  
ავილიმ ცოცხალივეაავ თუ აღარაავ. ანამ სიდისაკეავ.

-არ მომკვდარავ. - ეთქვ ვერცხლის ქალს. გზაიკ  
ესწავლ.

წასრულიყო-დ ოქროს ქვეყანაში წყაროს პირზე და-  
მდგარიყვ. გამოსრულიყენეს ოქროს ქალები. ყველათ  
ოქროს კოკებ ზდგიმყვ მხარზედ.

- ოქროს ქალებოვ. ოქროს ქალებოვ. ოქროს კოკებ  
მხარზე მდგარებოვ.

- ეძახ იმათად - ყიზილბაშის ყვავილს ვერ იცნობ-  
თაავ. მოკვდამიყავ თუ გარევე ცოცხალიავე?

- არ მომკვდარავ, მაგრ საკვდავა კო არისავ. - ეთქვ  
იმ ქალებს.

- იმის დედაილ მანახვიეთავ.

შესრულიყენეს ქალები-დ ეთქვ დედისად. რომევე ერთ  
ქალ გკითხულობსავ, გარეთალ გამოვიდესავ.

- ეხავ, ნეტა იმასავ, იმისიმ თავ მაქვეავე. ეთქვ დედას.  
უარ რო უთხრეს. შეხვეწნიყვ. ერთხენად გარევე უთხ-  
ართავ, გამოიდესავ.

გასუსტებულ დედა ლას-ლასით გამოსრულიყვ. ის ქალ ყელთ ჩამოხვევიყვ, მეავ შენ შვილის დალიშნულ ვარიყ. მეტა გახარებიყვ იმ დედას. მოდიყ, ეთქე. შვილოყ. შენ დარდ ხკლავსავ ჩემ შვილსავ. შესრულიყვნეს შინა-დ დედას ეთქე შვილისად, შვილოყ. ახლ რომეყ შენ ჳვარნაწერ ღნახოყ. რას იქმოდეყ?

- ეჰავ, ეთქე. მე იმას ვინალ მანახვეესავ. ერთხენა შეჩენილიყვ ის ქალიყ. იმ ქალის ნახვაზე გახარებულს აღმას ამოდვარდნიყვ იმ ბიქს დაჩირქებული-დ მომრჩალიყვ.

ეცხორ ერთად ქალსა-დ ბიქს.

### ამიღებრი

ერთ კაც ყოფილიყვ. ამიღებრი ხქვივნებიყვ, ხყვანიყვ სამ ქალი. თავად თურ ხელმწიფის მოჯამაგირეი, დღედა ხელმწიფის სახლში მიდის, მემრ თურ უყვანავ ბრუნდებ. ქალებ მთელ დღეს შინ ხყვანან.

ღიდ ქალს ეთქე ერთხენ. რომეყ შენაწავ მეტა აღარ შეგიძლიაო-დ ბიქურად ჩავიყვამაო-დ შენ მაგივრადაე მე წავალიყ. არავ, მამას არ ეშე. მემრ რო აღარ დეშალ. გეშე ბიქურად ჩაცმული. თავად გზა მექრა-დ ჩასათრებიყვ. ქალს დაშინებიყო-დ მობრუნებულებიყვნეს ორნიეი.

ახლა შუათან გადახკიდებიყვ მე წავალიყ. რო აღარა-დ აღარ დეშალ. გეშე ისიყ. მაგრ გარეე გზა მექრა-დ ისიყ იგრეე დეყშინ. დაშინებულ შინავ მეყვან.

ახლა პატარა შემდგარიყვ, მე წავალივ შენ მაგივ-  
რადან. არ დეშალ. ჩეცვ ბიჭურად, გადამჭდრეყვ ცხე-  
ნზეა-დ წასრულიყვ. გზაზე მამა გადმოხტომეყვ ხმლით.  
ცუტუნასაც ამეწვად ხმალი-დ ეთქვ, ჩემ მამას გიგავავ  
წვერივ. იქაც ეშალ მამას. ნუ წახვავ. მაგრ არ დეშალ.  
წასრულიყვ.

წასრულ ეს გადაცმულ ქალი-დ მისრულ ხელმწიფ-  
ესთან. შენავ ვინ ხარივ, ეკითხ ხელმწიფეს. მეავ ამიღ-  
ებრის შვილ ვარივ. ჩემ მამა დაბერდავ, კარვ ველარ  
მოგემსახურებამ-დ იმის მაგივრადავ მე ვიქნებივ, მე  
მიმსახურე. დადგ ის ქალი-დ ემსახურებ მეფეს.

მეფეს ერთ ქალ ხყვანიყვ. იმ ქალს მეტა მოსწონებიყვ  
ამიღებრის შვილი. ერთხენაც დებარა-დ ეთქვ, ამიღებ-  
რის ბიჭოვ, მე შემირთე.

- არავ, რაის დროის ცოლიავ. მეავ ჭერ არას და-  
ვქორწილდებივ. - ეთქვ ამიღებრის შვილს.

მეფის ქალს მეტა შუყვარდ ამიღექრის შვილი-დ იმამ  
რო აღარა გულ აქცი, დაწვ, ავად ვარივ. მეფე შევიდ  
თავის ქალსთან, რა გტკივავ, რად ავად ხარივ. ქალმ  
უთხრ, რომეგ მავან ზღვას რო გველვეშაპ ახვიავავ გა-  
ლაენადავ. იქით მოღებულ ვაშლს თუ არ შეშქამავ.  
მოხკვდებივ მეობნებიანავ სიზმარშიავ. იმ ვაშლის  
მომტანივ კიღე მარტო ამიღებრის შვილიავ.

გამოვიდ მეფეი-დ ხკითხ, ამიღებრის შვილოვ, მავან  
ვაშლის მოღება შეგიძლიავ თუ არავ.

- შემიძლიავ თუ არ შემიძლიავ. მეფე ხარიო-დ უნდ  
გემსახუროვ. - უთხრ ამიღებრის ქალმ.

ამიღებრის ქალს ცხენ ხყვანდ გულთმისანი. - ახიავ შენდავ - უთხრ იმ ცხენმ. - მამა რო გეხვეწავ, რო ნუ წახვო-დ შენ არ დიშალევ, ახლ უნდ წავიდნეთავ, ცხვა რაყ ჩარა გვაქევავ, რაყიც მოგვივ, მოგვივავ. ქალმ მაშივ ტირილ დიწყვ.

ახლოს რო მივიდნეს, ცხენმ უთხრ, რო ძუა გამო-მიკარივ ოდ მათრახ ისრ შემომკარივ, რო სისხლივ კალ-თაებზე შემოგესხასავ. მეავ გადაფრინდებივ. შენავ სამ ვაშლ მოსწყვიტილიო-დ მეავ გარევ გადმოფრინდებივ. სამზე მეტ არ მოსწყვიტოვ, თვარ დამამძიებმსაო-დ გვე-ლვეშაპ დაგვეწვისავ. რაგვერც ცხენმ უთხრ, ქალმაც იგრ გაკეთ. გადაფრინდ ცხენი. ქალმ უცბად ვაშლებ დასწყვიტა-დ ცხენ გარევ გადმოფრინდ. გველვეშაპ გა-მულზად ცალ ბარკალ გამოშკამ ცხენს. მეტ ხო არ მოსწყვიტევ, ხკითხ ცნებმ. ქალს, აჩქარებულს, ოთხ ვაშლ მეწყვიტა-დ მით დასწევივ გველვეშაპი.

მული ვაშლებ. უკშიავ. კიდევ უფრ შეხყვარები. ეხ-ვეწებ ამ ქალს. შემირთევ. აი, ქონებ-ცხორება აქ არი-სავ, ბედნიერად ვიცხორებთავ. არავ, ესი. აბა ქალ რას შირთავდ. კიდევ უფრ ავად გახდ. შევიდ ხელმწიფე შვილო, რა გიშველსავ. - სიზმარში მეობნებიანავ - უთხრ - ჩვენ წინაპარსავ ცხენ გახქევეიავ, ზღვაში შესრულავ, ახლ მთელა ჯოგ ყოფილავ. იმ ჯოგის დედის ნაწველ ზე მიშველსავ. ამიღებრის ბიჭის მეტივ ცხენს ვერავინ მოსწველავსავ. დიბარ ხელმწიფემ ამიღ-ებრის შვილი. ხკითხ, ამა-დ ამ საქმის გაკეთება შეგიძლიაავ. - შემიძლიაავ თუ არ შემიძლიავ, მეფის სიტყვასავ შესრულება უნდავ, იმამ უთხრ.

წავიდ ტირილით თავის ცხენსთან ამიღებრის შვილი.  
- აბა ტირილით რაილ ბედენა იქნება, უთხრ ცხენმ.  
ერთ მარილის გობ წამიღლეო-დ წავიდნეთავ. ერთ მა-  
რილის გორნახად წილეს, რკინის პალოები-დ ჩაქვი.  
ზღვის პირზე რო მივილნეს, იმ ცხენმ უთხრ, ეგ მარილს  
გობ დამტვრიევი, აქა-იქა დაწყვიდი, რკინის პალოებ  
დააშქვი. ჩაქვ მე დამახვიე, მეავ ზღვაში შევალიე.  
დედას ბძოლას დუწყებავ, ბძოლით ნაპირზე გამოიყე-  
ანავ, რკინის პალოების ახლოს დაიწყებავ ტრიალსავ.  
მთელ ჯოგიც ჩვენ გამოგვეყვება. შენაც მოშეშველიდი.  
ჩაქვში წახვიოთათოდ დავაბათავ. მართლევ. ამ ქალმ  
მარილის გობ დამტვრია-დ აქა-იქა დაწყვ ნატეხები.  
რკინის პალოებიც დაა შქე. ამ დროს გამოვიდონეს ცხე-  
ნებიც ბძოლით. მთელ ჯოგიც იმათ გამოხყვა-დ დიწყეს  
მარილების ლოკვა . იმ ქალის ცხენმ პალოების ახლოს  
დიწყევ ტრიალი. წახვიეს ჯოგის დედა ჩაქვში, დაბეს  
რკინის პალოზე. ამიღებრის ქალმ მოწველ ის ცხენი.  
მემრ გარევ უშვესა-დ წამოვიდნეს. მუტან იმ ცხენის ზე  
ხელმწიფის ქალს. იმამ გარევ სთხოვ. შემირთევ. არავ,  
ამამ, მეავ ცოლ არ მინდავ. გახდ კიდევ უფრ ავად.

შევიდ კიდევ ხელმწიფე . შვილო, ნეტარავ, რაიმ გი-  
შველსავ. ავრ მეობნებიანავ, ოქროს ქვეყნითაივ რო  
ოქროს ლიშან მოგიტანონავ, მორშჩებივ. იმის მოტანაივ  
კიდე ამიღებრის შვილის მეტს არავის შუძლიავ. დიბარ  
გარევ ხელმწიფემ ამიღებრის ქალი. - ამიღებრის ბიკოვ.  
ამა-დ ამ საქმის გაკეთება შეგიძლიაავ? - შემიძლიაავ  
თუ არ შემიძლიავ, რაკი შენ მეობნებივ, უნდ წავიდევ.  
წავიდ გარევ ასთავ დალონებულ ცხენსთან. მე კი აღარ  
შემიძლიავ, უთხრ თავის ცხენმა-დ თუ უმბედრებავ. იყს  
ახალ ცხენ წავიყვანსავ. ის ჯოგ რო გამორევეს ზღვა-

შიითა, ცხენებთ ხო მარილის ჯამა დიწყეს. მავან ცხენ  
დიკირევ, უთხრ იმ თავის ცხენმ. ქალმაც დიკირ ის ცხე-  
ნი-დ თან წამიყვანეს. ჯერ აქავ სცადევ. შიშველაზე  
შეჯედივ. ჩუდვ ამ ქალმ ამ ცხენს აღვირი-დ შეჯდ. ცხენმ  
ერთ შეშქიხვინა-დ ერთ მთას მოხვდ. ქალ კისერზე  
მეყხვი. მეორე შეშქიხვინა-დ მეორე მთას მოხვდ. ქალ  
მუცელზე ამეყხვი. მესამე შეშქიხვინა-დ ადგილზე  
დადგ. ქალიც ზედ გასწორდ. ახლ ამ ცხენმ დარიგ: ერთ  
კვერ ყველ წამილევ. ერთ საკლავ დაკალივ. პირველა  
დიდ ჭიანჭველაებ შეგვეყრებიანავ. ეს ყველივ იმათ გა-  
დუგდევ. ისენივ ყველს მიეხვევიანაო-დ ჩვენ გავივლი-  
თავ. მემრევ ერთ კარებშიავ ძალლებ ღბენანავ. საკლავ  
შუაზე გამჭკრიდივ. ერთ ფეშხო ერთ ძალს გადუგდი-  
დივ, მეორე - მეორესავ. ჩვენ თავისუფლად გავივლითავ.  
მემრ ერთ მთა შეგვეყრებავ. ძუა გამომიკარიო-დ მათრახ  
ისრ შემომკარივ, რო სისხლ ზედ შემოგესხასავ. მე იმ  
მთაზე გადავფრინდებივ. მემრ ერთ წყალ შეგვეყრებავ.  
ჩამოხდიდივ. მეაც წყალს შევსვამაო-დ შენაც წყალ  
შესვიდივ. მონა გემოს წყალ იქნებავ, მაგრ აგრ სოქე-  
იდივ. დაილოცე, წყალოვ, რა კარგა ხარივ. იმ წყალ-  
ედავ ად იქნებაო-დ იყმ ხიდზედავ ერთ ბებერ იჯდებავ.  
გაცხინაის. დედივ. უთხრიდივ. მემრ დანარჩენსავ ის  
გასწავლებსავ.

შეხკმაზ მართლევ ამ ქალმ ცხენი, ხუნჯირით ახკიდ  
ერთ კვერ ყველი-დ ერთ საკლავი, შეჯდა-დ წავიდ.  
შეყარ ჯერ დიდიდა ჭიანჭველაების ქუნდრუზაი. გადუგ-  
დვ ყველი. ჭიანჭველაყებ იმას მიეხვივნესა-დ ამამ გიარ.  
მემრ ერთ ხირხლებ შეყარ. იქი-აქის დიდიდა ძალლებ  
ებნეს ორნი. ქალმ ამოთარ საკლავი. ერთ ფეშხო ერთ  
ძალს გადუგდვ, მეორე - მეორეს. თავად კიდე გიარ.

მემრინას კიდე ერთ მთა შეყარ კლიანი. ჩამოხდ ქალი. გამუყარ ცეხნს ძუა შეჯდ. შემოხკრ მათრახი-დ სისხლ ზედ შემესხ. გაქანდ ცხენი-დ გადაფრინდ მთაზე. ერთ ალაზან მოდიოდ. ჩამოხდ. ცხენსაც წყალ შასშია-დ თავადაც წყალ შესვ. უგემო იყვ, უგემო ლიგმოტი. დაილოუ, წყალოვ, თქვა, რა კარგა ხარივ. წყალზე ხიდ იყვ. ხიდზე კიდე ერთ ბებერ იჯდ. გაცხოხოს, დედივ, ამ ქალმ უთხრ. გაცოცხლოს, შვილოვ, ამ ბებერმ უთხრ. აგრ რო არ გეთქვაე კიაე არას გაგიშვებდე. ახლ მი-თხარივ, რა გიქირსაე. დაჯდ ეს ქალი-დ უამბე. აგრე-დ აგრეაე ჩემ საქმეივ, აგრე-დ იაგრეე. ხელმწიფის ქალ მყავაე გადაკიდებულოვ, შემირთეო-დ რაყნგვერ უნდ შე-ვირთოვ, მეაე თავადაც ქალ ვარივ. ახლ წედივ, უთხრ იყმ ბებერმ. ბეერ კარებებ შეგეყრებაე. ზოგ მლე იქნ-ებაო-დ ზოგ - დაგულულოვ. დაგულულოვ გალიდიო-დ მლე დაღგულიდივ. ოქროს ხელმწიფის ქალაქში წახვა-ლივ. ხელმწიფეივ გაქვაეებულოაე. იქაე ერთ კოლოფა უძესაე. ერთ წკებლა მისც, იმ კოლოფას დახკრიდიო-დ ხელმწიფეიციო-დ იმის ხალხიცა სუყველან დაცოცხლ-დებიანაე. მემრეე რახიც გინდ სთხოიდიო-დ შეგისრულ-ებსაე. მართლეე აგრ ქნა . ხელმწიფეს უთხრ, ლიშან გამატანეოთაე. სუ ოქროს ჯამ-ჭურჭლით უმსვეს ხუნჯირი. წამოვიდ. ის კარებებ რო გამიყარ, ბიქად იქც. მოიდ. ახლ შემირთავაე, უთხრ ხელმწიფის ქალმ. შეგირთავაე. შერთო-დ ახლაც ერთად არიან.

კირი იქა, ლხინი - აქა, ქატო - იქა, ფქვილი - აქა.



## ჭირი

დართლოს ჭირ გაჩენილიყვ. ერთიჯ კაც აღარ დამ-  
რჩალიყვ სოფელში მკვდრების მეტი. კაცს ილლიის ქვეშ  
დუშავდებოდ თურმე პატაად ხორცი-დ მოკვდებოდ.  
ერთ და-ძმან გაქცეულიყვნეს იმ ჭირიანობის დროსა-დ  
ტყეში ყოფილიყვნეს. ქალს ეთქვ, რომევე, რა ბედენაიავ  
აქ შიმშილით მოკვდებიავ თუ იქ ჭირითავ, უნდ  
წავიდეო-დ კამა მოვილოვ. წასრულიყვ. სოფელ სუ  
დაცარელაებულ ყოფილიყვ. ძაღლების მეტ აღარავინ  
ყოფილიყვ. მკვდრებ კი ყრილიყვნეს. შესრულიყვ შინა-დ  
ხალს თურ ხყრის გუდაში წაღებად. ერთხენა გარეთითა  
ფეხის ხმა გაღგონიყვ. ქალ გადამძვრალიყვ კიდობნის  
უკვენა-დ დამალულიყვ. შემოსრულიყვნეს სამნ მღერით:

დიდება და მადლი ღმერთსავ. როსტომ გამოსრულა ზოვასავ.  
ცალი ფეხი ქვიშაზე აქვ. ცალი ფეხით მოცურავსავ.

სამთავევ წელშიავ ისრის ქოჯოებ ხქონდავ გაჩრი-  
ლივ, მხრებზეავ ფშვინდებ ეკიდავ. დამსხდარიყვნეს  
მეხზე. ჭერევ ილაპარკესავ, მეავ ამდენს მოახვედრევ  
ისარივ, მეავ ამდენსავ. მემრ ერთს ეთქვ, "ჩვენ ყურ-  
მეყურეს რა უზათავ". მაგას არაფერივ, მეორეს ეთქვ,

ჩვენ ნათქვამივ ხო გარეთ უნდ გიყტანოს ვინავ. მემრ  
ამდგარიყვნესა-დ იგრევ სიმღერით გასრულიყვნეს.  
როცა სუ გაწყვეტილიყვ ხმა გამოძქვრალიყვ ქალ  
კიღობნის უკვენითა . ჩეყ-მეყარ ხალი-დ წამოსრუ-  
ლიყვ. გზათ თავის ძმა შეხყრიყვ იარალში ჩამქდარი.

## გარაი

თურსიეხ ერთ ქისტ ხყვანიყვ მეძროხედ. ის მეძროხე  
დუქერავ ქისტის დლაშქარსა-დ სახელოან-სახელოან  
კაცების ამბავს თურმე ხკითხავენ, შინ არიანავ თუ  
არავ. უფრო მეტა გარაის ამბავს თურმე კითხულობენ.  
არავ, ბაღღს ეთქვ, გარაივ შინ არავ. მეძროხე რო  
გეშვ, გამოქცეულიყო-დ სოფლისად გეგები, რო ჭარ  
მოდისავ. მთელ ხალხ ციხეებში შესრულიყვ. ქისტებ  
დასცემიყვნესა-დ დიდ ომ მომხდარიყვ. გარა ვადმოფ-  
რენილიყო-დ ერთ ქისტისად თავ მექრ. თავს ენა დარ-  
შჩომიყვ პირში. თან თურმე მიგორავსა დ თან იძახის,  
აკი თქვესავ, გარა შინ არავ.

ერთხენ თურმე გარა თურსიენსთან ნადირობს. უცბად  
ქალის კვიღ გაღგონიყვ. გაქცეულიყვ. აღმათ ტყვეებ  
თურ მიუღისაო-დ დავაყრევიოვ. რას ხელავს. მგელს ქალ  
დუქერავ. მეკლ გარას ის მგელი. ქალ ეშმაკ ყოფილიყვ.  
ეთქვ,რომევე ჩემ დედ-მამასავ მეაია ვხყევარიოვ. ვიცოვ.  
არას დაგეშინებაო-დ მოღაღავ. ჩვენს წავიდნეთავ, რო  
მეგელთავ. წამიშღებინავ. ითას დარცალის გარა მოი-  
დავ შენავ არასიღისაკ არ მიბედოვ, სიღისაკეც მე  
წავალივ, იქისაკ მოხვიდივ. შინ რო მივალთავ, მეავ სუ  
105

ყველ-ყველას უამბობავ. ისენ გკითხვენავ, რა მოგცეოდავ, რა გინდავ. შენ უთხრიდივ. უჩინ-მაჩინის ჩაჩ მომეცითავ. ცხვა არაიცი არ მინდავ. არ შიძლებავ, რო არ მოგცენავ ისიცავ წამოსვლის დროსავ თეხზე ამდგარმ უთხრიდივ. ცხვა ხმა არ ამიღოვ.

მივიდნეს. გარამ ჩაჩ სთხოვ. გამუტანესა-დ თან უთხრეს, ენა გახხმესავ, ვინაცავ შენ ეგ გასწავლავ. ის ჩაჩ თურქე შვიდ ცხენიან კაცს ეთარეშოდა.

ერთხენ ხარჯ ყოფილიყო-დ ხალხ თურქე ტირსა-დ ერთხენა დალაობა დაწყებულოვ. თურქე ხუთ კაც იქ ხყუდავ თავის ცხენბეითა-დ ვერავინ ვერ ხედავს. მემრ ცხენს ჩორე დეყარა=დ ისია დაჩენილიყვ.

ეს გარა ყოფილიყვ, რო ხან ცხენითა-დ ხან თეხით კონთიოთია არდოტ დადენილივ ხევსურ ქალსთან. ერთხენ ის ხევსურ ქალ ქისტებს წეყვან. კონთიოთ არდოტ წასრულს ქალ იქ აღარ დახვედრიყვ. იქითა გამ-ოზდომიყვ ქისტებსა-დ, დასწევიყვ, დეხოცხესა-დ დებრუნ ქალი.

### რატომ არის შვინდის ხე დაბალი

ერთ დათვი იყო. ზამთარში ეძინა და გაზაფხულზე, როგორც წესია, გამოიღვიძა. შიოდა, საშინლად შიოდა. იარა ტყეში ხან ზევით და ხან ქვევით, მაგრამ ვერათერს მიაგნო. ამ დროს დაინახა შვინდის ხე, რომელიც აღვის ხესავით ამალღებულოყო და მუხასავით გაშლილოყო. სხვა ხეებს რომ ჭერ კვირტიც არ ჰქონდა დაძრული.

ის უკვე ყვაოდა. დათვმა იფიქრა, ეს ხე რომ სხვებზე ადრე აყვავებულა, ნაყოფსაც ადრე დაისხამს და ადრეც დამწიფდებაო. წამოწვა შვინდის ქვეშ და დაუწყო ლოდინი. იწვა დათვი და ელოდა.

ამასობაში სხვა ხილმა დაიყვავილა. ნაყოფიც გამოლო, დამწიფდა, ზოგი მოილია კიდევაც. შვინდის დამწიფებას კი არა და არ დაადგა საშველი. დათვს შიმშილისაგან თმენის ილაჯი გადაუწყდა. ბოლოს როგორც იქნა, გვიან დამწიფდა. გაჯავრებული დათვი ეცა შვინდის ხეს და ჩაღეწა და ჩაბუბნა. იმის შემდეგ დათვის დაჩაგრულს წელი მალლა ველარ აუტანია, იმიტომ აღარ იზრდება მალალი.

### კუდიანი დედაკაცი

ერთხენავ ცხენებში ვიყავივ იცოდის ერთ ბებერ კაცმ. კარგადა დაღამულ იყო-დ ჭერ კი არ დამჩინებოვ. ბუწკნარიან რალაცა ადგილ იყოვ. ცოტა ხანა გამოიდაო-დ ერთ დიაც გამოჩინდავ სოფლისკითაივ, მოელაივ გატრველადავ, მიწახე აგორდავ. მგლად იქცაო-დ ქოქვესაკ გიცქცავ. ქოქვესკითაივ მედინავ ძალღების ყეფაიო-დ თოფების ხლაივ, ხალხის ყვირილივ.

იმ დიაცმ რო ტანისამოს გიხადავ, ჯაგში დამალავ. მე ვიფიქრევ, მოდი ამ სამოსებს მოვხპარავავ, რაგვერ ვერ გავიგებავ, ვინ იყოვ. ავიღევ სამოსებივ, მოიმარჯვევ ხანჯარიო-დ ასთა ვხყუდივარივ მგლის მოლოდინშიავ. პატა ხზანა რო გავიდავ, ქოქვესკითა გამოჩინდავ ენა-

გადმოგდებულ მგელივ. იმ ადგილასავ მოიდავ, სიდაც სამოსებ გაწირავ, გარევ აგორდავ, დიაცადავ იქცავ. იკვლიავ სამოსებო-დ რო ველარ მოხელავ, გაგორდავ მიწაზეაო-დ გარევ მგლად იქცავ. მოვიდაო-დ დამირ-ბინავ. ხან ერთკისკითა მომეარდებაო-დ ხან ცხეაკისკითაივ. მე ხანჯარს ვიშველებაო-დ ახლოს არ უშვებავ. თან გულს ვიმაგრებავ. კაც არ ვარიავ, ამამ რა უნდ მიზასავ. ვეობნებივ, რო სუ ერთიავ, არ მოგცემავე, სანამდ არ გამომეცხადებივ, ვინ ხარივ. დიდ ბძოლის მემრევ წავიდავ ცხეაკისაკევ, მიწაზე გადატრიალდავ. დიაცად იქცაო-დ სარცხვინაზე ხელდადებულ მოიდავ. მითხრავ, ხო გამოგეცხადევ, მაგრამევ თუ შენ თავისა-დ კარგა გინდავ, არასიდ სთქვაავ. სიბერის დროს იმ კაცმ თქვის, ის დიაცივ ახლაც ცოცხალიავ. დაქორწილებულ შვილებ ხევანავავ.

## შეთე

ერთ ლეკის ნაამბობი: თუშებისად დასაცემად წამო-ედითავ. ერთ მთაზე რო გადმოვედითავ, ვნახეთავ, რო თუშების მეკოპარ მოდისავ. ახლოს მივედითაო-დ თუშებთ გვიძახესავ, თქვენ მომეტე გამიყვანეთავ. ერთ გათქმულ მეომარ გავიდავ ჩვენითაივ. თუშებითაივ შეთე გამოსრულიყოვ. მოხვდნესავ ერთკეადავ. ასთა ხინძი-ლაყობითავ ერთ ცერს გადეფარნესავ. ბელადმ მითხრავ, აბა ერთილ გადახედევ, რასამ შჩადიანავ. ხოხვით წავე-დივ, გადავხედეო-დ ჩვენკისაკ ზურგშექცეულივ შეთეივ ჩვენ ამხანავს თას შქრიდავ. ვერ ვიცივ. რაგვერემ

მნახავ. ერთ დამიბუთუნავ, ლეკო. წედივ აქითაივ თორე  
შენაც თავს მოგაკრივ. დაბრუნდენტავ უკვინავევ. იმაშ  
ვნახევ შეთეიო-დ დამახსონდაცავ.

ერთხენავ ყვარლის მხარეს ვიყვენთავ ოთხნივ. გავ-  
ლილ-გამოვლილს ვსცვარცევდეთავ. გავხედეიო-დ ტყეზე  
ერთ კაც ამოჩინდავ ცხენზე ზისაო-დ თანავ მალლ ხე-  
ებზედავ პანტა-მაჟალოებს ეწედებაო-დ შკამსავ.  
ვიცანივ. შეთე იყოვ. ამხანაგებს უთხარივ. რო ეგევ შეთე  
ჩინსაო-დ გუშვათავ. ნუ გამოეცხადებითავ. თვარავ ეგევ  
სიკეთეს არ დაგვაყრისავ. არ დიშალესავ. ერთმავ ოთხთ  
რა უნდ გვიხასავ. ახლოს რო მოვიდავ, სამნივ გადუ-  
ხტნესავ. ერთ დაღრიალავ. დაბრუნდაო-დ სამთავევ  
უცბად თავებ დაყრევიავ. მეავ რაიც შიძლებოდავ. და-  
ვიმალევ. მაგრ მაინც მნახავ, გამომათრიავ. ცალ ყურ  
მომპკრაო-დ მითხრავ, წედივ, შენავ ამბავ წუტანიდივ.  
წაველივ შინავ ლამევ, ჯოხებ წავიდეო-დ სამთავევ  
კარებზე მიუყუდევ. მეორეს დილა დადგავ წივილ-  
კივილივ. მეაც უამბევ, აგრე-დ აგრ იყოვ.

### გორგი

დიკლოს ჯარ დასცემი ლეკისა . პირიქითითა მდევარ  
წარსულ მიშველებად. გორგის მამაიც იმათ სტანი.  
გორგი არ გუყოლებავ, შენავ ცუტუნა ხარივ. თორმეტ  
წლისა ყოფილ. რო გათარულან, გორგიიც უკვენ დაზ-  
დევენები. ყანაზე თურმე მიდის. ამუფრინდებ მწყერი.  
შემუქნევს ხმალსა-დ მოხკლავს. კარგადაევ შორს დასწ-  
ევი ჯარს, ხელში სამ მწყერ შკერი. "გორგივ, ეგ მწყერებ  
სიდალ დახხოცევ". უკითხავ. - "ამომიფრინდისავ. ლეკ

მეგონისავ, შემეუქნიილიო-დ მოვკლიდივ, ეთქვ. იმაშიე  
ეთქვ კაცებს. რო ესევ კაი მეომარ გამოავ.

### ცოდვა

ქალთვაცეს მემ სეკარეებს ენახვ მტკავლისტოლა  
კაცი. ქოქეცსაკ მადერილიყვ, მაგრამევ არც კი  
ეტყობოდავ რომაევ. მემცხვარეს ეკითხ, სიდ წახვავ. -  
დართლოას დალევადევ ეთქვ. - მემრ აგთა რომით  
როდის უნდ ჩახვიდევ დართლომდინასევ - ეთქვ მემცხ-  
ვარეს. - რაეცა ვიხდ ჩავიდევ, სამს წელს ხო ჩავალივ.

მართლევ სამ წლის მემრ მოღრევიყვ დართლოელთ  
ჭირი-დ სუ დახოცილიყვნეს. დართლოელნ ისთან ყოფი-  
ლიყვნეს, რო სტუმარ რო მუვიდოდა-დ ფათაში ერბოს  
ჩუდებდეს, სტუმარ რო აღარ შკამდ, ერბოს გადასწ-  
ურევდესა-დ ჯალბთ ისთა უერბოას აქმევდეს. ზეს ან  
ცხვა რას ხო არ აქმევდეს ჯალბთ, სველის მეტს  
არაფერს აქმევდეს. დართლოელნივ ჯალაბთ ცოდვ მ  
გაწყვიტავ, იციან.

### ქუჯა და თილიძე

ჭირიანობის დროს კვავლოს მთელ ხალხ გაწყვეტი-  
ლიყვ. მთელ სოფლისა ერთ კაც გარევ დამრაჩალიყვ -  
ქუჯაი. დართლოელებს გადეწყვიტ, რო ქუჯა მოვკლა-  
თაო-დ კვავლოელთ ქონებაი-დ მიწებივ ჩვენ დაგვრჩ-  
ებავ. დასცემიან ქუჯას, დუჭრი, მაგრ ვერ მუკლავ.

იმ დროს გირევის მალე ქისტების საზღვარსთან  
ეცხორ თლიზეს. ქისტებ რო გადმოიდენავ, უფრ მალ  
შევხედებივ. ქუჯა რო მომრჩალ, წასრულ თილიზესთა-  
ნა-დ უთქვამავ, კვავლოს მამულების ნახევარივ შენ იყ-  
ოსაო-დ დართლოვლებ დამიშინევ. თლიზეიც გადმოს-  
რულ კვავლოსა-დ დასახლებულ. მემრ დართლოვლებ-  
საც ველარა გუბედავ.

### ანდაზები, ანდაზური გამოთქმები

თხა თხის შურით მაკდებაო.

ისეთ შიშს რა ვუთხარი, რომ მეწისქვილეს ვერ გა-  
უბედოს, კარგად დამიფქეო.

მომივიდა მატყუარა, ვატუე და მატყუანა.

გულის სიტყვა ვინ თქვა და - ღვინომაო.

კაცს რომ ფული გაუბრევრდება. დირე გაუბრუდღე-  
ბაო.

ჩიტი გასაპტკვენლად არ ღირდა და დევნა მეტი იყოო.  
მეპურეს ერთი პური მეტი მიეცი და კარგი დააკვრ-  
ევინეო.

აჩქარებული წყალი ბორბალს დასცდენიყოო.

უძაღლოდ ქორწილი არ იქნებაო.

წიხლის კვრით ციხე არ წაიქცევაო.

ღორს სიმინდი თუნდ ქ ზოში. თუნდ - ცხრა მთას  
იქითაო.



ძნა იწვოდა. ულო იცინოდა, ის კი არ იცოდა, მეც  
დავიწვებიო.

ძმა ძმის ხორცს შესქამს, ძვალს კი გადასაგდებად ვერ  
გაიმეტებს.

სახალხოდ გამოტანილ საახალუხეს პერანგიც აღარ  
გამოსულიყო.

ვაცუნაზე წინ ჩეფიშა მომკეცდარიყო.

ნეხვსაც თავისი ლაზათი უნდაო.

მაშის ქონას ხელს ვინ დაიწვავსო.

კაცს სადაცა ხკლავენ, იმისი ფრონტი იქ არისო.

ღორს მეზობლის ეზო სკორით სავსე ეგონაო.

იმერელმა ცული დახკარგა და წალტიც თან მიაყო-  
ლაო.

ალაზანს გაღმა წაედავე, ალაზანს გამოღმა მაინც  
დაგრჩებაო.

უკანა კაცს ერთი სიტყვა მეტი აქვსო.

ლაფი აიღე, ტალახს წაუსვიო.

ურც მველი მშიერი და ნურც ბაკი ცარიელიო.

არც ვემ რომ იბრუნოს, საფქავი არ დაიფქვებაო.

დათვი დაბეჟვით სუქდებაო.

ბოლო ხინკალი უნამუსოსიაო.

ბაჟი ბარდანას ჰკიდიაო.

მელას თავის მახრჩობელა უყვარდაო.

დარდი და დრო წაიჩხუბნენ, ვინ დაძალა და - დრო-  
მაო.

გამქცევის დედა არა ტირისო.

ეტყოდინ ქალასაო, აგონებდეს ზალასაო.

რაც მკვდარი, ისივ მოტირალიო.

დაშინებულ თხასავ მგელ მეკლავ.

ქალი ქებით გათხოვდება, სახლმა ნახოს პატარძალიო.

რას იცინი დავითოო და რასაც თქვენ იცინითო.

ვირი ჩარბოდა ცხენსთანა, მეაც მხედარი თქვენთანავ.

კაცი კაცით ტყდება, ნადირი - ტყითაო.

ქორწილი აქვ ლიპლიპასა, ყველა იქით მიტლინკავსა.

კაი სტუმარივ ნაკუდობასავ.

მეტის-მეტი - რეტის-რეტო.

თუ პატრონი არა ტირის, მოტირალს რა ატირებსო.

კაცს თეთრი ოხა ქონიანი ეგონაო.

წინა მოგება ეშმაკისაოო.

ცხენი ქირაზე მოკვდებაო.

ცხრა ძმასო ცხრა უღელი ხარი ბევრი ეგონაო.

ლაჯიანი ლაჯიანს დასცინოდა, რადაო და - დამას-  
წრებსო.

კუტუნაი, კრაქუნაი, ძვალ-მალითა სამსვიაი. /პირი, კბილები/.

შენაც გაქვავ, მეაც მაქვავ, აიშ გამხმარ ხესაც აქვავ /ჩრდილი/.

მკედარსა ვკამ, კუბოსა ვყრი /მზესუმზირა/.

ოხრო ხვრინავს, დევი ქშინავს, მასპინძელი სანთელს ანთებს

/წისქვილი/.

ფოთოლსა სკამს, ნაცარსა ხყრის /ჩიბუხი/.

მთვარე ალთასა-ბალთასა, ავხედე, შუა ცას არსა. ერთ მკედარი ცხრა დღეს სამარეს, სიძვე, გამოსცან, რა არსა /ნაბიკვარი, თუშების რწმენით, ნაბიკვარი რომ მოკვდება, იგი ერთ საფლავში ცხრა დღეზე მეტს არ გაჩერდება, მერე საფლავიდან საფლავში გადადის/.

ოთხთავ ერთ ქუდ ხურავავ /მაგიდა/.

ნაყის, ნაყის, ნაყისავ, დადვისაო-დ ნაყისავ, ამას გარევ აკლიავ, მიადგისა-დ ნაყისავ /კექა-ქუხილი/.

ავედ, ავედ კიბესავ, როსტომიანთ ციხესავ, ზედ კურდღელი წამომჯდარა, აცმაცუნებს ყურებსაავ. /ბოლი/.

შვიდი ფიცარი, შვიდად შეკრული, ვერც მეფე გახსნის, ვერც - იმის ჭარი/მარხვა/.

ელვა - ელვისა, ხტომა - დევისა, ხმა - ჩაზანდრისა /ბაყაყი/.

წითელ ციხეზე შავ ყორან ზისავ /ქვაბი ცეცხლზე/.  
ოთხნი არიან-ტოლნი არიან. დარბაზს ჩადიან, ჩაიმ-  
ლერიან /ძროხის ძუძუები./

უსულოი, უგულოი, გულზე ბალახ ასხიავ /ჯაგრისი/.

შედიოდა, გადიოდა ოფოფაი რქიანიო, შეზღვედა და  
გამოზღვედა დათვი ბუსუსიანიო, უკვენ მოზღვეს მაჯ-  
უნჯალი, მე ვარ თქვენი ამქარიო./ გუთანი, კამეჩები,  
გუთნისდედა/.

ერთი რამცა, თეთრი რამცა, თეთრად გადაპენტი-  
ლამცა, ვინც ამას ვერ გამოიცნობს, ბრიყვიმცა და ბენ-  
ტერამცა /ცა/.

ხის კრუხივ, ხორცის წიწილაებივ. /სახლი/.

ოცდაოთხ ფეხსავ ერთ წყვილ ქამბალ აცვიავ (ურმის  
თვლები/.

მოვიდა მოზვერი, მოდრიკა სოფელი.(ღამე)

აზინა აზაზინისა, ხაზინა აბრაშუნისა, ორთავ მაღალ-  
თა ციხეთა საძირე უდგას კინისა /ჩექმები/.

მაღლა ვფრინავ, გან ქორი ვარ, მიწასა ვსთხრი, გან  
ლორი ვარ, ნადირებს ვხოც, ხორცს არა ვშკამ. ეგ უფრო  
საკვირელია /ტყვია/.

წივის, წივის წირწიტანი, თან ეწევა ფირფიტანი,  
ადექ, ბიკო, გაიხედე, მოდიან თუ არსად არი / ხატის  
დროშა ზარებიით/.

აბანოს ბაბანეური აბანოს იბანებოდა, იმის ნასროლი  
ისარი ხელმწიფეს ეკადრებოდა./ წისქვილის ღამით/

ვერც გამოშკრის კარგი მკრელი, ვერც შეხკერავს ხარაზელი, ლილისფერად აყვავდება, დაიკერენ თავადები /ღვინის კიქა/.

ხეს მოკრილი, ხეს მოთლილი, სოფელ შემოტარებული /ლიტრიანი/.

ერთი თხა მყვანდა ელაო, შუაზე ება ენაო, იმისმა სიტყვა-პასუხმა ქვეყანა დააჯერაო /სასწორი/.

ლიპლიპიონის საყდარი ლიპლიპიონს ეობნება, შეეხედე და შემომხედა, პასუხს არას მეობნება /სარკე/.

აქედან გავკარ ისარი, აბანოს შეეძარ ფიცარი /კივილი/.

აქედანა გავიქეცი, სოფლის ბოლოს წავიქეცი, იქა ვქამე იელიო, შინ მოელი მშიერიო /თოფი/.

ლამ ჩუტივ, დღის ბრიქივ /პაქიკები/.

ავიღე და დაგადე, აქეთ-იქით გადაგადე, ქვევიდან ამოგიკირე, უკანიდან ამოგდე, მშრალი ჩაგიღე, სველი გამოგიღე /უნაგირი და აღვირები/.

მოდის, მოდის, მობიბინებს, დადგება და გაიშლება /ცხერის ფარა/

მიეთრევა, მოეთრევა, მემრ კუთხეში მიევდება /ცოცხი/.

რკინაი, რკინაზე ძვალი, ძვალზე ხეი, ხეზე კაცი /ნალი, ცხენი, უნაგირი, მხედარი/.

წყალში ზის თევზის ბოკოქა, მალლა ამოდის ერია, იმისი გამომცნობელი კვეიანია და ბრძენია /საპონი, ქაფი/.

ასმუცლიანი ბებერი სულაც არ ხმარობს საკმელსა,ლოთი კი იგეთი არი. ვერ მოაყოლებ სასმელსა /ღრუბელი/.

თვალეზითაც ხედავსავ, ფეხითაც იარეზაო-დ ხიდზედაც გადისავ, ვერც თვალეზით ხედავსავ, ვერც ფეხით იარეზაო-დ ხიდზე მაინც გადისავ, თვალეზით ხედავსავ, ვერ იარეზაო-დ ხიდზე გადისავ /დედა, ჩანასახი. ფეხაუდგმელი ბავშვი/.

## გასაღარებელი რიტუალი

ავდრიან ხანებში, როცა უნდათ რომ გამოადარონ, ასეთ დღესასწაულს იხდიან:

დილით ათი-თხუთმეტი მოზრდლი წაეა ბერიკაზე სოფლად. ერთ ბერიკას თოკით მიჰყავს ასევე ძროხად გაკეთებული ბერიკა. ბერიკა მიდის, მიჰყვება ძროხა და სხვა ჭურჭლით. აქვთ სპეციალური საწყაოები პროდუქტისათვის. მიდიან ყველა ოჯახში და ერთნაირი რაოდენობით ართმევენ ფქვილს, ხაქოს, ერბოს არაყს და სხვა. ამას ბერიკაობა ეწოდება. მოკრებილ პროდუქტებს ერთგან მიიტანენ, კოტრებს გამოაცხოებენ. საღამოს, როცა პირუტყვს დააბინავენ, სოფლის საჯარეში მოგროვდებიან ჯერ ახალგაზრდები და სოფელში მოკრებილი შეშით დანთებული კოცონის გარშემო ლხინობენ, ცეკვავენ, მღერიან. ამ ცეკვა-თამაშში ერევიან ბერიკები-ვაჟურად გადაცმული ქალები და ქალურად გადაცმული ვაჟები. ან უბრალოდ ტანსაცმელშეცვლილი ახალგაზრდები პარიკებით.

პურობის წინ დასხდებიან ცეცხლის გარშემო: მოშორებით მოხუცი კაცები ცალკე, მოხუცი ქალები ცალკე, ახალგაზრდა ვაჟები ცალკე, ახალგაზრდა ქალები ცალკე და ბავშვები ცალკე. სულ ხუთ ჯგუფად. ამ დროს ზედამდექს შემოაქვს "შეყარაის სუფრა", მიაქვს

ხნიერ მამაკაცებთან და დგამს მათ წინ. სუფრაზე ოთხი-ხუთი კოტორია. ზედამდექი ყანწს არაყით აავსებს და მიაწვდის რომელიმე ხნიერ კაცს. ყველანი ფეხზე დგებიან. მოხუცი კაცი ილოცება. "შეგეწიოსთ დარის მადლი. ღმერთმა მოგცესთ კაი დოვლათი, კაი მარკვენა. მშვიდობით შემოგატანიოსთ მოსავალი. სამს წელს ემყოფინოს კაცსა-დ საქონს. გწყალობდესთ დღევანდელ შეყრის მადლი". შემდეგ ზედამდექი ყველგან მიიტანს კოტრებსა და სასმელს. შეიქნება პურობა. გვიან ღამემდე ღზინობენ.

### შელოცვა, მაგია

ღმერთმან უთხრა ანგელოზსა - გადახედე სახმელოსა. ან ქვრივი ჩივისა, ან ქალი ტირისა - არც ქვრივი ჩივისა, არც ქალი ტირისა. ნინოს /სახელი, ვისაც ულოცავენ/ ხელ უტკივნებავ, ის ჩივის, ის ტირისავ. - რა არის მაგის წამალივ? - ქალი გადავიდეს ბახჩაშია, გადმაილოს კენაფის ფოთოლი, ის უსვას, ის უპოხოს, ის არის მაგის წამალი. ღმერთო, შენ დასწერე ჭვარი.

დათვალული ავადმყოფი გამორჩება, თუ შეყვარებულნი კალთით წყალს დააღვეინებსო.

თუ თავი სტკივა კაცს, უნდა იქონიოს წითელი ბაწარი ჭიბეში. ახალი მთვარის გამოსვლის დროს, როცა სხვა ეტყვის, მთვარე გამოვიდაო, ის ბაწარი თავზე უნდა



შემოიკრას, წავიდეს ისეთ ადგილას, სადაც სამი წელი შეიძლება რომ არ მოხვდეს, ხეს სამჯერ უნდა შემოუ-  
აროს და თქვას, აქამდის მე მქონდა თავის ტკივილი,  
ეხლა შეინი იყოსო. ბაწარი უნდა შეიხსნას და ხეს შეა-  
ბას. სამი წლის შემდეგ ხე გახმება, ავადმყოფს თავის  
ტკივილი გაუვლის.

რომელ ოჯახსაც ცხენი ჰყავს, ნიორს არ დათესენ,  
ცხენი მოკვდება ან დაიკარგებაო.

თუშები ხატში არ დაკლავენ კოკლ ცხვარს. არც  
ავადმყოფს, არც დედალს, ხატი არ შეიწირავსო.

თუ სახლიდან მიცვალეული გაჰყავთ ან გზად გაა-  
ტარებენ, მძინარე ბავშვებს აღვიძებენ, აკვანში მწოლი-  
არეს თავს ააწევიანებენ ან აკენიანადვე წამოაყირაეებენ.

ის ოჯახი, რომელსაც უკბილო ბავშვი ჰყავს,  
მეზობელს ცეცხლს არ მისცემს.

არაყის წურვის დროს ან ქუმლის დახალეობისას  
ცეცხლს არ მოსცემენ, ბარაქა წაუვაო.

ბავშვი რომ დაიბადება. მამის ტანისამოსის ნახევს  
შემოახვევენ, ტანსაცმლის მხეველი არ გამოვაო.

თუ ოჯახში ორი კაცი მოკვდება, მეორეს საფლავში გუგას /დედოფალას/ ჩააყოლებენ, თორემ შესამეც მოკვდებაო.

ლამით ძახვა არ შეიძლება, სახლის ანგელოზები აიყრებიანო. ძახავენ მხოლოდ დილით ადრე და დღისით.

თუ ნეფე-დედოფალს ფეხქვეშ მიწა გამოაცალეს, ნეფე შეიკვრებაო. ნეფე შეიკვრება აგრეთვე მაშინაც, თუ ნეფე-დედოფლის ფეხქვეშ დაკლული საკლავის ნაწლავი ვინმემ გაკვანდა ან ცხვრის ფეხზე გადაახვია.

საქორწილო აღუდიან კოდზე თუ ვინმემ საცერი დადგა, ქორწილში ჩხუბი მოხდება.

ნეფეს გახსნილ კლიტეს ჩაუდებენ ჭიბეში. არ შეიკვრებაო.

დო რომ იდგას ცეცხლზე, ქვაბს ხელი უნდა დაადვა და ცეცხლს ისე შეუბერო, თორემ კალტი არ მოვაო. ერბო თუ ღვას, შებერვა საერთოდ არ შეიძლებაო.

მარხვაში წველას არავის აძლევენ, ბარაქა გაჰყვებაო.

ახალ მთვარეს სანამ დაინახავდნენ, კენკს ან ჩხირს აიღებენ, სათავესქვიოს ქვეშ დაიდებენ, მერე გამოვლენ და მთვარეს შეხედავენ. იმ ღამეს სიზმარში საბედოს ნახავსო.

ყველის შელოცვა შაბოშის ჩაშვების დროს: ჩენი ყველი ტალივითა, მონამგლეთა - წყალივითა. ისრემც მოგეკიდების, რაგვერც თხას იელი, ძალს ცუცნაი. ტალი, ტალი, ტალი.

დარკოს დალოცვა: ცასა სვეტი, მიწას - შკვეტი, ჯოხის შვილის საფანელი. ჩატკმი, ჩაშაქრდი, ჩათაფლდი.

დოხანის შელოცვა ხარშის დროს: ხეავდი, ხეავდი, დოხანაო, ღორღოანას ღორღსავითე, ფიქროანას ფიქვსავითე. ყველან ჩვენ ჯერად არიან: მეხმოენი, მეძროხენი, მემცხვარენი, მეჯოგენი.

## თორღვას პიროვნებისა და თორღვას ციხის საკითხისათვის

როდესაც თორღვას შესახებ გვიხდება ლაპარაკი, საჭიროა აღინიშნოს, თუ რა მნიშვნელობა აქვს თორღვას პიროვნების საკითხის გარკვევას. ახალი არაა ის ამბავი, რომ ფოლკლორისტიკაში მთავარი ყურადღება ექცევა არა მარტო ხალხური ზეპმრსიტყვიერების ნიმუშების შეგროვებას, არამედ მის დამუშავებასაც. საჭიროა და აუცილებელიც არის, ხალხურ ნაწარმოებთან დაკავშირებული ყოველგვარი საკითხები: გამოვამჟღავნოთ ნათქვამები, გამოვარკვიოთ დრო თქმისა, ვის შესახებ არის ნათქვამი და სხვა. თუ საკითხს ამ მხრივ მივუდგებით, დავინახავთ, რომ თორღვას პიროვნების შესახებ მსჯელობა აუცილებლად საჭიროა იმიტომ, რომ თორღვას შესახებ ჩაწერილია მრავალი ლექსი, პროზაული გადმოცემა და რამდენი კიდევ ხალხშია ჩაუწერავი.

კაცი, რომელიც ამდენი ლექსის ობიექტი გამხდარა, კაცი, რომელმაც თავის დროზე შესძრა მთა და ხალხის ყურადღება მიიქცია, ისეა დავიწყებული, რომ თანამედროვე ფოლკლორისტიკაში და ეთნოგრაფიაში ერთი სიტყვაც კი არაა დაწერილი მის შესახებ, თუ არ მივლიბთ მხედველობაში აკად. აკ. შანიძის, თ.რაზიკაშე-

ილის და სხვათა მიერ დაწერილ ცალკეული ლექსების კომენტარებს. სპეციალურად კი ამ საკითხზე არავის არაფერი დაუწერია. ცალკეული ცნობები თორღვას შესახებ დაწერილი აქვს აგრეთვე გ.თედორაძეს, ნ.ურბნელს /ხიზანიშვილი/, დ.ხიზანიშვილს, მ.ჯანაშვილს და სხვებს. ამაზე შორს თორღვას პიროვნების კვლევის საქმე არ წასულა.

თორღვას პიროვნების საკითხი ორგანულადაა დაკავშირებული თორღვას ციხესთან. ამის გამო აუცილებელი შეიქმნა მსჯელობა იმის შესახებაც, თუმცა, თავისთავადაც პატარა როლი როდი ითამაშა თორღვას ციხემ კახეთის დაცვის საქმეში თავის დროს. ბევრჯერ ქართლ-კახეთის დამოუკიდებლობის საქმეში თორღვას ციხეს საპატიო ადგილი უკავა.

თორღვას ციხე თავის დროისათვის ძლიერ მაგარ ციხედ ითვლებოდა. საკმარისია, მოვიყვანოთ ისტორიკოს ფარსადან გორგიჯანიძის ცნობა: ირაკლი ბატონიშვილმა /ირაკლი . ნაზარალიხანი/ "სიცოტავით ქართველთ ველარ გაუძლო და ისრევე თუშეთს წავიდა და დედა მისმან თორღის ციხე უკუიჭირა და კახნი ზოგნი თან გაჰყვნენ და ზოგნი ციხეში შეჰყვნენ: შვიდს თვეს მეფე ლაშქრით ციხეს გარ შემოადგა და ვერ აიღო"<sup>1</sup>.

ვახუშტი ბატონიშვილი ასე ახასიათებს თორღვას ციხეს: "თორღის ციხე არს მაგარი და კლდესა ზედა ნაშენი, არამედ აწ უქმი"-ო.<sup>2</sup>

თორღვას შესახებ, როგორც ვთქვი, მრავალი ლექსია ჩაწერილი. მის შესახებ ლექსები ჩაუწერიათ ნ.ურბნელს, ერ.ბალიაურს, თედო რაზიკაევილს, გ.თედორაძეს,

ვას.ტუქსიშვილს, აკად. აკ.შანიძეს, მაყვ.მრევლიშვილს, პროფ. ს.მაკალათიას, დავ.ხიზანიშვილს, ივ.ბუქურაულს, დ.ალბანელს და სხვ. ჩაწერილია აგრეთვე ვრცელი ლექსი თორღვას შესახებ/ და პროზაული გადმოცემა.<sup>1</sup>

თორღვას შესახებ ჩაწერილი ლექსები ეპიზოდური ხასიათისანი არიან, უმეტესი ნაწილი ლექსებისა კი ერთმანეთის ვარიანტებია. ძირითადად ეს ლექსები <sup>6</sup> განსხვავებული სიუჟეტური კომპოზიციისაა.

ტერმინისათვის: სხვადასხვა წყაროებში სხვადასხვა-ნაირად არის დაწერილი სიტყვა "თორღვა". გვხვდება: თორღვა, თორღუა, თორღა, თოღა, თორღო, თორღუ. სწორი იქნება ვიხმაროთ "თორღვა", ვინაიდან 1) მთის კილოებში ასე შემორჩენილა და 2) ძველ ქართულში გვქონდა "თორღუა", რაც ახალ ქართულში გადმოვა "თორღვად", რადგან უ შესატყვისია ვ-სი. გ.დემიდოვის "ხევსურეთის" მთარგმნელი მარიჯანი ხმარობს ფორმა "თორგვას", რაც, რა თქმა უნდა, რუსულის გავლენითაა მიღებული ./იხ. დემიდოვი, ხევსურეთი, 1933 წ. გვ.51/.

ვისი შვილია თორღვა? თორღვას ბატონიშვილობა არავითარ ექვს არ იწვევს. რადგან უმეტეს წყაროებში ასეა მოხსენიებული, ჩვენც ამ აზრს უნდა მივემხროთ. აკად. აკ.შანიძის მიერ ჩაწერილ ვარიანტში ნათქვამია: "გიზავე-დ ვერ დაგიზავე, - ბაგრატიონთა ხარიო"<sup>6</sup>. თ.რაზიკავშილის ჩაწერილ ლექსში ნათქვამია: "თორღვა იკვლევდა ადგილსა, ბატონის<sup>6</sup> ნაბიჰვარია"<sup>7</sup>. ლექსში

"ციხის ნაშალი" წერია: "ვისა-ღ ექვივნა თორღვაი, ხელმწიფის ნაბიკვარია"<sup>8</sup>. თორღვას ბატონიშვილობას ადასტურებს აგრეთვე პროზაული გადმოცემაც.

თორღვას ბატონიშვილობას ემხრობიან: თ.რაზიკაშვილი, ნ.ურბნელი, აკ. შანიძე, გ.თედორაძე და მ.ჯანაშვილი. მაგრამ, საინტერესოა, რომელი ბატონის შვილია თორღვა?

თ.რაზიკაშვილი, როცა ეხება თორღვას ბატონიშვილობას, წერს: რომელი იყო ის ბატონი, ალახმა უწყის. იქნებ ერეკლე ?"<sup>9</sup> თორღვას შესახებ გ.თედორაძისაგან ჩაწერილ ლექსში ნათქვამია: "თორღვა ყოფილა ხევსური, ლევანის ნაბიკვარია"<sup>10</sup>. აკად. აკ.შანიძე წერს: "ბაგრატიონობის გამო მინდიათ გადმომცა, რომ თორღვა კონსტანტინე ბაგრატიონის ნაბიკვარი იყოვ"<sup>11</sup>. პროფ.ს.მაკალათია თავის წიგნში "ხევსურეთი" წერს: ხალხური გადმოცემით თორღვა ბაგრატიონის ნაბიკვარი ყოფილა"<sup>12</sup>. მ.ჯანაშვილი წერს: "ფშავ-ხევსურთა გადმოცემით, თორღვა ყოფილა ბაგრატიონთ ნაბიკვარი"<sup>13</sup>. ნ.ურბნელი წერდა: "თორღვა, ხალხის გადმოცემით. ბატონიშვილის ბაგრატიონის ნაბუშარი ყოფილა"<sup>14</sup>. დ.ხიზანიშვილი წერდა: "ეს თორღვა,ხალხის გადმოცემით. ბაგრატიონთ ნაბიკვარი, ხევსურეთში აღზრდილი და ხევსურის ქალის შვილი ყოფილა"<sup>15</sup>.

როგორც ამონაწერებიდან ჩანს, არაა გარკვეული, თუ ვისი შვილი იყო თორღვა. ასახელებენ

ხვადასხვას:ერეკლე -ს, ლევანს/ალბათ კახეთის მეფეს/, კონსტანტინეს... უმეტესობა მკვლევარებისა თავს იკავებს თორღვას მამის დასახელებაზე.

როგროც გამოირკვა, შესაძლებელია თორღვას მამის ვინაობის დადგენა. საკმარისია ყურადღება მივაქციოთ გადმოცემას თორღვას შესახებ, რომ მასში მოცემული ამბავი ვალიაროთ ისტორიულ ფაქტად.

მოგვეყავს გადმოცემა მთლიანად:

"ერთ ბატონიშვილ წასრულიყვ ლაშქრის შეგროვებად ხევსურეთ. ზედავ თოვლ დასცემიყო-დ იმ ზამთარ იქავ დამრჩალიყვ. ხევსურებს გადეწყვიტ. ჭერჭერით შევინახოთავ. შატილშიგ, სიდაც თორღვაყ ყოფილიყვ ჩამომხდარი, ყოფილ ერთ დიაცი. იმ დიაცს ხყვანი ორ მეტა ლამაზ ქალები. ბატონიშვილს იმის ქალ მოსწონებია-დ წოლილ იმასთან. გაზაფხულ ქისტეთისაკ წასრულ ბატონიშვილი-დ იქაურ ძმობილისად უთქვამავ: "ემანდ ერთგან ხის ფულუროში თესლ დამრჩა-დ რო ამოვიდესავ, თავ მოშქრიდითავ, თვარამევ მონა კაც ვგამოვავ"<sup>16</sup>.

გაჩენილიყვ ბალლი-დ დექვივნ: თორღვაი. რო გაზარდილიყო-დ შესრულლებულიყვ თექვსმეტ წლისა . დედას გადახკიდებიყვ: "ვის შვილ ვარივ" დედას ველარ მეშორა-დ ეთქვ: "მავან მთაზე რო თუშ მეცხვარეიავ, იმის შვილ ხარივ"<sup>17</sup>. ყორნებზე დამდინარ თორღვა შესტანები მეცხვარესა-დ უთქვამავ: "მიშვილებ, მიშვილებაო-დ არაო-დ მოგლავავ" ის თუშ უშვილო



ყოფილიყო-დ გახარებულიყოც. იმის მემრ ერთად დად-  
ენილრყვნის ცხვარში.

ერთხენ თურ ლექთვაკეს ნადირობს თორღვა ისარ-  
ფშინდით ყორნებზედ თეთრ ბუმბულისად<sup>18</sup>. დეკრ  
ყორან ისრით. ყორან დაშეებულ თავეკვი, ხევისაკი.  
ეფიქრ, მოდი ჩავალივ, იქნებ მოვხელოვ. ერთ ადგილას  
ფეხ ჩალვარდნიყვ წყალში. რას ხედავს, წყალ თზილაი.  
დელია-დ ცხვანარი გემოი-დ სულ ხქონიყვ.<sup>19</sup> თავის თუშ  
მამისად ეთქვ ეს ამბავი-დ წყევან აბანოსთან. გეკეთ იქავ  
საბანაოი-დ იქავ ებანაყ.

ქვენ რო თორღვაის გალავეანი, აშენებულ ყოფილ  
თამარის ქმარის, დავითისა თორღვას ჩხუბ მოსვლი  
დელისძმებსთან /ხევსურებთან კ.ა./ შუდგენავ თუშების  
პარტია იმ პარტიით თურ ეცემოდის ხევსურებსა-დ  
ართვამდ საქონს.

თორღვას ხევანი თუშ ამხანაგი. იმას უჩუქებავ  
თორღვაისად მკურავ ჯაქვი. ჯაქვს ისთა ხასიეთ ხქონი,  
რომა სიდაც მოხვდებოდ ისარი, იქ მიყრებოდ მთელ  
ჯაქვი-დ ისარს შიგისაკ არ უშვებდ.

თუშებსა-დ თორღვას ჩხუბ მოსვლი. ახლ ხევსურებს  
შელრიგები თორღვაი-დ თუშებისად უტაცებავ საქონი.  
ბევრჯელ ყოფილ ბრძოლაში, მაგრ სუ სალ გამოდენილ.  
ერთ ბრძოლაში თურ ყველა ამხანაგებ დუხოცეს, თავად  
გალავეანს შეფარ. კარგა ხანს იქ ეცხორ. მემრ ხევსურ-  
ეთისაკ დეპირ. გზაში ბანაობა მოზღობნებიყვ, გეხად პე-  
რანგი-დ სიდალ რა პერანგი: გაკურებულიყვ, წელვ

ლაროვნის წყალს. ზედ მედინ თავის ძმობილის ხმა  
/ის წინანდელ ამხანაგ მოხპარეიყვ საისრედ პარტიით/:

“რა უყავ. თორღვაჲ პერანგი. ძმობილის ნაჩუქარიჲ?” თორღვა-  
ას ეძახ:

“პერანგის მტრად გადამეკცა ეს ლაროვნის წყალიჲ.  
წაილო-დ ბევრი ვეძებუ. ველარსოდ მოვხპარ თვალიჲ”.

თუშ ამხანაგს ესრი ისარი-დ დეკრ. თორღვა ერთ  
ზეავის ქვეშ შევარდნილიყვ. მალლითა ძმობილს ეძახ:

“ნუ გამოწყრები. თორღვაყო. ბოძალს ვერ უყავ ძალიჲ.  
ვარ სამ წლის ნაჲაჲდარი. შვიდის წლის ნაციჲვარიჲ”

ბოლოს ერთ თუშ მისრულიყვ ახლოას, მეორე ესრი,  
დეკრა-დ მეკლ”<sup>20</sup>.

ესაა პროზაული გადმოცემა თორღვას შესახებ.

როგორც გადმოცემიდან ჩანს, ბატონიშვილი წასულა  
ხევსურეთში, ზამთარი იქ გაუტარებია. გაზაფხულზე  
დაუტოვებია ხევსურეთი. ზედმიწევნით ასეთი ფაქტი  
ცნობილია ისტორიიდან: 1812 წლის კახეთის აჯანყების  
ჩაქრობის შემდეგ ალექსანდრე ბატონიშვილი: ირაკლი  
-ის ძე შეეფარა ხევსურეთს. მას განზრახული ჰქონია,  
შეეკრიბა ჯარი და ხელახლა მოეწყო ამბოხება.

იგი დაბინავებულა სოფელ შატილში და ზამთარიც  
აქვე, ხევსურეთში გაუტარებია. 1813 წელს რუსეთის თვ-  
ითმუპროწლობის ჯარების ხევსურეთში შეჭრის გამო  
ალექსანდრე ბატონიშვილი სტოვებს ხევსურეთს<sup>21</sup>. თა-

მამად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ეს ალექსანდრე ბატონიშვილია თორღვას მამა<sup>22</sup>.

საილუსტრაციოდ შევადაროთ ერთმანეთს ხალხური გადმოცემა და ისტორიული სინამდვილე:

ისტორიულად

ხალხური გადმოცემით

1. ალექსანდრე ბატონი-  
შვილია

"ერთ ბატონიშვილ წას-  
რულიყვ"

2. ალექსანდრე მიდის ხევ-  
სურეთის სოფ. შატილ-  
ში.-

"შატილში, სიდაც ბატო-  
ნიშვილყოფილიყვ ჩამომხ-  
დარი"

3. ალექსანდრე ხევსურეთში  
მიდის ჯარების შესაკრებად  
ხელახალი ამბოხების მოსა-  
წყობად.

ერთ ბატონიშვილ წასრუ-  
ლიყვ ლაშქრის შეგ-  
როვებად ხევსურეთ"

4. ალექსანდრე ზამთარს  
ხევსურეთში ატარებს  
და

ზამთრის ხევსურეთში გა-  
ტარების შემდეგ გაზაფ-  
ხულზე მიდის ხევსურეთი-  
დან.

მეორე, ე.ი. 1813 წელს  
მიდის ხევსურეთიდან.

"მიდის ქისტეთის გზით.  
ბატონიშვილი-დ"...

5. ხევსურეთიდან ალექსან-  
დრე" გაზაფხულ ქისტე-

გამოძებნილია ხუთი პარალელი და უნდა ითქვას, რომ საიმედო და ზუსტებიც. აქედან გამომდინარე სა-

დავო აღარ უნდა იყოს ის, რომ ალექსანდრე ბატონი-  
შვილი /ირაკლი მეორის ძე/ არის მამა თორღვასი<sup>22</sup>.

მოხუცმა თუშმა ესტატე თელაურიძემ მიაგზო:  
"დედას ეთქვა ქალისთვის, არა უშავს რა, დაიწვინე,  
მეფის შვილია და მაგისგან კარგი ვინმე გეყოლებათ.  
ხევსურეთიდან ბატონიშვილი ქვახიდზე გადმოსულა,  
ლექის ქალთან კავშირი დაუეჭრია და მისი ნაყოფი  
ყოფილა "შამილიო". თუშეთში მართლაც ბევრსა სწამს,  
რომ "შამილი თითქოს ბუში იყოს რომელიღაც ქართვე-  
ლი ბაგრატივნისა, მათ შორის ზოგი ალექსანდრე  
ერეკლეს ძესაც ასახელებს. ამის შესახებ ჭერ კიდევ 1897  
წელს ივანე ბუქურაული წერდა, თითქოს "შამილს ეთქვ-  
ას ერთ-ერთი თუშისთვის /ვინაობას არ ასახელებს/.  
რომ ალექსანდრე ბატონიშვილს სპარსეთში ყოფნის  
დროს კავშირი დაუქერია რომელიღაც ხანის ასულ-  
თან. ხანის ასული დაორსულებულა და რომ მამის რისხვა  
აეცდინა, ვიღაცას გადმოჰყოლია დაღესტანში და აქ  
მშობა მე, "შამილიო. ივ. ბუქურაული თან დასძენს, "შა-  
მილის ვინაობა ჭერ არ არის გამოკვლეულიო" /იხ.  
უერნ. მოამბე, 1897 წ. 9, გვ. 30-31/.

პირველი გადმოცემა, რასაკვირველია, არასწორია  
ალექსანდრე არც თუშეთის გზით წასულა ხევსურეთი-  
დან და არც დაღესტანში გადასულა. იგი ქისტეთის გა-  
ვლით წავიდა ერევანში. გარდა ამისა, "შამილი დაიბად  
1798 წელს, ალექსანდრე კი ხევსურეთში იმყოფებოდ  
1812-1813 წლებში, ე.ი. მთელი 14-15 წლით გვიან.

არც ივ. ბუქურაულის ცნობა არის სწორი. ჭერ ერთი,  
დადგენილია "შამილის გენეალოგიური შტო" /იხ.

გრ.ორბებელიანი, წერილები, ტ., გვ. 304. აკ. გაწერე-  
ლიას მიერ შედგენილი შამილის გენეალოგიური შტო/  
მეორეც, შამილი 1798 წელს დაიბადა, ალექსანდრე კი  
მხოლოდ 1800 წლიდან მიღის სპასეთში.

როდის დაიბადა თორღვა? შეიძლება დამტკიცებუ-  
ლად ჩავთვალოთ, რომ თორღვა ალექსანდრე ბატონი-  
შვილის ბუშია. მისი დაბადება კი დაკავშირებულია  
ბატონიშვილის ხევსურეთში ყოფნასთან. იგი ხევსურე-  
თში იმყოფებოდა 1812-1813 წლებში. აქედანაა შეიძლება  
დადგენილ იქნეს თორღვას დაბადების დროც. ალექ-  
სანდრე რომ 1813 წლის აპრილამდე დარჩენილიყო ხევ-  
სურეთში, თორღვას დაბადების წლად უნდა 1813 წელი  
გვევარაუდა. სინამდვილეში ალექსანდრე მეტ ხანს დარ-  
ჩა ხევსურეთში. ამიტომ შეიძლება, რომ თორღვა 1814  
წელსაც დაბადებულიყო. ამის გამო თორღვას დაბადე-  
ბის წლებად 1813-1814 წლები უნდა ჩავთვალოთ. /სა-  
თანადო საბუთების უქონლობის გამო დაბადების დღის  
დადგენა არ მოხერხდა/.

სხვათა შორის საინტერესოა გლეონიძის მიერ გამ-  
ოქვეყნებული ფრაგმენტი:

წინ-წმნ გიორგი ყოფილა  
ძველთა თავადთა მტერიო.  
სააკაიძის ძახილან, -  
ქერ მეფის ალაგ შქერიო.  
მემრე ყოფილა თორღვა.  
ამთხოზდა ცხვარს რო მგელიო.

თორღვას შესახებ ნათქვამი ლექსი, რომელიც ჩამაწერინა ზ.ალვანში საბა ითიურიძემ, ბილოვდება ლექსის მათქვამი თუში ქალის მიმართვით თორღვასადმი: იგი უქებს თავის მამას: "იკითხე გომეწარშიგა, ვერხოანს, ქავთარ მქვიანი". ამავე ქავთარზე მიუთითებს ივ.ბუჭურაულის ჩაწერილი ლექსი /აკაკის თვიური კრებული, 1900 წ. 11/, დავით ქადაგიძის /ალბანელის/ მიერ ჩაწერილი ლექსი /კვალი, 1897 წ./ და სხვა. ქავთარის ქალი თორღვას მიმართავს, როგორც თანამედროვეს. შეიძლება ქავთარისა და მისი ქალის პიროვნებათა გარკვევით შუქი მოჰფენოდა თორღვას ცხოვრების დროს. მაგრამ არც ვერხოვნელებსა და არც მის მოსაზღვრე სოფლელებს აღარ ახსოვთ ვერხოვნელი ქავთარი.

რომელი სოფლიდან იყო თორღვა? ივ. ბუჭურაული წერდა: "გარდმოცემა მოგვითხრობს, რომ თორღვა იყო ბაგრატიონთ ნაბიკვარი, სცხოვრობდა სოფელ მუცოში, რომელიც მდებარეობს პირიქით ხევსურეთში მდინარე არგუნის სათავეში"<sup>24</sup>. ვას. ტუქსიშვილის ჩაწერილ ლექსშიც თორღვა მუცოელადაა გამოყვანილი: "ეამი მივია, მოვია, მუცოს თორღვანის კარადა"<sup>25</sup>.

ნ.ურბნელი წერდა: "თორღვას დედა ხევსურის ქალი ყოფილა და აღზრდილა სოფელ მუცოში"<sup>26</sup>.

ემყარება რა თორღვას ციხის მუცოში არსებობდბის ფაქტს, თორღვას მუცოელობას იზიარებს ექ. გ.თედორაძეც. მაგრამ მარტო იმის გამო, რომ თორღვას ციხე მუცოშია, თორღვას მუცოელობის დამტკიცება შეუძლებელია. თორღვას სახელის ციხე არა მარტო მუცოშია, არამედ, როგორც შემდეგ დავინახავთ, რამ-

დენი?; ადგილასაა და ხომ არ შეიძლება, რომ თორღვა იყოს მუცოდანაც, სტორის ხევიდანაც, პანკისიდანაც, ყვარლიდანაც, ლაგოდებიდანაც და სხვა.

რიგი მკვლევარებისა, ემყარებიან რა ლექსს: "ეგ ნახე მუცუს გაზრდილო", ასკვნის, რომ თორღვა მუცოელია. პაგრამ, ვფიქრობ, არც ეს გამოდგება მტკიცე საბუთად. ამ ლექსის ვარიანტების გადასწავლამ დაგვარწმუნა, რომ სიტყვა "მუცუ" სხვადასხვანაირადაა წარმოდგენილი: თ.რაზიკაშვილის ჩაწერილ ვარიანტში წერია - "მიცის გაზრდილო"\*. ურბნელის ჩაწერილ ვარიანტში წერია - "მუცუს გაზრდილო"\*. ერ. ბალიაურის მიერ ჩაწერილი ვარიანტი "მიცუს გაზრდილოს" აზღვენებს<sup>29</sup>. "მიცი" მამაკაცის სახელია თუშეთში. შესაძლებელია ამ სიტყვას ასეთი ცვლილება განეცადა:

### მიცი-მიცუ მუცუ

ეს შით უფრო შესაძლებელია, რომ საბივე ფორმა ამჟამად მოგვეპოვება ლექსებში. მთის კილოებში, ისევე როგორც სალიტერატურო ქართულში. ბოლოხმოვნიათი ფუძე ნათესაობით ბრუნვაში წარმოგვიდგება სან ბრუნვის ნიშნის ნაშთით. ამავე დროს სანიანი სუფიქსი გამოყენებულია მთის კილოებში სადაურობის მაწარმოებლად და უდრის ქართული სალიტერატურო ენის სადაობითი ბრუნვის "ში" ნიშანს /აკ. შანიძის გაგებით/. მაგ. "თბილისს გაზრდილო" ნიშნავ "თბილისში გაზრდილოს". მაშასადამე, "მიცის გაზრდილო" ერთსა და იმავე დროს შეიძლება ნიშნავდეს მიცის მიერ გაზრდილსაც და მიცუში ან მუცუში გაზრდილსაც. შესაძლებელია თორღვას აღმზრდელს ან მამობილს მიცი ერქვა /იხ.

პროზაული გადმოცემა/ და "მიცის გაზრდილმა" ფორმის ცვლითა და გადააზრებით მოგვცა სოფ. "მუც-უში გაზრდილო".

აქ. შანიძის მიერ ჩაწერილ ლექსში გვხვდება ასეთი ადგილი:

"სადილად არღოტს ჩავიდა თორღვაი მკლავისხლიანი.

წამეეგებნეს დედანი, "სით მოხველ სახელიანი?"<sup>31</sup>

აქ თითქოს ჩანს თორღვას არღოტელობა. ნათქვამია "წამეეგებნეს დედანო", მაგრამ აქ სიტყვაში "დედანი" იგულისხმება არა მშობელი დედა, ან ნათესაები. არამედ საზოგადოდ დედაკაცები. "დედანი", როგორც განსვენებულმა აკადემიკოსმა ივანე ჭავჭავაძემ გამოიკვლია, ერთსა და იმავე დროს მშობელსაც ნიშნავდა და სქესის აღმნიშვნელ ტერმინადაც იხმარებოდა /იხ. ქართველური და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნაოცსაობა, 1937 წ. გვ.224-229/. რაც საუკეთესოდ. - შემოუნახავს მთას. ამას ადასტურებს თორღვას ნათქვამი სიტყვები: "ბოზნო, რას მკითხავთ, დედანო?" და სხვა. რომ სიტყვა დედანი ზოგადად დედაკაცებს ნიშნავს, ეს ჩანს სხვა ლექსებიდანაც. ხევსურულ ლექსში - "მშაველ-ხევსურთ მიშველება თუშეთში" ნათქვამია: "ელოს ატირდეს დედანი, მტერმ მარხედ შეგვაშინაო"<sup>31</sup>. აქ სიტყვა "დედანი" დედაკაცებს ნიშნავს, ლექსში - "სოფლის უფროსი" წერია: "სოფელს ატირდეს დედანი; "სოფლის უროსი კვდებაო"<sup>32</sup>. დ.ხიზანიშვილის ჩაწერილ ლექსში ნათქვამია: "ჩილოს ატირდეს



დედანი, ჩვენ მტერმა შეგვაშინაო”<sup>22</sup>. ლექსში “ბაგვაზ-  
წლებთან ბრძოლა” ნათქვამია: “ომში ნამყოფთა თუშ-  
ებსა ამბავს ჰკითხავდეს დედანი” /ს.მაკალათია, თუშუ-  
რი ლექსები, გვ.28/ იქვეა: “დედანი მოთქმით  
ატირდნენ”; “ნუმც მიტირებენ დედანი” /გვ.95/.

თუ ამ ლექსის ვარიანტებს გადავაკვლებთ თვალს,  
თორღვა ყველგან არდოტში არ მიდის. დ-ხიზანიში-  
ლის მიერ ჩაწერილ ლექსში ნათქვამია:

“გავარდა არკილოშია ხარი მანძილა რქიანი,  
მიცუს მოვიდა თორღვაი დილაზე თვირთვილიახი;  
ამბავსა ჰკითხევს არდოტსა: - სად იყავ მკლავსისხლიანი!”<sup>24</sup>

დ. ალბანელის ჩანაწერ ვარიანტში წერია:

“გზას ქალებ მიეგებიახ. “ბიჰო, საით მოხვალ სახელიანი?”<sup>25</sup>

ნ.ურბნელის მიერ ჩაწერილი ვარიანტით თორღვა მი-  
დის არკილოში<sup>26</sup>. პროფ. ს.მაკალათიას ჩაწერილი ვარი-  
ანტით თორღვა არდოტში მიდის<sup>27</sup>, თ.რაზიკაშვილის  
მიერ ჩაწერილი ვარიანტით იგი მიდის მუცოში<sup>28</sup>. ერთ-  
ერთ ლექსში კი, რომელიც იმავე თ.რაზიკაშვილს ჩა-  
უწერია, თორღვა არდოტში მიდის როგორც არაარდ-  
ოტელი: “რას მკითხავთ არდოტელებო” - ეუბნება იგი  
მათ<sup>29</sup>.

როგორც ჩანს, ლექსები არ გამოდგება თორღვას სა-  
დაურობის გასარკვევად. ამ შემთხვევაშიაც უნდა გამ-  
ოვიდეთ ისტორიული ცნობებიდან და პროზაული გად-

მოცემებიდან და თორღვას დაბადების და, ალბათ, აღზრდის ადგილადაც უნდა მივიჩნიოთ სოფ. შატილი და არა მუცო ან სხვა<sup>10</sup>.

კითხვა: იქნებ ალექსანდრე ბატონიშვილმა, რომელიც შატილში ცხოვრობდა, სხვა სოფლელ ქალთან დაიქორწინა? ჯერ ერთი, ალექსანდრე ნამდვილად მიდის სოფ. შატილში და უფრო მოსალოდნელია აქაურ ქალთან კავშირის დაკერა, და მეორე, პროზაული გადმოცემა ქალს შატილელად აღიარებს. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ თორღვას დედა ვერ წავიდოდა სხვაგან მაშინდელი პირობებისა და წესების გამო. თორღვას დედა ვერც გათხოვდებოდა, იმიტომ, რომ იმ ღროს უდიდეს სირცხვილად ითვებოდა ქვრივი ქალის. პით უმეტეს, ბუშის დედის მიყვანა. თემურ ხევსურეთში როგორც უკანონოდ შობილს, ისე მის მშობელს ქვით ქოლავდნენ. თორღვასა და მის დედის ბედი ალბათ ალექსანდრეს პატივისცემამ გადაწყვიტა და ისინი აღარ დახოცეს.

ამრიგად, თორღვას დაბადებისა და აღზრდის ადგილად შატილი უნდა მივიჩნიოთ. თორღვას მუცოელობის შესახებ ცნობების სიუხვეზე კი ის შეიძლება ითქვას, რომ შემდეგ, მეკობრობის პერიოდში ალბათ თორღვამ დროებით ან სამუდამო საცხოვრებელ ადგილად მუცო ამოირჩია.

ვინ იყო თორღვას მკვლელი? უდავოა, რომ თორღვამ მოკლულ იქმნა<sup>11</sup>, მაგრამ ცნობები მისი მკვლელის ვინაობის შესახებ სხვადასხვა ჩვენებას იძლევა. თორღვას შესახებ ჩაწერილ ლექსებში თორღვას მკვლელად

ფშაველი ჩოთაა აღიარებული. ეს სახელი სხვადასხვა ვარიანტადაა გავრცელებული. გვხვდება "ჩოთა", "ჩონთა", "ჩოთლა", "თოთა", "ჩოთეშა", "ჩოთლაძე". პრ-ოზაული გადმოცემის მიხედვით მკვლელი არის თუში ამხანაგი. თუშები ჰკლავენ თორღვას აგრეთვე სტუდ. მაკაროვის მიერ ჩაწერილი მასალის მიხედვითაც. ჩვენ თორღვას მკვლელად ფშაველი ჩოთა მიგვაჩნია, მაგრამ აქვე ჩნდება ეჭვი, ხომ არ არის შესაძლებელი, რომ ჩოთა თუშ ამხანაგთან იქნეს გაიგივებული, იქნება ორივე ერთი და იგივე პიროვნებაა? თუში ძმობილია, ხოლო ჩოთაც ერთ ლექსში ძმობილადაა მოხსენებული, ჩოთა როცა თორღვას კლავს, ეუბნება "ძმობილის მოლაღატ-ესა ღმერთმ იყყვას სამართალიო" /იხ. გაზ. ივერია, 1887 წ. 154, ზიზანიშვილისეული ვარიანტი/. სხვათაშორის, პროფ. ს.მაკალათიას უწერია "ჩოთამი". ამის მიზეზი ისაა, რომ ავტორს თავისივე ჩაწერილ ლექსში: "გდამაჩინნა ჩოთამა ისარნი მკვარტლიანნიო", ჩოთა სახელის მოთხრობითი ბრუნვის ფორმა სახელობითად გაუგია, მოთხრობითი ბრუნვის მანი ფუძისეულად მიუჩნევია. ამას გვიდასტურებს ლექსის რუსული თარგმანი, რომელიც მას შეტანილი აქვს თავისი "ხევსურეთის" რუსულ თარგმანში:

იგივე ავტორი წიგნში "ფშავი" "ჩოთამა" ფორმას ხმარობს.

ყოველივე ამის შემდეგ შეიძლება ასეთი კითხვები დაიბადოს: 1. თუ თორღვა მე-19 ს-ის პიროვნებაა, რატომ კლავს ჩოთა მას ისრით, განა მაშინ თოფი არ ჰქონდათ? 2. რით ავხსნათ ის გარემოება, რომ ლექსში

წერია: "თორღვავ, გიბარებს ბატონი, აქ ჩამედი ბარადა"? ბატონში ხომ მეფე იგულისხმება, მეფე კი მე-19 საუკუნეში ბარად აღარ არის? 3. თუ თორღვა მე-19 საუკუნის პირია, რატომ არ იხსენიება ის წერილობით წყაროებში, ამ დროს ხომ უკვე იწყება საქართველოში ლტოლვა მთის ხალხის ყოფაცხოვრებისა და მათი ფოლკლორის შესწავლისაკენ?

ამ კითხვებზე შეიძლება ასე ვუპასუხოთ:

1. მართალია, ჩოთა თორღვას ისრით კლავს, მაგრამ ამავე ლექსებში ნახსენებია აგრეთვე ცეცხლმსრლელი იარაღიც. მაგ.: დ.ალბანელის ჩაწერილ ლექსში ნათქვამია: "თოფ-ხმალს, ვაზოძევე, გაჩუქებს"<sup>42</sup>. ს.მაკალათიას მიერ ჩაწერილ ლექსში ნათქვამია: "თოფი შენ მოგცა თორღვამა"<sup>43</sup>. აკ.შანიძის ჩაწერილ ვარიანტში წერია: "თოფი ესროლე,ვერ დახკარ"<sup>44</sup>. თ.რაზიკაშვილის ჩაწერილ ვარიანტში ნათქვამია: "ყორანს თოფ დახკრა თორღვამა"<sup>45</sup>.

დასასრულ აკაკი შანიძის მიერ ჩაწერილ ლექსში წერია:

"ამაიწვავდა ჩოთამა ისარი მკვარტლიანიო,

გულსა ხკრა, სუქსა ეწია, წავიდა ნატყვიარიო"<sup>46</sup>.

ჩოთამ ისარი ხკრა, ნატყვიარი კი წავიდა. რასაკვირველია სიტყვა "ნატყვიარი" "ტყვიადან" არის ნაწარმოები. როგორც ვხედავთ, თოფი აქ მრავალჯერ იხსენიება. ჩვენი აზრით, მართალია, თორღვას დროს არსებობდა თოფი, მაგრამ იგი პრიმიტიული იყო და მის გატენას დიდი დრო სჭირდებოდა, ამიტომ კიდევ კარგა

- ხანს შემორჩა მშვილდ-ისარი, როგორც უფრო სასწრაფო იარაღი. კოშკებიდან თოფებით ბრძოლის თაობაზე ცნობები უფრო ადრეულიც მოგვეპოვება, რადგან მეციხოვნეს საშუალება ჰქონდა დამშვიდებით გაეტენა თოფი. რომ თოფთან ერთად ისარიც იხმარებოდა, ამაზე ზემოთ მოყვანილი მაგალითიტ მიგვითითებს, სადაც ისართან ერთად "ნატყვიარიცაა" ნახსენები.

მთაში ეს ძველი იარაღი - მშვილდ-ისარი - დარჩენილია 1840-1850 წლებამდესაც /"კვალი", 1893 წ. 4/.

2. რამდენიმე ლექსში ნახმარია სიტყვა "ბატონი", რაც, ალბათ, მეფეს გულისხმობს. აკი დ.როსტომაშვილს დაუწერია კიდევ სქოლიოში "ერეკლე" - ვითომ ლექსში ნახსენები ბატონი ერეკლე ყოფილიყოს<sup>17</sup>. მაგრამ ამ ლექსის სხვა ვარიანტში ნათქვამია: "მთავრობა შენა გიბარებს"<sup>18</sup>. აქ შეიძლება რუსის მთავრობაც იგულისხმებოდეს. ორში ერთია: ან სიტყვა "ბატონი" მერმინდელი ჩანამატია, ანდა ლექსში იგი სხვა მნიშვნელობითაა ნახმარი.

3. ჩვენი მტკიცებით თორღვა დაიბადა 1813-14 წლებში. მისი თავგადასავალი, მისი მკვლევლობა და მისი ტემპერამენტი გვაფიქრებინებს, რომ სიკვდილის დროს იგი 30-35 წლისა უნდა ყოფილიყო. შეიძლება უფრო ახალგაზრდაც. ე.ი. იგი ცხოვრობდა მე-19 საუკუნის 40-50-იან წლებამდის. მაშინ კი ღტოლვა ხალხის ყოფაცხოვრებისა და ხალხური სიტყვიერების შესწავლისაკენ ჭერ კიდევ არ იყო ძლიერი. ამასთან, მაშინდელ წერილობით წყაროებში ძალიან ძუნწაააა ლაპარაკი მთის შესახებ და რა გასაკვირია, რომ თორღვას პიროვნება

მაშინდელ საზოგადოებას მხედველობიდან გამოჰპარვოდა.

თორღვას ასაკზე მსჯელობისათვის მეტად საყურადღებო ცნობები ჩაუწერია სტუდ. მაკაროვს: თორღვას უყვარდა მზექალა, რომლის შერთვა სხვა ხევსურსაც სდომებია. ხევსურის წყალობით თორღვას ჯაჭვი წყალმწაილო, რის შემდეგაც მოკლეს მოწინააღმდეგე თუშებმა. რადგან თორღვას ცოლი არ ჰყავდა, მისი გვარი ამოწყდაო<sup>49</sup>. ამ ცნობის მიხედვით თორღვა სრულიად ახალგაზრდა უნდა მოეკლათ.

ხად არის თორღვას სახელობის ციხე? თორღვას ციხე რამდენიმე ალაგასაა. ექ. გ.თედორაძის გადმოცემით თორღვას სახელწოდების ციხე არის სოფ. მუცოში. მას ასეთი აღწერა მოჰყავს ციხისა: "დასავლეთის მხარეზე, მუცუს ამშვენებს თორღვაის ციხე, რომელიც არწივის ბუდესავით მიუვალ კლდეზეა აგებული და რომლის უნძრევი კედლებიც ჯერ კიდევ ამჟამად იყურებიან" ცოტა ქვევით: "ხალხისავე ცნობით ხსენებული ციხე თორღვას აუშენებია ანატორის ქვევით. მას იმდენ ხალხი ჰყოლია იმ დროს, რომ მუცოდან ანატორამდე ჩაუმწყვრივებია და ქვის ხელიდან ხელში გადაცემით ციხე ერთ დღეში აუგია"<sup>50</sup>. თორღვას ციხის სოფ. მუცოში არსებობის ცნობას გვაწვდის აგრეთვე დ.ხიზანი შვილი: "თორღვას ციხე ეხლა არის სოფ. მუცოში. ხევსურეთში"<sup>51</sup>. მუცოში თორღვას ციხეზე მიგვითითებს ს.მაკალათია<sup>52</sup>.

მ.ჯანაშვილი წერდა: "სიმტკიცე /ციხე/ თორღვა არი რამდენიმე ადგილას, ლაგოდნის ზემოთი თოლა, რომლი

ახლოს გადადის გზა ბელაქნიდამ დალისტანს<sup>44</sup>. როგორც ჩანს, მ.ჯანაშვილის მიერ ხსენებული ციხე უნდა იყოს ის ციხე, რომლის შესახებაც ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: "ხოლო კვალად ბელიაქნის წყლის შესართავს ზეთ მიერთვის ალაზანს მაწის წყალი, გამოსდის ხუნ-ზახსა და ამას შორის კავკასს, მოდის ჩდილო აღმოსავლეთს შუადად დასავლეთ სამხრეთს შუა. ამ ხევზე არს, მთასა შინა, თოლა, სასახლე მეფეთა, ფრიად მშვენივარე ზაფხულს. ამას ეწოდა მაქი"<sup>45</sup>.

თორღვას ციხე არის პანკისშიც: "რაოდენნიც დაეტეოდნენ კალაურის მთაში დაიხიზნენ, სხვანი პანკისის ხეობაში, ლოპოტაში და აგრეთვე მთებში და ამ ადგილებში ყველგან ბრძო შააბაზმან, და პანკისშიც რომ თორღის ციხემდინ მივიდა იმათი ჭარი და თქვენ და კახთა დაამარცხეთ და აღვანამდინ ხოციით მიჰყევით" - ეუბნება იოვანე ხელაშვილი თუშებს<sup>46</sup>.

თორღვას ციხე არის ყვარლის მახლობლადაც.

თორღვას ციხეების ბევრგან მდებარეობაზე წერს მოსე ჯანაშვილიც: "რომ მართლაც თორღვას დიდი სახელი და გავლენა ჰქონია კახეთში ეს მტკიცდება მრავალი შენობის ნაშთებით, რომელთაც თორღვას სახელი ჰქვიათ. გადმოცემით, სოფელი კაკი წინათ ქალაქი ყოფილა და სახელად. რქმევია "ათას და ერთ კომლოვანი თორღვა". ლაგოდების თავს, აგრედ-წოდებულ "დარუბანდის კედლის" დასაწყევდს, არის ძველი ციხე - თორღა. ამავე სახელის ციხე არის ალაზნის ტოტს ლაპოტის თავს, მაღალს გორაზე და აგრეთვე ხევსურთა სოფელს მუცოში"<sup>47</sup>. თორღვას ციხე, რომელიც მოხსე-

ნებულია თორღვას შესახებ თქმულს ლექსებში. არის თორღვას აბანოს სამხრეთ აღმოსავლეთით, სტორის ხეობაში, სოფ. ფშავლიდან 10-12 კმ-ის დაშორებით. რომლის შესახებაც გიორგი ლეონიძე წერდა, "პარტიზანების ყველაზე მაგარი რაზმები გაღმა კახეთში შტორის ხევზე მიუდგომელ თორღვის ციხეში გამაგრდნენ ზეზვას მეთაურობით"-<sup>17</sup>. კახეთის ხეები, მათ შორის სტორის ხეობაც, მათი უალრესად მიუდგომლობის გამო ძველთაგანვე გამოყენებული ყოფილა თავდასცავ ადგილებად მტრის შემოსევების დროს. ქართლის ცხოვრება მოგვითხრობს ერთ-ერთი ასეთი თავშეფარების შესახებ ვახტანგ გორგასალის დროს. 502 წელს, როდესაც ვახტანგმა გასცა ბრძანება, რომ დაეცალათ "სოფლები და ქალაქები, რომელი იყო არა ძლიერ" და შეხიზნულიყვნენ "კავკასიანთა და კახეთად". მაშინ: "დაჩი მეფე და დისწული მისი გარდავიდეს კახეთად და შევიდეს ხევსა ლოპოტისასა", ქვეყანასა მას კლდითა მოზღუდვილსა და იყვნეს სოფლისა მის კაცნი ცეცხლისა და წყლისა მსახურნი, და სავსე იყო ხევი იგი სიმრავლითა კაცთათა ვიდრე ნასორამდე"<sup>18</sup>. შესაძლებელია აქ მემისტორიე ხეობებს ურევდეს და სწორედ სტორის ხეობას გულისხმობდეს, მით უმეტეს, რომ სტორის ხეობა ბევრად უფრო მაგარია და ლოპოტიდან სულ ორი-სამი კილომეტრი მანძილი აშორებს.

ამ ციხის შესახებ ცნობას გვაწვდის ვახუშტიც: "კვალად თურდოს ხევის შესართავს ზეით ალაზანს მიერთვის შტორი ხევი, გამოსდის თუშეთსა ამას შორის კავკასსა და მოდის აღმოსავლიდამ დასავლით. თორღის ციხესთან ერთვის ამ ხევს სხვა ხევი, გამომდინარე მისივე  
144



კავკასისა“<sup>89</sup>. თუმცა ვახუშტი ამ შემთხვევაში ცდება: შტორი არ მოდის აღმოსავლეთიდან დასავლეთით, არამედ ჩრდილოეთიდან - სამხრეთით, ჩვენ გვინტერესებს ის, რომ ვახუშტი გვამცნობს მდ. სტორზე თორღვას ციხის არსებობას.

ამ ციხის შესახებ მიუთითებს მ.ჯანაშვილიც: “თორღის ციხე მალალ და მიუდგომელ ბორცვზეა აშენებული. 1616 წელს ეს ციხე ფრიად გაამაგრა თეიმურაზ მეფემ და შიგ დაკრძალა თავისი ქონება. თვითონ წავიდა შაჰაბაზის მისაგებებლად“<sup>90</sup>.

ამის შემდეგ, როცა გვექნება ლაპარაკი თორღვას ციხის შესახებ, იგულისხმება თორღვას ციხე, არსებული მდ.სტორზე /შტორზე/.

შეიძლება თუ არა, თორღვა მივიჩნიოთ ციხის აშენებლად? მთელ რიგ ლექსებში აბანოს აღმომჩენი თორღვა გამოყვანილია ციხის აშენებლად: თ. რაზიკ-აშვილის მიერ ჩაწერილ ლექსში წერია: თორღვამ “აბანოს გორსა გამართა ქაჯი და გალავანია“<sup>91</sup>. მისივე ვარიანტშია: “თაქვე ჩავარდა ყორანი, თორღვამ და-აყონ თვალნია, ემანდ აბანო მახელა, გაღმართა გალავანია“<sup>92</sup>.

თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულ ვრცელ ლექსში ვკითხულობთ:

აბანოდ გამოვაკეთე, სახელ დაეარქვი ჩემზედა,  
ერთ ციხე უნდა ავაგო, დაბლა იმ გორის ცერზედა.

ციხე ააგო თორღვამა, ბურჯებით ამართულია.  
მწკრივაზე საისრეები ირგვლივა შემორტყმულია.

ეს ლექსი არ უნდა იყოს სანდო წყარო. მასში მოცემულია თორღვას სიბერით სიკვდილი, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. იგი უსვამს ხაზს თორღვას მიერ ციხის აშენების საკითხს, რაც, როგორც შემდეგ დაინახავთ, აგრეთვე არასწორია. აქ გვხვდება ასეთი ფრაზები: "თორღვას დათა ტირილი კლდეთა ხერეტს გაედინების" "დები სწუხს თქვენი, თორღვაო, ცხარე ცრემლების მთოველი". "დები მას გამოეგებნეს" თორღვას დების ყოლაც აგრეთვე საეჭვოა. ეს ლექსპოემა თორღვას შესახებ ვინმე ფშაველ ფილიპე ღვინიაშვილს უნდა ეკუთვნოდეს. ჩვენ ხელთ გვაქვს მის მიერ დაწერილი ლექსების კრებული, სადაც ეს პოემა-ლექსიც არის მოთავსებული: ქვეშ მიწერილი აქვს: "1913 წ. ფ.ღვინიაშვილი". საეჭვოა, რომ ამ ავტორს ასეთი უტყუარი ცნობები ჰქონოდა თორღვას შესახებ.

მიუხედავად ამ ცნობებისა, აბანოს აღმომჩენ თორღვასა და ციხის ამშენებელ თორღვას ვერ გავაიგივებთ. რადგან წყაროებში ციხე ბევრად უფრო ადრე იხსენიება, ვიდრე თორღვა იცხოვრებდა. როგორც ვნახეთ, ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასალის დროს გამოუყენებიათ სტორის ხეობა თავდაცვის მიზნით. ალბათ აქვენვე უნდა დაბადებულიყო აზრი სტორის ხევზე ციხის აშენებისა.

ისტორიკოსი ეგნატაშვილი ბერი წერდა: "ხ ეამსა ამას შინა, მიიცვალა ბატონი ლეუან, მპყრობელი კახე-

თისა, წელსა ქრისტეს აქათ ჩოვ და დაჯდა მის წილად  
კახეთს მისი პირმშო ალექსანდე. ნაშობნი შამხლის ქა-  
ლისანი ელიმირზონ ძე ლევანისა და ხოსრო მირზა,  
უწინ სვიმონ მეფის მოყვრობით გათამამებულნი იყვნენ  
და განძლიერებულნი არა უმდაბლეს ალექსანდესა. და  
მიერთნენ რომელნიმე კახნი და, - ჩვეულებაჲცა არს  
კახთა, - და მივიდეს თორღვას ელიმირზონ და ხოსრო  
მირზა"<sup>55</sup>.

ამ ამბავს ვახუშტი ბატონიშვილიც ეხება თავის ის-  
ტორიაში: დავით -ს /დაუთხანს/ "ეზრახა შეწევნად  
ალექსანდრე და ნებითა დაუთხანისათა მივიდნენ ამი-  
ლახორი ბარძიმ და ქსნის ერისთავი ელიზბარ სპითა  
შემწედ. ამისნი მხილველნი კახნი მრავალნი განი-  
ვლტოდენ ელიმურზისა და ძმათა მისთაგან და  
მოერთოდენ ალექსანდრეს. ხოლო მათ მოიცეს ძალი შა-  
მხლისაგან და ეწყუნენ თორღას ურთიერთს და ბრძო-  
ლასა ძლიერსა იძლივნენ ელიმურზა, ვახტანგ და ხოსრო  
და მოსწყვიტნეს სამნივე ძმანი მუნ და მოსრნეს მათ-  
თანანი სპანიც და ალექსანდრემ დაიპყრა. კახეთი ამასვე  
ქორონიკონსა"<sup>56</sup>. ქორონიკონად კი დასახელებული აქვს  
1574 წელი. რაც ეგნატაშვილის თარიღზე სწორი უნდა  
იყოს.

იგივე ავტორი წერს: დავითმა "შეიპყრა ძმა თვისი  
გიორგი და რაოდენიცა იყვნენ კახნი შეფიცულნი მის  
თანა. და ველარც მეფემან გიორგიმ უსაყვედურა საქმე  
ესე დავითს ამისთვის, რომ უმართლე იყო. და წამოი-  
ყვანა ძმა თვისი და თორღას ციხეში პატიმარ უო"<sup>57</sup>.  
"და ესმინა შააბაზს სიტყუა მოურავისა. მოვიდა თვესა  
იანვარსა ხუთსა ქრისტეს აქათ: ჩ ქკდ /1624/ თა აღილო

ციხე თორლისა შააბაზ და გამოიღო ყოველივე საგანძური კახეთისა"⁶⁶.

1607 წელს თეიმურაზ II-მა იქორწინა თორლვას ციხეში:

თორლვას ვიდექით, ოდეს ვქენ ქონწილი გამოჩვენება⁶⁷

### თორლვას ციხის შეხახებ ცნობას გვაწვდის ფეშანგი ფაშვიბერტყაძეც:

მეფემ ბძანა: "თორლის ციხე ძირამდისინ მოასწორეთ;

მალლა ქვასა ნუ გაუშვებთ, დაბლამდისი ჩააგორეთ,

ნაშენები რაჲ იყოს იმა კლდესა მოაშორეთ;

/...../ დაისწრაფეთ, არა ხამდეს დაიყოვნეთ. შემდეგ ფეშანგი მოგვითხრობს: "აქა ამა დიდმა ხელმწიფემან მეფემ შაჰნავაზ თორლის ციხე აიღო. შემცოდენი გამოიყვანა, ციხე ძირამდი დააქცია და გამარჯვებული გამობრუნდა". ცოტა ქვემოთ:

თორლა მოშალეს, აწ ნახეთ რა უყონ განჯაურასა.

გარდააბრუნეს, წაიქცა, მკვრეტელმა რა უუროსა?

ველარ მყოფელსა დღეთგან ვერ სტუოს ვერც იჩხუბოსა⁶⁸

ამ ბრძოლის შესახებ მოგვითხრობს ფარსადან გორგიჯანისძეც: ერეკლე ბატონიშვილმა "სიცოტავით ქართველთ ველარ გაუძლო და ისრევე თუშეთს წავიდა

და დედამისმან თორღის ციხე უკუიქირა და კახნი ზოგნი თან გაჰყვენ და ზოგნი ციხეში შეჰყვენ. შვიდს თვეს მეფე ციხეს გარს შემოადგა და ვერ აიღო. მაგრამ ციხოვანნი შეჯერდნენ: ერთ ლამეს დედოფალმა თუშური ჩოხა ჩაიცვა, და საფთე მშვილდ ისარი შემოირტყა. ბოხის თუშური ქუდი დაიხურა და ციხიდან ჩამოვიდა და მეფის ლაშქარშიგ გაიარა და თუშეთს მივიდა. მეორეს დღეს, რომელნიც კახნი ციხეში იყვნენ. მეფეს შემოეხვეწნენ და უვნებლობის საფიცარი სთხოვეს. ამათაც მისცეს და იმათაც ციხე მოსცეს. და თორღით მეფე აიყარა“<sup>88</sup>.

როგორც ვხედავთ, მე-17 - მე-18 საუკუნეებში ხშირად იხსენიება თორღას ციხე სტორის ხეობაზე. აბანოს აღმომჩენი თორღვა კი 1813-14 წლებში დაიბადა. მაშასადამე, აბანოს აღმომჩენ თორღვას არაფერი აქვს საერთო თორღვას ციხის აშენებასთან.

პროზაულ გადმოცემაში ნათქვამია, რომ თითქოს ციხე აშენებული იყოს თამარის ქმრის დავითისაგან. რის შესახებაც ჩვენ რაიმეს თქმა არ შეგვიძლია.

საიდან მოდის ციხის სახელწოდება? მაშ თუ აბანოს აღმომჩენი თორღვა კავშირში არაა ციხის აშენებასთან, საიდან შეერქვა ზემოთ ნახსენებ ციხეებს თორღვას სახელწოდება? ისტორიაში მოხსენებულია სხვა თორღვაც. თორღვაძენად იხსენიებს კახეთის თავებს თამარის პირველი ისტორიკოსი. 1256 წელს, როცა ლაშა გიორგის შვილი ულუ დავითი /1259-1269/ მონღოლთა ყაენმა გაიწვია თავისთან, თავთავისი თემების მართვა-გამგეობა ჩააბარა მათსავე ერისთავებს, კახეთის მართვა-გამგეობა ჩააბარა თორღვა პანკელს. რადგან ულუ და-

კითხვა დაიგვიანა. თოლოკას ეგონა, რომ იგი აღარ დაბრუნდებოდა და განუღვა მას: "და იყოფოდა მეფე წინაშე ბათოსა ჟამთა მრავალთა, და თითოეულისა თემის-თემისა ადგილი თითოეულსა კაცსა შევედრის. რომლისა-თვის კახეთიკა პანკელსა თორლუას შევედრა, და ამცნო, რათა ბრძანებასა დედოფლისასა ერჩიდეს. ხოლო ჰგონა თორლუამან არლარა მოსულა მეფისა, უკუ დგა პანკის ციხესა, და თვისად დაიმკირა კახეთი, და არლარა კმორჩილებდა დედოფალსა, და არცა მესტუმრესა ჭიგურსა"™.

როგორც ამ ცნობიდან ჩანს, ულუ დავითის დროსაც თორლვა კახეთის ერისთავი ყოფილა და სწორედ აქედან უნდა მოდიოდეს თორლვას ციხის სახელწოდება და არა აბანოს აღმომჩენ თორლვადან. სამართლიანად წერდა თედო რაზიკაშვილი: "თორლუში თბილი წყალია და თორლვას წყაროს ეძახიან, ციხე სიმაგრეც არის, მაგრამ მე მგონი რომ ამ თორლვასი კი არა უნდა იყოს, არამედ ისტორიული კახეთის ერისთავის თორლუსი"-ო<sup>1</sup>. თორლვას კახეთის ერისთავად ყოფნის ცნობა ფანტავს გაუგებრობას, რომელიც წამოიჭრება თორლვას ციხის მრავლობითობასთან დაკავშირებით.

რომ აბანოს აღმომჩენი თორლვა შემდეგლა ცხოვრობდა, ხოლო ციხე წინათვე იყო აშენებული. ამას ისიც ამტკიცებს, რომ ვახუშტი ბატონიშვილი არ იხსენიებს თორლვას აბანოს იმ დროს, როცა მოხსენებული აქვს სხვა მინერალური წყლები და თორლვას ციხეც.

1948 წლის იანვარი.

1. იხ. საქართველოს ცხოვრება, 1913 წ. გვ. 339.
2. იხ. ვახუშტი, არწერა სამაფოსა საქართველოსა, 1941 წ. გვ. 101.
3. ეს ლექსი დატულია თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. იმ ლექსის ვარიანტი, ან, უკეთ. პროტოტიპი მაქვს მეც. საინტერესო იქნებოდა შედარება ვარიანტებისა, მაგრამ ეს საქმე არ მოხერხდა.
4. თორღვას ქალის შესახებ ლექსი ჩაუწერია ს.მაკ-ალათიას /იხ. ხევი, 1934 წ. გვ. 275 და თუშური ლექსები გვ. 32/. ლექსი "ნანა თორღვაის ქაოზე", როგორც აკად. აკ. შანიძე შენიშნავს, ფრიად გავრცელებული ლექსია. ეს ქალი არის თუშეთიდან, სოფ. ჩილოდან და ჩვენთვის საინტერესო თორღვას ქალი არ არის.
5. იხ. აკ. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, , ხევ-სურული, 1931, 44.
6. მთის კილოებში სიტყვა "ბატონი" იხმარება ბაგრატიონთა შესატყვისად.
7. საქ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება, ფონდი 2025, 127.
8. იხ. აკ. შანიძე. დასახ. ნაშრომი, 540.
9. საქ. მუზეუმი, ხელნაწერთა მითით. ფონდი.
10. ექ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში. 1930 წ. გვ.69.
11. აკ. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ.342, 347.
12. ს.მაკალათია, ხევსურეთი, 1935 წ. გვ. 81.
13. მოამბე, 1903 წ. 4.

14. გაზ. ივერია, 1888 წ. 120.

15. გაზ. ივერია, 1887 წ. 172.

16. შდრ. "ბატონმა თქვაო: "ხევსურეთში ერთ ძალ-  
ღში /ვითომ ხევსურის ქალში/ თესლი დამრჩა და ვიცი,  
ის მე არ მომასვენებსო". თ.რაზიკაშვილი, 2025,127.

17. მეორე ვარიანტი ამ თუშ მეცხვარეს ჭარჯოს ეძახის.

18. მთაში გავრცელებული რწმენაა. ვინც ყორნის  
თეთრ ფრთას იპოვის, ნატვრა აუსრულდებაო.

19. შდრ. "თავექვე ჩავარდა ყორანი, თორღვამ ჩა-  
აყოლნ თვალნიო, ემანდ აბანო მახელა, გაღმართა გა-  
ლაევანიო". საქ. მუზეუმი, 2025, ფურც. 80.

20. შდრ. გ.თედორაძე, ხუთი წელი... გვ.70: "თორღვას  
ისეთი ჭაჭვის პერანგი ეცვა თურმე, რომ მას თოფიდან  
გასროლილი ტყვია არ ეკარებოდა, ტყვიის შეხების  
დროს პერანგი ისე შეიკუმშებოდა, რომ თოფიდან გამ-  
ოტყორცნილ ტყვიას უკანვე აბრუნებდა. როგორც  
ხალხი ამბობს, ეს ჭაჭვის პერანგი მას ნაჩუქარი ჰქონია  
ძმობილისაგან და მას იგი არ იშორებდა არც დღე და  
არც ღამე. ხალხის გადმოცემით, მას მტერი ვერასდროს  
ვერ დაამარცხებდა,რომ ერთ უბედურ შემთხვევას არ  
ელაღატნა: ერთხელ თურმე ის ტანს იბანდა მდინარეში.  
ტანის დაბანის დროს ეს ჭაჭვის პერანგი მისთვის წყალს  
წაურთმევეია, რის შემდეგაც მას მისივე პირადი მტერი  
ჰკლავს".

21. იხ. ს.მაკალათია, ხევსურეთი, გვ.49-50;

22. გ.თედორაძე წერს: "ამ თორღვაზე სხვადასხვა  
ლეგენდები არსებობს ხალხში: ზოგი ამბობს, ვითომ თუ-



ში ყოფილა, ზოგიც თავადობას აკუთვნებს. ე.ი. ბუში ყოფილა ვილაც თავადისა და ზოგი კი ნამდვილად გარწმუნებთ, რომ იგი გაქცეული ალექსანდრე ბატონიშვილის ნაბიკვარი იყოვო" /იხ. ხუთი წელი... გვ.69/. როგორც ჩანს, ეხლაც ხსომეზიანთ ხეესურეთში ის ამბავი, რომ თორღვა ალექსანდრე ბატონიშვილის ნაბიკვარი ყოფილა. იხ. აგრეთვე ს. მაკალათია, ფშავი, გვ.88.

23. თუ ალექსანდრეს შვილი იყო თორღვა, იგი ობლად უნდა გაზრდილიყო, რადგან ალექსანდრე აქ არ იმყოფებოდა. ამასვე გვაფიქრებინებს სიტყვებიც. "ობლობით ამაიზარდა თორღვა ძაგანის გვარიო" /იხ. აკ.შანიძე, დასახ. ნაშრ. 44/.

საინტერესოა აგრეთვე სიტყვები "თორღვა ძაგანის გვარიო". ამის შესახებ აკ. შანიძე წერს: "ბაგრატიონობის გამო მინდიათ /ხაზი ავორისაა კ.ა./ გადმოძკა: თორღვა კონსტანტინე ბაგრატიონის ნაბიკვარი იყოვო, მაგრამ ამ შემთხვევაში "ძაგანის გვარიო" ან "ძაგან/თ/ გვარი". ან კიდევ "ძაგანის გვარი". როგორც ვარიანტებში იკითხება, დედის მხრივ ხომ არ აღნიშნავს ჩამომავლობას?" /აკ. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ.347/.

თამარის პირველი ისტორიკოსი როდესაც ჩამოთვლის ერისთავებს, კახეთის ერისთავად იხსენიებს "ბაკურ ყრმა,ძაგანის ძეს" /იხ. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. კ.კეკელიძის გამოცემა, გვ. 79; ან ქართლის ცხოვრება. კ.კიკინაძის გამოცემა, წიგნი 2, ტ.1. 1897 წ. გვ.411/. საინტერესოა, ხომ არა აქვს რაიმე კავშირი ძაგანს ზემოთ ხსენებულ ძაგანის გვართან. საყურადღებოა ისიც, რომ იგივე ისტორიკოსი კახეთის ერისთავ-

ვებს "თორღვის ძენად" მოიხსენიებს /ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ცდა ტექსტის აღდგენისა, გვ.95/. თუ აქ რაიმე კავშირი არსებობს, მაშინ ზემოთ ნახსენები ლექსი სხვა თორღვას უნდა შეეხებოდეს.

24.იხ. ძველი საქართველო, ტ.2, 1913 წ. განყ. 5, გვ.8.

25. იხ. აკაკი შანიძე, დასახ. ნაშრომი, 45. გ.

26. იხ. გაზ "ივერია", 1888 წ. 120.

27. საქ. მუზეუმი, 2025, ფურც. 82.

28. აკ. შანიძე, დასახელებული ნაშრომი, 44 გ.

29. თორღვას მუცოელობას იზიარებს აგრეთვე პროფ. ს.მაკალათიაც, მაგრამ არ აქვს ნაჩვენები, თუ რას ემყარება იგი. იხ. "ხევსურეთი", გვ.81, "ფშავი" გვ.96, 1934.

30. აკ. შანძე, დასახ. ნაშრომი, გვ.43.

31. იქვე, გვ.254.

32. იქვე, გვ.527.

33. გაზ. "ივერია", 1887, 154.

34. გაზ. "ივერია", 1887 წ. 154.

35. ჟურ. "კვალი", 1897 წ. 13.

36. გაზ. "ივერია", 1888 წ. 121.

37. თუშური ლექსები, გვ.45.

38. აკ. შანიძე, დასახელებული ნაშრომი 43 ე.

39. იქვე.

40. აკ. შანიძე, დასახელებული ნაშრომი, 44 იხ.

41. უერ. კვალი", 1897 წ. 13.
  42. თუშური ლექსები, გვ.45.
  43. აკ.შანიძე, დასახ. ნაშრ. გვ.43.
  44. იქვე, გვ.44.
  45. იქვე, გვ.44.
  46. უერ. "მოამბე", 1895 წ. 3.
  47. უერნ. "კვალი", 1897 წ. 13.
  48. 1930 წ.
- გვ. 154-155.
49. გ.თედორაძე "ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში", 1930 წ. გვ. 69-70.
  50. გაზ. "ივერია", 1887 წ. 172.
  51. 1940, გვ.70
  52. ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, მ.ჯანაშვილის რედაქციით, 1904, გვ. 156.
  53. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. 1941, გვ.91.
  54. ი.ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. I კ.კეკელიძისა და ა.ბარამიძის რედაქციით, გვ. 84.
  55. უერნ. "მოამბე", 1903 წ. №4.
  56. გ.ლეონიძე, ქართველი გმირები, გვ.25.
  57. ქართლის ცხოვრება, ზ. კიკინაძის გამოცემა, 1897 წ. გვ. 206, ქართლის ცხოვრება, ანას ნუსხა, ს.ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1942 წ. გვ. 137. ცხოვრება, ანას ნუსხა, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1942 წ. გვ. 137.

58. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ.ლომიურისა და ნ.ბერძენიშვილის გამოცემა, გვ. 101.

59. ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, მ.ჭანაშვილის რედაქციით, 1904, გვ. 164.

60. 2,25 126 ფურც.

61. იქვე.

62. ახალი ქართლის ცხოვრება, ივ.ჯავახიშვილის რედაქციით, 1940 წ. გვ. 85-86.

63. ვახუშტი, საქართველს ცხოვრება, 1913 წ. გვ. 166.

64. იქვე, გვ.108-109.

65. იქვე, გვ.128.

66. არჩილიანი, წიგ. 2, გვ.35. ამის შესახებ იხ. პროფ. აღ.ბარამიძე. ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. 2. გვ.120.

67. ამ ამბის თარიღად ვახუშტი 1664 წ. დებს. /იხ. გვ.379-80/.

68. საქართველოს ცხოვრება, 1913 წ. გვ.339-340. იხ. 379-80/.

68. საქართველოს ცხოვრება. 1913 წ. გვ.339-340. იხ. აგრეთვე: ს. ჩხეიძე, საქართველოს ცხოვრება. გვ.2-3; გ.ქიქოძე, ერეკლე მეორე, გამოც. 2 გვ.20-22, 1942 წ.; ვახუშტი, ისტორია... 1913 წ. გვ. 80-81.

69. ქართლის ცხოვრება, წიგ. 2, ტ.1 ზ.ქიქინაძის გამოცემა, 1897 წ. გვ. 560. იხ. აგრეთვე ივ.ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგ. 3, გვ.61-63; მისივე, ქართული სამართლის ისტორია, წიგ. 2 ნაკვ. 2.

გვ.288. მ.ჩანაშვილი, ქართველთა მატრიანე, "მოამბე" 1903  
წ. 4.

70. საქ. მუზეუმი, 2025, ფურც.118.

### ხელის მოკრის საკითხი და ალუდა ქეთელაური

მოწინააღმდეგის ფიზიკური განადგურების შემდეგ ხელის მოკრის საკითხი უალრესად საინტერესოა თავისთავადაც, მაგრამ უფრო საინტერესო გახდა იმით. რომ ამ საკითხზე ააგო ვაჟა-ფშაველამ თავისი პოემა "ალუდა ქეთელაური". თუ ეს პოემა მკვლევართა აზრების შეხლა-შემოხლას იწვევს, ეს იმიტომაცაა, რომ ხელის მოკრის საკითხი არაა სათანადოდ შესწავლილი და დამუშავებული. შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხს სპეციალურად

არც ერთი მკვლევარი არ შეხებია /გამონაკლისს შეადგენს დიმ.ბენაშვილი, რომელმაც ამ საკითხს უძღვნა ერთი წერილი. იხ.გაზ. "ლიტერატურა და ხელოვნება", 1944 წ. 33/ და თუ ვინმე შეეხო, ისიც სრულიად გაკრიტით.

ყველა მკვლევარის აზრი ერთი და იგივეა, - სახელდობრ, ხელის მოკრა მტრისთვის თემის კანონი იყო. ყოველი ხევსური /თუ სხვა/ თუ მტერს მოკლავდა, ვალდებული იყო, მოეკრა მოკლულისათვის მარჯვენა ხელი. ვინც მარჯვენას არ მოსკრიდა, ის ალუდასავით /მუ-

დამ კი მას იმოწმებენ / თემის რისხვას დაიმსახურებდა  
ეს არის და ეს.

იბადება კითხვა: იქნებ ხელის მოკრა სავალდებულო  
არ იყო, იქნებ ხელის მოუჭრელობა არ იწვევდა თემის  
რისხვას? ასეთი კითხვა არამც თუ არ დასმულა ჩვენს  
მეცნიერებაში, არამედ ექვიც კი არ შეუტანია არავის  
ხელის მოკრის აუცილებლობაში.

## 1.

რომ გაგვერკვია საკითხი, იყო თუ არა სავალდე-  
ბულო ხელის მოკრა მტრის მოკვლის შემდეგ, საჭირო  
იქნებოდა გავცნობოდით ამ საკითხის ირგვლივ არსე-  
ბულ ლიტერატურას, მაგრამ აქ უადგილობის გამო სა-  
შუალება არა გვაქვს ამონაწერების სახით წარმოვად-  
გინოთ მასალა. გადმოვცემთ ზოგიერთი მკვლევართ.  
აზრებს: პროფ. ს.დანელია წერდა: "მამაპაპეული ზნეჩე-  
ეულების ძალით" ალუდას უნდა ხელი მოეჭრა მუცა-  
ლისთვის, მაგრამ ალუდამ თემის ტრადიცია დაარღვი-  
/ხაზგასმა ყველგან ჩვენია კ.ა./ და ამისთვის ის განდ-  
ევენეს თემიდან / ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი  
გვ.40/. გ. ქიქოძის აზრით ალუდამ "თემის ჩვეულებ-  
დაარღვია", რადგან მუცალს ხელი არ მოსჭრა /წერილ-  
ები ხელოვნებაზე, გვ. 50/. პროფ. ალ.ხახანაშვილ  
წერდა, რომ ალუდამ "გამოიჩინა თვითნებობა და და-  
არღვია ძველი ჩვეულება და ტრადიციული შეხედულ-  
ება" /იხ. ქართული სიტყვიერების ისტორია, გამოც. 1  
1917 წ. გვ.204/. კონსტ. კაპანელი წერს: ძველისძველა

დაკანონებული იყო, რომ მოკლულისათვის ყველა ხე-სურს უნდა მოეპრა მარჯვენა. /იხ. ქართული სული ესთეტიურ სახეებში, გვ.204/. "თემის წესი ლაპარაკობს, რომ მოკლულს გამარჯვებულმა მარჯვენა უნდა მოსპრას", წერს აპ. მახარაძე/ იხ. ვაჟა-ფშაველა, გვ.78/.

ერთი შეხედვით ყველაფერი რიგზეა, ყველა მკვლევარი თითქმის ერთი და იგივე აზრს იმეორებს. საქმე ისაა, რომ ყველა ამ აზრს ერთი მცდარი შეხედულება უდევს საფუძვლად; თითქოს ალუდა იმიტომ განდევნეს თემიდან, რადგან მან მუცალს ხელი არ მოსპრა. ყველა მოსაზრება აგებული ჩანს მხოლოდ "ალუდა ქეთერაურზე" და სხვა რამ მასალა გამოყენებული არაა.

ზემოთ მოყვანილ მოსაზრებებს იზარებს პროფ. ს.მაკალათიაც, იგი თავის წიგნში "ხევსურეთი" წერს: "მტრის მარჯვენა ხელის მოპრა ვაჟკაცისათვის სავალდებულო იყო" ვინც ამ ადათს დაარღვევდა, მას თემი ხატში არისხებდა და მოიკვეთდა /გვ.80/. ამ აზრის წყაროდ ავტორსვე მითითებული აქვს პოემა "ალუდა ქეთელაური" 1940 წელს გამოვიდა ს.მაკალათიას "ხევსურეთი" რუსულ ენაზე. ავტორი აქაც იმავე მოსაზრებაზე დგას და წყაროდ ისევ პოემას ასახელებს /გვ.69/.

ამავე პოზიციაზე დგას დიმ. ბენაშვილიც.

ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებში ხელის მოუპრელობას "ალუდა ქეთელაურის" გარდა სხვაგანაც ვხვდებით. მაგალითად, "ქიჩირმა თავი აიღო, ხელი არ უნდა მტრისაო" /იხ. ტ.3, გვ.327/.

ან ივანე კოტორაშვილის შესახებ.

“მას არა აქონდა წესადა, მტრისად მოეჭრა მარჯვენა,  
ან კი სად დაეცეოდა, მას ერგებოდა რამდენა?  
მტერს რომ მოკლავდის, იტყოდის: ყელარა ვჯიჯგნი. მცხვენია.  
მკვდას რომ მარჯვენა მოვაქრა, რა ქვეაში მოსახდენია.  
რა ბიჭობაა უსულოს ლეშს კიდევ სისხლი ვადიხო.  
რა გაიგება, უფალსა იქნებ ამით ვაწყინხო. /ტ.მ. გვ.299/.

ქიჩირი არ კრის გამარჯვებული მოწინააღმდეგეს მარჯვენას იმიტომ, რომ მას სასახელოდ არ მიაჩნია თავისი ნამოქმედარი, არ უნდა, რომ უღირსი ადამიანის ხელი ეკიდოს მის კოშკზე გამარჯვების ნიშნად. ამასთან ქიჩირის ნამოქმედარი თვალწინაა, ყველამ იცის, რომ ქიჩირიმა შური იძია. კოტორაშვილი კი მოკლულ მტერს არ კრის მარჯვენას საერთოდ. ის აღიარებული გმირია. ის პირიქით, გმობს კიდევ ხელის მოქრას, “რა ბიჭობააო” ამბობს. კიდევ მეტი, კოტორაშვილი ფიქრობს, იქნებ ხელის მოკრით უფალს ვაწყინოო და ის დაუსჯელი რჩება, თემი მას არაფერს ერჩის. ხელის მოქრა რომ კანონი ყოფილიყო, ის ამას არ იტყოდა, უკეთ, არ ათქმევინებდნენ.

ეს მხატვრულ ნაწერებში.

ხალხის ზნე-ჩვეულებების გასაცნობად, მისი ნათიქრის გასაგებად უფრო გვიშველის ხალხური სიტყვიერება, ვიდრე ზოგიერთი მკვლევარის ეთნოგრაფიული ნარკვევი, რომელიც ზოგჯერ ვარაუდზეა დამყარებული. ხალხური სიტყვიერება ისტორიული წყაროცაა.

მივმართოთ ფოლკლორს:



უკვე გარკვეულია, რომ ხევსურების განთქმული გმი-  
რი ნასკვაურიძე. რომელიც არც თუ ისეთი ახლო ხნის  
მცხოვრები უნდა იყოს, მტრებს მოკვლის შემდეგ ხელებს  
არ სჭრიდა: "კაცებს ხოცს, ხელს კი არ სჭრის, "ხევ-  
სურეთს წესად არ არსა" /ა.შანიძე, ქართ. ხალხ. პოეზია.  
1, 99.9/. ამისივე ვარიანტია:

"ხელს არ სჭრის ნასკვაურიძე: "ვაეკაცის წესი არ არსა".

ხელის მოჭრის შესაზებ ერთგან ნათქვამია. ხევსურის  
წესი არ არისიო, ხოლო მეორეგან კი ვაეკაცისაო. ეს  
ამბავი დამოწმებულია პროზაული ტექსტითაც /იხ.  
ქვემოთ/. ამ მხრივ საინტერესოა ერთი ლექსი, რომელიც  
ჩავიწერე 1944 წელს სოფ.დართლოში სტეფო ბასხაჯა-  
ურისაგან:

"კაი ყმას რად უნდ მარჯვენა დახოცილ ქისტებისაო.  
ქალებ გან მარჯვენებს სთელიან, მოტანილს თუშის ყმისაო.  
შორითებ გადახედავენ. წინდაწინ ვინ მოდისაო?  
მოუძღვებ პირტიტველაყი. ქალები ხკვირობდესაო".

აქედან ჩანს, რომ ბრძოლაში გამარჯვებულს  
"მომეტეს" ლაშქრის დაბრუნებისას წინ წაიმძღვ-  
არებდნენ, მაგრამ აქ ჩვენთვის უფრო ის არის სა-  
ინტერესო, რომ ნათქვამია "კაი ყმას რად უნდ მარჯ-  
ვენაო". ამით შეიძლება დავასკვნათ, რომ ხელის მოჭრა  
უფრო ყმის საქმე იყო, ვიდრე კაი ყმისა და, მეორეც,  
თემის კანონი ან ადათი ის არ ყოფილა. წინააღმდეგ

შემთხვევაში მათქვამი /მომლექსობელი/ ამას ვერ იტყოდა.

როცა თუშმა მექობაურმა ივანემ, ბეგენგორის გმირმა მამუკა ქალუნდაური მოკლა, იმ დროს იქ იყო ივანეძმა - შალვა და, სავარაუდებელია, სხვა თუშებიც /თუშნო, გეჭიროსთ თვალია, კვალი, 1897 წ. 14/. ეს ფაქტი აძლევს უფლებას მომლექსობელს, რომ ლექსში მამუკა ქალუნდაურის მაგიერ თქვას: "ხელსა ნუ მომპირი, ივანე, სახელი მაინც შენია" / შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ.30,15/. რა თქმა უნდა, ხელის მოკრა რომ სავალდებულო ყოფილიყო, მელექსე ამას არ იტყოდა. მაგრამ ჩვენ აქ სხვა რამ გვაინტერესებს: სახელდობრ ის რომ ხელის მოუჭრელადაც შესაძლებელი ყოფილა სახელის მოპოვება. ამას შეიძლება დავუპირისპიროთ მეორე, ზემოთ ნახსენები მაგალითი, რომლის მიხედვითაც "უხელოდ სახელ არ არსა". ზედმეტი არ იქნება აგრეთვე, მოვიყვანოთ მოკლე შინაარსი გადმოცემისა რომელიც ჩავიწერე 1944 წელს სოფ. ზემო ალვანში 66 წლის საბა ითიურიძისაგან: "როცა ლეკებთან ბრძოლის შემდეგ ხევსურ ნასკვაურიძეს უთქვია თუშ ვარდიძისათვის, თორმეტი ლეკი მოვკალიო, და ხელები კი არ მოუჭრია, თუშს უთქვია: " ეგ არ იციაავ, რო თუშებშიავ უხელოდავ სახელ არ არსავ". რაშია საქმე, რატომაა, რომ ერთ შემთხვევაში უხელოდ სახელი არის მეორე შემთხვევაში-კი უხელოდ სახელი არ არის? საქმისაა, რომ პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს მტრის მოკვლასთან, რომელსაც მოწმე ჰყავს, იქ არიან ივანეძმა შალვა და სხვა თუშები, მეორე შემთხვევაში კი ნასკვაურიძეს ვერავინ ხედავს. ბრძოლის შემდეგ თუში ვარ

დიძე იმიტომ ეუბნება ნასკვაურიძეს უხელოდ სახელი არ არის, რომ ბრძოლაში ხშირად გაურკვეველია. ვინ მოკლა ესა თუ ის ადამიანი. არის შემთხვევები, როცა სხვის მიერ მოკლულ მტერს სხვა აკრის მარჯვენას. მომყავს ჩემ მიერ 1944 წლის ზაფხულში სოფ. ზემო ალვანში 47 წლის სონა ცაძიკიძისაგან ჩაწერილი ლექსის ნაწყვეტი:

„ცხათა ნახოცსა ქისტებსა ივია ხელებს შკრისაო.  
ნაჩალიკს ატუანებდა. „ხელებ მაქვ ქისტებისაო“

შეიძლება ნასკვაურიძე ძალიან ყოჩაღადაც იქცეოდა. მაგრამ საჭირო იყო მოეპრა ხელები, რომ მითი დაემტკიცებინა თავისი გმირობა.

მაშასადამე, როცა მტრის მოკვლას მომკლავის გარდა სხვაც ხედავს, როდესაც თემმა იცის, რომ მისმა წევრმა მოკლა მტერი, უკვე აღარაა საჭირო ხელის მოკრა, მაშინ უხელოდაც სახელი არის. მაგრამ, როდესაც თემი ვერ ხედავს ვაჟკაცის ნამოქმედარს, მაშინ სასურველად მიაჩნია, იყოს რაიმე ნივთიერი საბუთი მტრის მოკვლისა /ამ შემთხვევაში ხელი/, რომლითაც დაფასდება ვაჟკაცის გმირობა. თუ თემი ვერ ხედავს თავისი წევრის გმირობას, მაშინ „უხელოდ სახელი არ არის“, თემი წევრს არ უჯერებს მის მტკიცებას.

როგორც ვხედავთ, ხელის მოკრა არ არის არც ტრადიციული შეხედულება /ალ. ხახანაშვილი, ს. დანელია/, არც სავალდებულო /ს. მაკალათია, კ. კაპანელი/ და, მით უმეტეს, არც თემის წესი /აპ. მახარაძე/ ან კანონი

/კ.კაპანელი/. თურმე შესაძლებელია, თემის წევრმა მოკლას მტერი, მაგრამ არ მოსჭრას მარჯვენა: არ სჭრის ქიჩირი, კოტორაშვილი, ნასკვაურძე. ხელის მოკრა რომ სავალდებულო ყოფილიყო, სამივე ვაჟკაცი დაისჯებოდა. თემი წესის დარღვევას არ აპატიებდა. სამივე გმირის ნამოქმედარს თანამოძმენი ხედავენ. ალუდას საქმე კი სულ სხვა არის. მისი თოფი ისეთ ადგილას ჩქამობს, რომ იქ რა მოხდა, თემმა არ იცის, ალუდა კლავს თავდამსხმელ მტერს, თემს კი საბუთი უნდა იმის დასამტკიცებლად, რომ მან ნამდვილად მოკლა მუცალი. ამ დროს ხელის მოკრა სასურველია. მართლაც, როცა ალუდამ უამბო მუცალის მოკვლის ამბავი და თან დაუმატა: "ვერ გავიმეტე მუცალი მარჯვენის მოსაქრელადაო", თემის წევრებს ეეჭვებათ ამ ამბის სინამდვილე და ალუდას ეუბნებიან:

"მოკედი. სიკვდილი გირჩევნავ. რა ხარ სიკრუის მოქმედაო:

გამოქცევიხარ ქისტიშვილს, გადუქცევიხარ ქალადა"

თემის წევრები იმიტომ კი არ უწყრებიან ალუდას, რომ თემის ტრადიცია დაარღვიეო, არამედ იმიტომ, რომ ლაჩრულად გამოქცევიხარ ქისტს, ვერ მოგიკლავსო. ამ დროს თემს მარჯვენა იმისთვის კი არ უნდა, რომ თემის კანონი აღადგინოს, არამედ იმისთვის, რომ სინამდვილე გამოარკვიოს. აქაა თემის წყრომის მიზეზი. ხელის მოკრა რომ კანონი ყოფილიყო, წინააღმდეგობა თემსა და ალუდას შორის მინდიას მიერ მუცალის ხელის მოტანის შემდეგაც გაგრძელდებოდა /ალუდამ ხომ ხელი მაინც არ მიიღო/, პოემაში კი მის შემდეგ, მოზერის შეწი-

რევამდის თემსა და ალუდას შორის არავითარი წინა-  
აღმდეგობა აღარ არის.

## 2.

რაკი გავრკვიეთ, რომ მთაში მოკლული მტრის ხელის მოკრა სავალდებულო არ ყოფილა, ეხლა საჭიროა განვიხილოთ მეორე საკითხი: არის თუ არა ალუდა ხელის მოკრის წინააღმდეგი? ალუდა რომ ხელს არ სჭრის მუც-  
ალს, ეს ფაქტი ზოგ მკვლევარს უფლებას აძლევს თქვას, რომ ალუდა "თემს უწუნებს და უსწორებს უმართებლო საქციელსო" /გ.ნატროშვილი, ლიტერატურული ეტი-  
უდები, გვ.112/. მაგრამ ვფიქრობთ, ამ ამბავს ასეთი აზ-  
რის გამოთქმის უფლება არ უნდა მიეცა. ალუდასაგან მუცალის შებრალება იმას არ ნიშნავს, რომ ალუდა ხე-  
ლის მოკრას, როგორც უმართებულო საქციელს უარყოფს. შებრალება გამონაკლისია, რადგან ალუდას მუცალის დატირების შემდეგ: "ტახტაზე დაუკიდებავ მუცალის ძმისა მკლავია" ალუდა რომ ხელის მოკრის წინააღმდეგი ყოფილიყო. არც მუცალის ძმას მოსჭრიდა მკლავს. ალუდა ხელის მოკრის წინააღმდეგი არ არის მის ზოგად ფორმაში (დიმ.ბენაშვილი). ვაჟა ფშაველას რომ ალუდა ხელის მოკრის მოწინააღმდეგედ გამოეყვ-  
ანა, მაშინ პოემა დაკარგავდა დამაჯერებლობას.

ერთის მხრივ, ხელის მოკრა თემის კანონი არ არის, მეორეს მხრივ, ალუდა არ არის მოწინააღმდეგე ხელის მოკრისა. რომ ხელის მოკრა სავალდებულო ყოფილიყო, ალუდა წინააღმდეგობაში არ იქნებოდა თემთან, რადგან ის არ ეწინააღმდეგება ხელის მოკრას. თუნდაც ალუდა ხელის მოკრის სასტიკი წინააღმდეგი ყოფილიყო, არც მაშინ იქნებოდა თემთან კონფლიქტში, როგორც დავრწმუნდით, ხელის მოკრა თემურ საზოგადოებაში სავალდებულო არ იყო. მაშასადამე, ირკვევა, რომ ალუდა ხელის მოკრის საკითხში არავითარ წინააღმდეგობაში არ არის თემთან.

თემის მიერ ალუდას მოკვეთა, მათ შორის კონფლიქტი გამოიწვია არა ხელის მოუკრელობამ, არმედ მოზვერმა, რომელიც ალუდამ მიიყვანა ხატში ქისტის სულის მოსახსენებლად. მოზვერის ხატში მიყვანა კი გამოიწვია ალუდას სიზმრებმა: მას სიზმარში ეჩვენებოდა მუცალი, არ ასვენებდა და ალუდა, როგორც ცრუმორწუნე. ცდილობს კურატის შეწირვით მოიცილოს მუცალის სული, რომელიც თავს დასტრიალებს მასა და მის სახლს. მოზვერის დაკვლა იწვევს თემის რისხვას. ალუდას ხმლის ამონათება მოზვერის თავის გასაგდებად, აი კულმინაციური წერტილი ამ პოემისა.

ქისტისთვის საკლავის დაკვლა სასტიკად დაგმობილია თემის მიერ. მოზვერის შეწირვამ დაატრიალა თემის რისხვის კორიანტელი, რომელმაც ალუდა ოჯახით მოსწყვიტა თემს. აქაა ამ პოემის გასაღები. მაშასადამე,

პოემის კვანძი იხსნება არა იქ, სადაც ალუდამ მუცალს მკლავი არ მოსჭრა, არამედ იქ, სადაც ალუდამ ზვარაკს თავი მოჰკვეთა. ამრიგად, ის აზრი, რომ ალუდა თემისაგან მოკვეთილი იქნა იმიტომ, რომ მან მუცალს ხელი არ მოსჭროა /ს.მაკალათია და სხ./, უნდა უარყოფთ, როგორც არასწორი.

ალუდა იყო და ბოლომდის დარჩა თემის ტრადიციების დამცველად. ალუდა უჭავრდება კიდევ თავის დედას, რომელიც თემს ცუდად იხსენიებს: "ჯვარს არ აწყინოთ, თემს ნუ სწყევთო"1.

## 5.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბოლო დროს დიბ. ბენაშვილმა ფრიად საინტერესო საკითხი წამოჭრა და თავისებურად გადაწყვიტა კიდევ. იგი ეხება ხელის მოჭრის ტრადიციას და შემდეგ დასკვნამდის მიდის. ქართულ მთიელთა ზნეობრივ ნორმებზე და ტრადიციებზე დაკვირვებამ დაგვარწმუნაო, წერს ავტორი, რომ მკლავის მოჭრის ფაქტი აიხსნება საიქიოს ცხოვრების მოტივით. ადამიანები მოწინააღმდეგეს ჰკვეთდნენ მარჯვენა მკლავს, რათა გაადგვილებოდათ ბრძოლა "სამარად-ჟამო" ცხოვრებაში გადასვლის შემდეგ. მათი რწმენით, სააქაო ცხოვრებაში დაწყებული ბრძოლა გაგრძელდებოდა საიქიო ცხოვრებაშიც.

მართალია, ხევსურებს სწამდათ, რომ სააქაო ცხოვრებაში მიღებული კრილობა საიქიოშიაც გადაჰყვებოდათ

იხ. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. 3/. მაგრამ არც მათი რწმენა და არც თვით ბენაშვილის მიერ ჩაწერილი დატირება უფლებას არ იძლევა იმ აზრის გამოთქმისა, რომელიც გამოთქვა პატივცემულმა მკვლევარმა. ამ თეორიის მიღება იმ საბუთით, რაც ბენაშვილს აქვს, სახიფათოა, მაგრამ თუნდაც ამ საკითხში ვერწმუნოთ, ვერ გავიზიარებთ მის მეორე აზრს, რომ ვითომ ალუდამ იმიტომ არ მოსჭრა მუცალს მარჯვენა, რომ "ქეთელაურს სურს, სააქაოში დაწყებული ბრძოლა საიქიოშიაც გაგრძელდეს თანასწორი უფლებებითა და საშუალებებით". ეს თეორია, რომელიც ალაბათ ვაჟა-ფშაველას არც კი გაუგონია, თავს მოახვიეს მის გმირს. ვაჟა-ფშაველამ დაგვიხატა მე-19 საუკუნის თემის გმირი და არა წარმართული ხანისა. არ არის სწორი, რომ ალუდას თავს მოვახვიოთ "უძველესი ეპოქების წინაპრების" /გამოთქმა დ.ბენაშვილისაა/ ნააზრი, ე.ი. ამოვაგლოთ იმ პირობებიდან და მდგომარეობიდან და ჩამოვაცილოთ ის დრო, რომლის ღირსეული შვილიც თვითონ იყო.

1. არის აზრი, თითქოს ამ სიტყვებით ალუდა თემის დაწყებულას დასშვებად თვლიდეს. ეს მოსაზრება არის შედეგი ერთი ვარიანტისა, სადაც იკითხება: "ჯვარს არ აწყინოთ, თემს თუ სწყევთო". ამ წაკითხვით პირველად "ალუდა ქეთელაური" დაიბეჭდა 1899 წ. ვაჟა-ფშაველას "თხზულებანში", "ალუდა ქეთელაურში" 1916 წელს. "ალუდა ქეთელაური" პირველად დაიბეჭდა გაზ. "ივერიაში" 1888 წელს №262-263-ში, სადაც დაბეჭდილია: "თემს ნუ სწყევთ", რაც, ალბათ, შემდეგ დაბეჭდვის დროს შეიცვალა და "ნუს" ნაცვლად "თუ" დარჩა. ეს 168



უკანასკნელი საშუალო სკოლის სახელმძღვანელოებშიც  
შეუტანიათ. პოემის ავტოგრაფი დაკარგულია. სახდოდ  
უნდა მივიჩნიოთ პირველი ნაბეჭდის ჩვენება.  
კონტექსტიც ამ ფორმას ამართლებს.

## შენიშვნები

27. მთქმელმა გადმომცა: "ნაჩალიკს ბარითა ჭარებ მურეკავ, ჰელოსაკ გადუყვლი, ქაჩუში დაცემას თურ აპირობს. თუშეთის მოურავს გუგი, გამოზდევნებია-დ თურსიეხ დასწევი. მოვრავს ეთქვ: "სუ ქისტებ გადად-გადმოდიანო-დ შენაც ჭარს გაგიწყვეტენავ" ნაჩალიკს მოვრავ უკვენ გამუბრუნებავ: "რაიც სოფლებში ქისტ-ებიავ, სუ დამწყვდიიდივ". შეგროვ მოვრავს ქისტები, შერეკ ერთ სახლში, საკლავიც დეკლ, კარგადა ექმი, მეორეს დღეს გამერეკ გარეთ /კრებასავით თუ რა უტა-რის/, ელაპარაკ მოვრავს. ქისტ ავას ეკითხ ჭარელოანთ ცოკუნაისად, რას ამბობსავ. იმას მეტყუევ, თქვენ და-ხოცისას ამბობსავ. ავას თურ დამბაჩა განიერ სახელში ხქონიევ დამალული. ესრი მოვრავისადა-დ მეკლ. ღვდელ იმაშ გონივ მანთაშოვ ყოვილიყვ".

38. მთქმელმა გადმომცა: "ნანა თორღვანის ქალს შვილ ხევიანიყვ. იმის შვილს თურ ლეკებ დეცნესა-დ უძახეს, იარალ დაყარევ. იმას კიდევ ეს ლექს ეძახ. გა-დასტანიყო-დ სუ დეხოც".

"ტუტარიკ წისქვილში ყოფილიყვ ნანა , თორღვანის ქალი, მეკოპრებ დასცემიყვენეს, იმის ძმა მეკლა-დ თავად კი ტყვედ წყევან. იმაშ ნანა დანიშნულ ყოფილიყვ. ნანაის დანიშნულს სუ შეყძრ ადგილები-დ ბოლოს მაინც მევან ნანა / იდოიძე იროდი, 62 წლისა, 1944.8.4/.

ამავე ლექსის ვარიანტი მიაგებო სტეფანე ცუხურკა-იძემ, სადაც ნანა თორღვანის ქალის მაგიერ ნათათრა-ლაის ქალი იხსენიება.

40. საბამ მიაგმო: "თუშებს, ხევსურებსა-დ ფშავლებს დეპირ ქისტებზე დაცემაი-დ საქონის გამორეკვა იმაშ თუშებს ხყვანდ ბელად თილიძე . ხევსურებს მურლოველი, ხოლო ფშავლებს ხოშარაული. თუშები-დ ხევსურებ გადასულან ყეროში, გადმურეკავ საქონი, მემრია მოსრულან ფშავლები. ფშავლებს წილ ეთხოვ საქონისა , მაგრამ თილიძეს არ მიუცი, ეგენივ ჭამასაც ვერ რშჩებიანავ. გაჯავრებულ ფშავლებ უკვენავ მოსრულან უნაწილოდა-დ დუპირებავ თილიძის მოკვლა უბარებავ თუშეთ, შერიგება გვინდაო-დ მოდივ თავის ჯართავ. თუშებ წასრულან, ფშავლებს უდულებავ აღუდი, ხოლოთ სვის მაგივრად იელ ჩყყარ შიგ. მისულ თუშებს ყველას დუღიავ აღუდი, მარტო თილიძე დამრჩალ იგრი, მალევ შეუტყვი ღალატი, მთელ თუშის ლაშქარ დაცემულ, ყველათ დაზძინები, მარტო თილიძეს მუსწვრია-დ გამოქცეულ, მძინარე თუშებისად ფშავლებს სუ თავებ დექრ. ეს ამბებ ხოშარაში ყოფილიყვ. თოლიძე მოსრულ თუშეთ, შეუყრი ჯარი-დ გადასრულ ხოშარაში. ელეწ, ენგრი, ხალხ ეხოც, საალუდე ქვაბებიც კი სუ დეგლიჯ. მემრ უკვენავ მოსრულ თილიძე. ცოტა ხნით 12 ბიქით მისრულ ფშავლების სალოცავში, ლაშარში დაციხვით, ხართა-დ ღვინით".

ეს ამბავი, როგორც ჩანს, არ უნდა იყოს სინამდვილე. თუშები ცდილან. ჩამოერეცხათ სირცხვილი თავისი გმრი თილიძისათვის. ეს რომ სინამდვილე იყოს, პირველ რიგში თილიძე დალევდა ლუდს და თუ თილიძე არ დალევდა, მაშინ არც სხვები დაეკარებოდნენ. სინამდვილეს არ შეეფერება აგრეთვე 12 მეომრით წასვლა ფშავლების სალოცავში დაციხვის მიზნით. ამას, რა თქმა უნდა, ფშა-

ვლები არ შეარჩენდნენ. არის გადმოცემა, თითქოს თი-ლიძეს მაშინ გადმოეტანოს და დაესვენებინოს სოფ. ჩილოში ლაშარის ნიში, სადაც ლაშარობა დღესაც იციან. გიორგი ბაკურიძემ მიაგმო, როდესაც გიორგი თი-ლიძე ფშავლებს დაუმარცხებიათ, იგი ლაშარს შეხვეწ-ნია, ოღონდ ეხლა გადამარჩინე, მერე შენ სალოცავად მოვალო. მართლაც გადარჩენილა და ცოტა ხნის შემდეგ მისულა სამწყალობლოდ. ამ დროს გადაუსვენებია თი-ლიძეს ლაშარის დროშა და დაუსვენებია ჩილოს თავსო.

41. მომყავს გადმოცემის ნაწყვეტი დიდობებში ტყედ ნამყოფი დიკლოელი მგელოზის ქალის, თამარის, ნაამ-ბობის მიხედვით, ელისოს თქმით.

"ლეკებ რო დეცნესავ დიკლოშიავ, მეაც დამიჭირე-სავ. მემრ ტყვეებ გადაგვარჩიესავ, ზოგთავ ნება მოვეც-ესავ სოფელში რომისივ. დიკლოში შუუბან ერთ სამა-ლავ იყო, იქ ჩავძვერივ. სამალავში ერთ დიაცსავ ერთ საცალო ხალ ხქონდავ, სამ დურკ ერბოივ. იქავ მეორე დიაცსავ სამ ბაღლ ხყვანდავ. ის ბაღლებივ შიმშილით იხოცებოდიანაო-დ ის კიდევ არ აძლევდისავ. უდერახან რო დავრჩნეთავ, დამაკლდებავ. ლეკებთავ ბოლოს ის სამალა მოხელესავ. ჩალის ბურკვებსავ ცეცხლ მუდვი-ანავ, შაირიიანავ -შიგაო-დ მთელ ხალხივ ბოლით ამ-ოხოცესავ.

მეციხოვნეთ გადმომძახესავ, მეტა წყალ გვინდავ. თა-მაროვ, წყალიდ მოგვაშველევ. ერთ თუნგ წყალ შევ-აწვადეო-დ მეორეზე რო ამქონდავ, კიბეზე ავდიოდეო-დ ერთ ლეკს ვენახევ, ხელ მკრააო-დ ტყაპანითა ძირს გადმოარდივ. თუნგიცავ სუ გამტყელდავ. მეციხოვნენივ

ცეცხლით დიმორჩილესავ. შეგვეყარნესავ ტყვე-  
ბივ. შენაქოთანიც გამორეკნესავ. დაგვიჭირიანაო-დ სი-  
სხლშიავ ფეხებ გვალახვიიანავ. ერთ მეტა ლამაზ ქალ  
მიყვანესავ, ბელადმ არჩიაო-დ თავისად წახყვანდისავ.  
იტირისავ იმ ქალმავ, იტირისავ. ჩვენ კი არა იმდენს ვნა-  
ღვლობლიითავ. სუ წინავ ის ქალ მიდიოდავ, მემრ ბელა-  
დივ, მემრია ცხვანივ. ფიქვებ კლიანებზე რო გადავედიტავ.  
ქალმ უთხრავ ბელადსავ, ახლ შენ იარევე წინავ, ბელად  
ხარევ, მე უკვენ გამოგყეებივ. წავიდავ წინავ ბელადივ.  
მეტა ქარაპში რო მივედიტავ, მოხვიავ ქალმავ ბელადს  
წელეებზე ხელიო-დ კდეზე გადავარდავ, თან ლეკების  
ბელად გადიყოლავ. ეს ლექს იმაზე იციან.

ელისო მიხეილის ასული სულაკაური მოზაიძისა

47. "ითაბანიძე დართლოელ ყოფილიყვ. დილა  
დართლოთა ნარომი საეახშმოდ ფშაველში ჩამოსრული-  
ყვ, იქითა დაბრუნებულიყო-დ გათენებისად გარევე ნაქ-  
ერალ ასრულიყვ". /საბედო/. აქ ორი ლექსი უნდა იყოს  
გაერთიანებული: პირველია 1.-6, ხოლო მეორე -7-22.  
პირველში დენგაა ნახსენები, ხოლო მეორეში - მურ-  
თაზი.

საინტერესოა სიტყვა "ნაქერლის" ხალხური ეტიმო-  
ლოგია: "თუშეთს რო მურთაზ დასცემიყვ, თელავში  
გეგზავნ თადიაური ჭარების სათხოვნად. ლევანს ათას  
კაც გამეყოლ. ეყვან ნაქერალზე. იქ ჭარს ცხენებისად  
ქერ ეკმი. ქერ დაყრილიყო-დ ამოსრულიყვ. იმის მემრ  
ნაქერალს ეძახიან". /საბედა რაინაული/.

66. სონამ გადმომცა: "ერთ პატარხალ ყოფილიყვ.  
ენახვ თავის ქმარ, რო ნადირობ წასრულ კდეზე გადა-

ვარდნილიყო-დ ხუნჩაყის საბამითა დაკიდებულიყვ-  
სირცხვილით ვერ ეთქვად ეს ლექს ემღერ. მემრია გეგვ  
ცხვათ”.

ნ6. "ახალ დანიშნული ვიყავ, ახლ თეთვაზე ვიწერ  
ჯვარსა" - თეთვა - მიწაყრილი, ამობურცული ადგილი,  
ე.ი. მოვკედლიო.

162. გამიგონია ვარიანტიც: "ქალებ დავწირენივ"  
აღარ ახსოვთ, ვისი ნატირებია. დედას ორი შვილი  
კლდეზე გადავარდნოდა მგ ზავრობისას და იმაზე ტირის.  
დედა ამბობს: წითლოვნის ხევში შვილები დავტოვე,  
მეცხვარეებო,არ შეაშინოთ, ისინი პატარები არიან, ყუ-  
რადლება მიაქციეთო.

ეს დატირება შემდეგ გარმონზე გადაუტანიათ,  
დღესაც უკრავენ,სასიამოვნო მოსასმენია, ოლონდ დავ-  
იწყებას ეძლევა.

163. ნატირალია საბა ქელეხიძეზე მისი დედის, ნინოს,  
მიერ გირევში. საბა ქელეხიძე ამჟამად ცოცხალია. დაქ-  
ორწინებამდის საბა ყოფილა პანკისში. ზამთარში მისი  
სიკვდილის ამბავი გირევში მიუტანიათ, სადაც დედას  
ასე დაუტირია: იანვარში საბა მომივიდა და ნაპრალი  
მომიტება მთისაო /ყონიკურის მთა პირიქითის ხეობა-  
შია, გირევის სამხრეთით/ და ნახევრად შეყინული წყა-  
ლი /ალთო/ შემომასხაო, გამაუბედურაო. ვაიმე, საბა,  
ქორწილს რაღა უყოთო / დაქორწილება უფიქრიათ/.

164. ნატირალია იმავე ნინო ქელეხიძის მიერ თავის  
მაზლზე.

165. ნატირალია მოზაიძე ალექსიზე მისი დედის მიერ. ტირილში დედა ალექსის მაგიერ სვიმანეს ამბობს.

166. ნატირალია ეფრო ჩაგოშვილზე მისი დედის. ეთეროს, მიერ. სოფ. კონთიოში, ეფრო "ჯულურა" - ულაბაზო ყოფილა. დედა კი მას "ლამაზოს" ეძახის. ეფრო ქისტებს მოუკლავთ. იგი წოვა ჰგონებიათ /წოვებს ქისტი ჰყოლია მოკლული/. მას შვიდი ნატიყვიარი ჰქონია ტანზე.

167. ერთ მემცხვარე ყოფილიყვ. ხაზეინ თურმე სუ კაი ქამებს უგზავნიდა-დ მაინც ხდება-დ ხდებ. ხაზეინს ეთქვ. მოდი ერთ ღამეს მე დავრჩებივ ცხვარშიავ. ამ ჩემ მეცხვარის ამბავს გავიგებავ, რაღამ ხდებავ. დამრჩალიყვ ღამი. მწვადის წვა დეყწვ. ერთხენაყ ერთ ეშმაკ მოსრულიყვ. თურმე მწვადზეით ჩამოდენილ ქონს თითით შეღლოკავსად თან იტყვის:

"კიწიმწვარა, კიწიმწვარა,

ჩემი წილი კი შემწვარავ"

იმ მწვადს თურ უთავენს ამ ხაზეინს. მექნი გახურებულ შამფური-დ დეკრ თავში. სართივ, ეძახ ეშმაკს. მითამ გარევ დამკარივ. "სართივ ეგეა-დ სატანიცავ. პირმა ხეთისამ დაგწყევლოსავ" ეთქვ კაცს. მომკვდარიყვ ეშმაკი. /მეორეც რომ დაერტყა, თუშების რწმენით, ეშმაკი კვლავ გაცოცხლდებოდა. ეშმაკს მარტო ერთი უნდა დაჰკრაო/. ვითომ ამ ეშმაკის დედას უტირია, ქვახიდის ქალამდე კიდევ აგიტან. მაგრამ აწუნტის მთაზე როგორღა გადაგიტანოო. ეშმაკები იქიდან გადმოდრიანო.

168. მგელაურიძე არსენა უტირია წიქროს ცოლს ამ ოციოდე წლის წინათ სოფ.ვაკისძირში. მოტირალი თავის ოჯახის გაქირვებას უამბობს სხვის მკვდარს, აზარებს თავის შვილ მიხოსთან, ჩვენს შვილს, მიხოს. უთხარი, რომ შენი ცოლი წაგვივიდა, შენი შვილი თებროც წაიყვანა და ძროხა ნიშოც. კარჩხილი - ერთგვარი საკეტია კარისა გარეთა მხრიდან.

169. ეფრო ზევს ჩაუტანია და დასტირის მისი დედა სოფო ხაჩიძე.

170. ნატირალია პეტო თილიძეზე მისი დედის, მატროს, მიერ სოფ. ფარსმაში.

171. ომალოელი მეშვლიანთ მართას ნატირებია. არ ახსოვთ ვისზე. იგი მიმართავს მკვდარს, არ ჩამოიარე ვესტმოვაკისკენ, აღარ ჩანდა ჩემი ფილოს ნაფრენიო? ფილო პატარა ბიჭი ყოფილა. ერთხელ ყოპყში /ახალმოსული თოვლი/ ძროხის საძებნელად წასულა. ერთ ხევში დიდოები შეხვედრიან და მოსაკლავად გამოჰკიდებიან. ფილოს ხევს გაღმა და გამოღმა უფრენია. მაგრამ მაინც მოუკლავთ ხანჯლით. იხ. 181.

172. არ ახსოვთ, ვისი ნატირებია. ცოლი დასტირის ქმარს. ქმარს ცოლი ზამთარში მთათუშეთში დაუტოვებია, თვითონ ბარში წასულა და თან დაუბარებია. ხენის დროს ამოვალო. თუშეთისაკენ მიმავალი ქმარი ზევს წაუღია.

173. ფარსმაში დარეჯან იუკურიძეს უტირია თავისი მაზლი გაბრო, რომელსაც გამოცვლილ სახელს - მაჩას ეძახის. მაკატო ძმისწულია დარეჯანისა, რომელიც მომკვდარა 14 კვირის ავადმყოფობის შემდეგ. ოლა დარ-



ეჯანის შვილია, რომელიც გასათხოვარი მომკვდარა. გაბრო კონთიელი იყო, ფარსმანელების სიძე.

174. დედამთილის ნატირალა რძალზე. ალალაი - ქკვიანი.

175. გირევში ბაბალე ხოსიკურიძეს შვილი ადალე უტირია.

176. რძალი დასტირის დედამთილს. დედამთილი კარგი ჰყოლია, ქმარი კი - ძალიან ცუდი. ის ტირის, რომ შენი სიკვდილით სახლი, ოჯახი შემირყიეო.

177. ლელამ თქვა: "ერთ ხარს ბულრანაყობას მიწა-შიითა ნიგზურა ამეგდვ. ეშმაკს იმაზე ეტირ".

178. დედამთილს უტირია თავისი რძალი, სეხნიაიძე მარკოზას ცოლი.

179. იდოიძე სუკაის ცოლის ნატირებია შვილზე. ადამოზე. ახსენებს თავის მაზლიშვილს სვიმანეს. სვიმანი იმპერიალისტურ ომში მომკვდარა. ადამე დაჭრილა და თბილისში წოლილა. შინ წერილი მოუწერია, მნახეთო. დედა წასულა და ვერ უპოვნია. ადამეც თბილისში მომკვდარა.

180. კვავლოელ ხიზანანთ ბებერს უტირია ჩილოში თოთაანთ გიგოს ცოლი რარეჯო.

181. უტირია მეშვლიანთ მართას თავისი შვილი ომალოში. "ხელებზე შევხედიდ, ფილო არ იყვისა" - ბიქს ხანკლისთვის ხელი უშველებია და სულ დაჰკუწვია. იხ. №171.

182. ზემო ალვანში იდიძე მართას უტირია მისი შვილი ქააძე ელო. ანთა ქმარია მართასი, რომელიც "დალეული" იყო /შვილი არ ჰყავდა/. იყო მეორე ქმარი მართასი და ელოს შვილად ზრდიდა. ილო - ქმარი ელოსი.

თინა და ევა - შვილები ელოსი, რომლებიც ელოზე .  
ადრე დახოცილან.

## მთქმელები

აზიკური ანიკო - 48; აზიკური მარო - 162; ბაკურიძე გიორგი - 51; ბაშინურიზე ანეტო - 172; ბაშინურიძე თებრო - 52,156, 175, 157,179; ბახტურიძე ლელა - 152,153,154,155,158,159,160,174,177,178; ბილოძე სალომე - 133; ილიძე სოფრო - 19; ითიურიძე საბა - 7,38,39,40,45; იმედიძე ლაზარე - 49,1 180,181; იუკურიძე მოსე - 6; ელანიძე თამარა - 36,57, 105,106, 107, 108, 109; მოზაიძე ელისო - 26,40,41; რაინული სბედა - 17,18,37,43,46,54,60,62,63,73,74,75,76,78,79,80,140,143,114 4, 145,146, 147,148,149,150,151, 183; რაინაული ბულდანა - 141; რაინაული მარუსა - 142; სულაკაური ქეთო - 10,11,12,13,14,34,77,113,114,115,116,117,118,119,120,121,122,168, 169,170,171; ქააძე არჩილი - 131, 184; ქააძე მაგდო - 130,, 167, 173, 182; ქააძე მიტრო - 20; ქოთილაიძე გერმანა - 28, 135; ცაძიკიძე ნიკო - 9,22; ცაძიკიძე კატო - 15, 16, 65, 64,81,82,83,85,102,103,161, ცაძიკიძე კოსტა - 21:61. 129, 13,166; ცაძიკიძე საბედო - 23,24,25,29,30,31,32,33,35,44,47,67,68,69,70,71,72,80,84,8 6,87,88,9,90,91,92,93,94,95,96,97,98,99,100,101; ცაძიკიძე სონა - 27,66,137, 138,139, 163,164,165; ცაძიკიძე ანდრო - ტ8; ცაძიკიძე გურამი - 132; ცუხურკაიძე სტეფო 50, 123,124, 125.

## სარჩევი

კოსტა აზიკური . 3

### პოეზია

1. ზეზვა მოღბიჯავს ველადა 8
2. არ დაიჭერთ, მთიელნო 8
3. ვირჩევ თურ თერელოელთა 8
4. თილიძე 9
5. მემცხვარემ რად არ მხედავენ 9
6. გატყობ, გეშინის, სალარო . 10
7. წინ თორღვა შემოგეყრება . 10
8. ტყესა ჩამოსდის ფოთოლი 11
  
12. დღისით მიყრიან ბორკილებს 14
13. ივანის თინა ქალია 14
14. დიკლოს მოვიდა დიდოი 15
15. ამ ჩემსა ცხენსა გავყიდი 15
16. თურსიახ წყალო, მდინარო 15
17. მომიცად , უშვერაულოდ 16
18. ღმერთო, მომგვარე მშვიდობით 16
19. გადმიაჩრა ღრუბელმა 16
20. ტაბათანის ღამევ 18
21. ცისკარმა ამოანათა 19

22. ხევსრუნ წავიდნენ ქისტეთთა	21
23. ბეჩავნი მემცხვარეები	. 22
24. რანიც კარგნი ვართ	. 22
25. ქალმა დასწყევლა მემცხვარეს	. 23
26. ქალმა დასწყია მემცხვარეს	. 23
27. თუშეთ მობრძანდა მოვრავი	. 24
28. ივანე ბახტურაიძე	. 25
29.	. 26
30. აიმაღ მთაზე გაჰხედუ	. 26
31. შენ ქმარ წასრულა თრიალეთს	. 26
32. ცეცხლო, რალამაზ ინთები	. 27
33. ომალო ჩამოვიარე	. 27
34. ქალი ვარ ქმარსგანაყარი	. 28
35. დედისერთაო ღმერთაო	. 28
36. რაიმ გიმღეროთ, ჭალაბნო	. 28
37. თეთრი დაბუის ჩაჩქანი	. 29
38.	. 29
39. გაუძედვ ბექურიშვილო	. 29
40. ლაშარს მოვიდა თილიძე	. 30
41. დიკლო-შემაქო დაწვიან	. 30
42. დენგამ შეჰყარა ჯარია	31

43. ჭიხემა თქვა	31
44. ჭიხეო გულილა მძიმეო	. 32
45. კაი ყმა ველთა მოკვდება	. 32
46. ნუ გიხარიან, ქალაო	. 32
47. თუშეთ მოვიდა ლაშქარი	. 33
48. იმერეთიდან გადმოდის	. 34
49. მთამ მშობა	. 34
50. თუშის გავიდა ლაშქარი	. 35
51. დაქიზეთ თისო	. 35
52. ქალია ალექსისაო	. 36
53. ჩილოში ორი ქალია	. 37
54. შენი თვალ-წარბის ჩრდილშია	. 37
56. ჩივილი	. 37
57. ქვე რადარ იჯედ დაჯიავ	. 38
58. საგათენებოდ გეწვევი	. 38
59. კაი ყმას რად უნდ მარჯვენა	. 38
60. ბიჭო, ხეი ხარ ალვისი	. 38
61. ნეტავი ყორნად მაქცია	. 39
62. ემაგალ ქალსა შეხედეთ	. 39
63. ქალო დაენდევ კას ყმასა	. 40
64. სვირილის ავადმყოფობა	. 40
65. ბუი ბუბუნებს ნარზედა	41

66. გათენდი, ნურც. რას გასტენდებ	41
67. სისხლის ტბა	41
68. ქვათანას ქორი ნადირობს	. 42
69. თეთრადამ ქორად მაქცია	. 42
70. ელოი თელაურათი	. 42
71. ცა წმიდავ სვირილიანო	. 43
72. ჩაეხედავ საჩილოლოსა	. 43
73. დედავ, მომკლა სიყვარულმა	. 44
74. ჩივიან მემცხვარეები	. 44
75.	. 45
76. დილა ავდეგ აღრიანად	. 45
77. დედა არას გიჯავრდებოდა	. 45
78. ერეკლეს დაუბარებავ	. 46
79. იობ იყო ღეთის ნათლული	. 46
80. ბიჭო, თავდიდო, გულდიდო	47
81. რასამ დამბუი, ყორანო	47
82. ვაი, რა ბედი დავკარგე	. 48
83. წყალსა მოქქონდა ნათოტი	. 48
84. ქალმა გასძახა მეცხვარეს	. 49
85. უდროოდ ჩამომამბერა	. 49
86. თანდათან უფრო ბნელდება	. 50
87. სულეთისაი ვინ იცის	. 50

- 88.	ახლ თეფაზე ვიწერ ჳვარსა	51
89.	დაებერდი, დაეჩაჩანაკდი	51
90.	გიგა	. 52
91.	მიყვარხარ ტურფა ალვანო	. 53
92.	ნეტა შენ, თეთრო ქედანო	. 53
93.	გიორგი გიგაური ვარ	. 54
94.	კესელოს ციხეს ავაგებ	. 54
95.	თუშეთის სოფლები	. 55
96.	შინ შესვლა არა მწადია	. 55
97.	სახლმან თქვა	. 56
98.	ნეტა შენ, ცხვრისა პატრონო	. 56
99.	ბელუქში	. 56
100.	შენმოტყობიე ძმობილსა	57
101.	სიტყვა ფიქრია მღელვარე	57
102.	კარგია კაი მხედარი	. 58
103.	ნეტავი, ქალო, მეადა შენ	. 58
104.	დიკლოს დაზდილან ჳეილებ	. 59
105.	ნეტა ვიცოდე, ჳეილო	. 59
106.		. 60
107.		. 60
108.	ნუ გვიქებთ ბარში პურებსა	. 60
109.	არც დედით გწუნობ	. 60
110.	ქალო ანაო, ბანაო	61



111. ცხენსა ვიყიდი საღარსა	61
112. ნეტავი სალი კლდესავით	. 62
113. სიყვარული რა ყოფილა	. 62
114. მთვარევ, შეგნატრი	. 62
115.	. 63
116. გადავიხედე პირიქით	. 63
117. ქალო ტან ტურთა ლამაზო	. 63
118. ვინც ჩემზედ იტყვის, ლალია	. 64
119. აღდგომისა შაბათსაო	. 64
120. ქალო შურთხის თვალო	. 64
121. შენი კირიმე ლამაზო	. 65
123. თორღვა	. 65
124.	. 65
125. კაა ყმას აკმეი	. 65
126. აქაფებულო ხეკებო	. 66
127.	. 66
128. თუშნო, რა კქენით ზეზვაი	. 66
129. ირემმა ირემს ახარა	. 67
130. ნეტაი გადმოგაქცია	. 67
131.	. 67
132. აიმაღ მთასა გახედე	. 67
133. ბაბალე	. 68
134. ვირი და მგელი	. 68

135.	აქ დასაციხნი სკოდნიათ	. 68
136.	სწორი რომ სწორსა ლმეტობდეს	69
137.	ცუდის ვთქვამ	. 69
138.	ნეტავი ბიკად მაქცია	. 70
139.	ქალიმც ვიყვილი უქმარო	. 70
140.	წყალსა გაღმა ცხვრისა ბლავილი	70
141.	მოდ, ციცო, დარბაზს ავიდნეთ	71
142.	მივდივარ ჭიუტის მთაზე	71
143.		72
144.		72
145.	კვეთილიანი	73
146.		. 73
147.	საალმეს ცხვარსა ვაძოვებ	73
148.	ხუნჩალე	74
149.	არ მინდი დიკლოელაო	74
150.	რაიმ გიმღეროთ, მამულნო	75
151.	ცა ქექდეს	75
152.	ნუ გიხარიან ქალაუ	75
153.	გათხოვდი ქალო, ქალო, გათხოვდი	76
154.	წასვლაო აღარ მოსვლაო	76
155.	ძნელია ცხვისა შვილობა	76
155.	ბუჩას თომამ დამიწუნა	77

157. ნეტა შენა, ცოკის მათ	77
158. წავიდა, გული წაიღო	77
159. ითოვნე, თოვლო, ითოვლე	78
160. ვარ ცხვარში წამაველიო	78
161. დაგენდევ არ მიღალატე	78

### ნატირლები

162. შეილებ დავწირენი	79
163. საბა მომივიდა	79
164. ციხეი წაგვექცა	. 80
165. დედა მოგიკვდესა	. 80
166. არ ჩამიარია	. 80
167. კიდევ შეგილებდე	81
168. ვაიმე არსენ, ვაიმე	81
169. დედა მოგიკვდესა	81
170. ძმაო, გენაცვალე	. 82
171. არ ჩამიარია	. 82
172. ხარებ დამაკვები	. 82
173. არ დიბარენია	. 82
174. ჩვენ ამოვედითა	. 83
175. ისევ დედა მოგიკვდესა	. 83
176. სახლიწ გამიფორპე	. 84

177. ხარმაწ ქალ მომიკლა	. 84
178. ქალსავით ვიტირის	. 84
179. ჩემ ადამ	. 85
180. რა კარგა სწევხარ	. 85
181. არ გამორეარაა	. 85
182. დედა მოგიკედესა	. 86

### ეპოსი

ეთერი	. 87
ხარის ბეჭი	92
ყელსაბამი	94
ნადირების პატრონი	95
ყიზილბაშის ყვავილი	96
ამიღებრი	99

### ლეგენდები და გადმოცემები

ქირი	105
გარა	106
რატომ არის შვინდის ხე დაბალი	.107
კუდიანი დედაკაცი	108
შეთე	.109

გორგი	. 110
ცოდვა	. 111
ქუჯა და თილიძე	... 111

ანდაზები ანდაზური გამოთქმები	. 112
გამოცანები	. 115

**წეს ჩვეულებანი, რწმენა წარმოდგენები**

გასადარებელი რიტუალი	. 119
შელოცვა, მაგია	120

**გამოკვლევები**

თორღვას პიროვნებისა და თორღვას ციხის საკითხისათვის	. 124
ხელის მოჭრის საკითხი და ალუდა ქეთელაური	. 157
შენიშვნები	. 170
მთქმელები	. 179

ს.ბ. 6755>123

მხატვარი დ.გრიგოლია

მხატვრული რედაქტორი ს.პ. ცინცაძე

ტექნიკური რედაქტორი ო. კაპანაძე

კორექტორი ნ. კაშმაძე

ჩაბარდა წარმოებას 19.01.91 წ. ხელმოწერილია  
საბეჭდად 29.04.91 წ. ფორმატი 70+100 <sup>1</sup>/<sub>32</sub>. ქა-  
ლალდი საბეჭდი ფურცელი 7,8. სააღრიცხვო-სა-  
გამომცემლო ფურცელი 5,11. პირობითი  
საღებავგატარება 7,88.

ტირაჟი 3000

შეკვთა № 1042

საწარმო-საგამომცემლო გაერთიანება „მეტნიერება“,  
თბილისი 380060, კუტუზოვის ქ. № 19